ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

სულხან მამულაძე

რომაული გარნიზონები სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და მათი მომარაგების საკითხები

სპეციალობა: არქეოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

პროფ. შ. მამულაძე

პროფ.რადოსლავ

კარასიევიჩ-სციპიორსკი

ბათუმი 2022

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც წარმოდგენილი დისერტაციის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ს. მამულაძე

სარჩევი

შესავალი:.....5

თავი I. რომაული სამყარო და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი.....9

§1. რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება 9

§2. საკვლევი რეგიონის ისტორიული მიმოხილვა.....11

თავი II. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არსებული რომაული პერიოდის საფორტიფიკაციო ნაგებობანი და მათში მდგომი გარნიზონები.....18

§1. რომაული პერიოდის საფორტიფიკაციო ნაგებობანი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და მათში მდგომი გარნიზონები.....18

§3. მომარაგების მარშრუტები.....73

თავი III. რომაული არმიის მომარაგების სისტემები და ლოჯისტიკა.....92

§1. რომაული არმიის მომარაგების სისტემები ხმელთაშუაზღვისპირეთსა და შავი ზღვის რეგიონში.....92

§2. მომარაგების საქმიანობაში ჩართული კერძო კომპანიები.....100

თავი IV. რომაული გარნიზონების მატერიალური კულტურა (ტიპო-ქრონოლოგია და წარმომავლობა არსებული მასალების საფუძველზე.....109

§1. არქეოლოგიური მასალის ანალიზი.....109

§2. არქეოლოგიური მასალის ინტერპრეტაცია და შედეგების სინთეზი ისტორიულ კონტექსტში.....142

დასკვნები.....149
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა 156
ტაბულების აღწერილობა 170
ტაბულები 172

შესავალი

სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ რეგიონს წარმოადგენდა რომის იმპერიაში, რასაც ცხადყოფს კიდეც მისი უშუალო ჩართულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვან ისტორიულ პროცესებში. საკვლევი თემაც სწორედ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში განლაგებულ რომაულ გარნიზონებს და მათი მომარაგების საკითხების შესწავლას ეხება.

ნაშრომში წარმოდგენილი და განხილულია სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არსებული რომაული პერიოდის ციხე-სიმაგრეები (ჰისოსი; ზანაიერი; ათინა; სათალა; მელიტენე; აფსაროსი; ფაზისი; სებასტოპოლისი), მათი ფუნქციონირების ქრონოლოგიური ჩარჩოები, ასევე ამ კასტელუმთა დანიშნულება და როლი რეგიონსა და, ზოგადად, რომის იმპერიაში. ამასთანავე, ნაშრომში ისტორიულ წყაროებსა და არქეოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით აღწერილი და იდენტიფიცირებულია კონკრეტული გარნიზონები და დამხმარე კოჰორტები, რომლებიც იდგა ზემოთმოხსენებულ რომაული პერიოდის ციხე-სიმაგრეებში *(XII Fulminata; XVI Flavia Firma; XV Apollionaris; Cohors II Claudiana; Cohors Aurelia).*

ნაშრომის ძირითადი ნაწილი და კვლევები გარდა ისტორიული წყაროებისა, ეყრდნობა ეპიგრაფიკულ და არქეოლოგიურ მასალებს. სამწუხაროდ, რიგ მიზეზთა გამო თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ვერ ხერხდება რომაული პერიოდის არქეოლოგიური მასალის დამუშავება. ამასთანავე, საკითხს ართულებს ისიც, რომ ტრაპიზონსა და მის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში არსებული რომაული ციხე-სიმაგრეები არქეოლოგიური თვალსაზრისით თითქმის შეუსწავლელია, ამდენად, ჩვენი კვლევა, მეტწილად თურქეთის რესპუბლიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში

განხორციელებული ექსპედიციის შედეგებს და საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე აღმოჩენილ მასალებს ეფუძნება, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე მიკვლეულ მასალებზე.

ნაშრომში განხილულია, როგორც ადგილობრივი, ისე იმპორტული ნაწარმი, რომელთა შორის ჭარბობს კერამიკული მასალა (ამფორები; წითელლაკიანი კერამიკა; ქვევრები; დერგები და სხვა უხეში კერამიკა). რაც შეეხება უშუალოდ არქეოლოგიური მასალის კვლევას, მისი საჭიროება განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ ის, რომ თითოეული იდენტიფიცირებული არტეფაქტი, განსაკუთრებით კი დიაგნოსტიკური მასალა, საუკეთესო საშუალებაა იმის დასადგენად, თუ რომელი კონკრეტული ცენტრებიდან, თუ ოპერატიული ბაზებიდან შემოჰქონდათ პროდუქცია რეგიონში. გარდა ამისა, არქეოლოგიური მასალის საერთო ანალიზმა საშუალება მოგვცა განგვესაზღვრა, თუ რა წილი მოდიოდა ერთის მხრივ იმპორტზე, და ასევე, ადგილობრივი პროდუქციის ათვისებაზე.

ნაშრომში ასევე განხილულია ის, თუ ზოგადად როგორი გახლდათ მომარაგებისა და ლოჯისტიკის სპეციფიკა რომის იმპერიაში და უშუალოდ შავი ზღვის რეგიონში. ისტორიულ წყაროებსა და ეპიგრაფიკულ მასალებზე დაყრდნობით კი მოხდა როგორც საზღვაო, ისე სახმელეთო მომარაგების სისტემათა რეკონსტრუქცია.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია საგზაო-საკომუნიკაციო ნაგებობზე, რომელთაც უდიდესი სავაჭრო-ეკონომიკური და სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. რომის იმპერიის ერთ-ერთი უპირატესობაც, სწორედ გამართული და სათანადოდ დაგეგმარებული ინფრასტრუქტურა გახლდათ. ამ შემთხვევაში, ჩვენ უშუალოდ შავი ზღვის აუზის რეგიონში გამავალ საზღვაო და სახმელეთო გზებზე ვისაუბრებთ.

რაც შეეხება უშუალოდ შავი ზღვის არეალში განლაგებულ რომაულ გარნიზონებს, მათი მომარაგება ხდებოდა როგორც საზღვაო, ისე სახმელეთო მარშრუტებით. როგორც წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების საერთო ანალიზის მიხედვით ირკვევა, რომის იმპერიის ადრეულ ეტაპზე, ძირითადად ჩვ.წ. I საუკუნის მეორე ნახევარში შავიზღვისპირა სიმაგრეებში მდგომი გარნიზონების მომარაგება ხდებოდა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის საწარმოო ცენტრებიდან, რასაც არქეოლოგიური მასალებიც ადასტურებს. მოგვიანებით, ჩვ.წ. II საუკუნიდან, მას შემდეგ რაც, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის პროვინციებში იმპერიის საზღვრები განმტკიცდა, ამ დროიდან უკვე დაწინაურდა სამხრეთ შავიზღვისპირეთში არსებული საწარმოო ცენტრები. განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქალაქი სინოპე და ტრაპიზონი, რასაც მათი სტრატეგიული მდებარეობაც უწყობდა ხელს. გარდა მომარაგების საზღვაო ხაზისა, ძალიან დიდ როლს ასრულებდა სახმელეთო გზებიც, რომლებიც როგორც შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ, ისე, უშუალოდ პროვინციის აღმოსავლეთ საზღვრებში განლაგებული ციხე-სიმაგრეებისკენ (სათალა, მელიტენე, აფსაროსი, სებასტოპოლისი) მიემართებოდა, და პირიქით.

უშუალოდ არმიის მომარაგებას რაც შეეხება, რომის იმპერია ამისათვის ძალზე დიდ ადმინისტრაციულ და სახელმწიფო რესურსს იყენებდა. გარდა ამისა, საერთო მომარაგების სისტემაში აქტიურად იყვნენ ჩართული კერძო კომერციული კომპანიებიც, ე.წ. *publicani* ან *socii*, რომელთა შესახებ უამრავი ეპიგრაფიკული მასალა და სამხედრო ანგარიშების ამსახველი დოკუმენტები გვაწვდის ცნობებს. გარდა იმისა, რომ ისინი აქტიურად იყვნენ ჩართული იმპერიის საგადასახადო საქმიანობის სათანადო ფუნქციონირებაში, პარალელურად, იღებდნენ არმიის მომარაგების უზრუნველყოფის

პასუხისმგებლობასაც. ცხადია, არმიისათვის პროდუქციით უწყვეტი მომარაგება ძალზე მნიშვნელოვანი ამოცანა გახლდათ უაღრესად მილიტარისტული იმპერიისათვის, რომელიც რეგულარულად აწარმოებდა სხვადასხვა სამხედრო მოქმედებებს. იმის გათვალისწინებით, რომ რომის ადმინისტრაციული რესურსი სათანადოდ ვერ უზრუნველყოფდა სხვადასხვა, შორ პროვინციებში, არმიის ლოჯისტიკური საკითხების გადაწყვეტას, ამდენად საჭირო გახდა კერძო მეწარმეთა ჩართვა მთელს ამ სისტემაში.

თავი I. რომაული სამყარო და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი

§1. შესასწავლი რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება

საკვლევი რეგიონი მეტად საინტერესო, მრავალფეროვან გეოგრაფიულ არეალს მოიცავს, რომელიც წარმოდგენილია შავი ზღვის სანაპირო ზოლის, ხშირად კლდოვანი, ციცაბო სანაპიროებითა და მდინარეების ფართო სპექტრით და მთიანი ლანდშაფტური ზონით. ამასთანავე, რეგიონი გამოირჩევა მსხვილი მდინარეების მთელი ქსელით, რომლებიც პონტოს მთებიდან მოედინებიან. აქვთ უამრავი, ფართო აუზის მქონე შენაკადები. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სანაპირო ძირითადად ზომიერი, ნესტიანი ოკეანური კლიმატით გამოირჩევა, რაც შეიძლება ითქვას აქაური ფლორისა და ფაუნის ფორმირების მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი გახლავთ.

ზღვის სანაპირო ზოლის თითქმის მთელ სიგრძეზე, საკმაოდ ახლოს, ჰინტერლანდის მთელი სივრცე წარმოდგენილია მთიანი მასივებით, რაც, ისტორიულად რეგიონში უწყვეტი ბუნებრივი თავდაცვითი კედლის ფუნქციისაც ასრულებდა. აღსანიშნავია ისიც, რომ, სწორედ ბუნებრივი პირობების გამო შავი ზღვის სანაპირო ისტორიულად იზოლირებულია ცენტრალური და სამხრეთ ანატოლიისგან. ამ ყველაფერმა კი რეგიონში მიმდინარე მთელ ისტორიულ პროცესებში გადამწყვეტი და შეიძლება ითქვას არსებითი როლიც კი ითამაშა.

საკვლევი რეგიონის გეოგრაფიული დახასიათებისას საინტერესოა ერთი

მნიშვნელოვანი დეტალი, რომ, ზღვისპირა რეგიონი ბუნებრივადაა მოწყვეტილი ჰინტერლანდს, განსაკუთრებით ლაზისტანის ქედის გასწვრივ განლაგებული თანამედროვე გიურელე-ხოფის სანაპირო ზოლი, რომელსაც კიდევ უფრო სამხრეთით მთათა პარალელური წყება მიუყვება. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი სიტუაციაა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს აჭარის მონაკვეთში, სადაც აღმოსავლეთ პონტოს მთაგრეხილს უშუალოდ ებჯინება შავშეთისა და მესხეთის, ცოტა აღმოსავლეთით კი არსიანის ქედები. თუმცა, განსხვავებით საკვლევი რეგიონის ცენტრალური და სამხრეთ-დასავლეთი ნაწილისგან, ქობულეთისა და კახაბრის დაბლობების სახით მაინც აღწევს რეგიონის სიღრმეში, რაც ისტორიულად კარგ შესაძლებლობას იძლეოდა რეგიონის მეზობელ მხარეებთან სახმელეთო კავშირების დამყარებისა და კონტაქტებისათვის.

§2. საკვლევი რეგიონის ისტორიული მიმოხილვა

გლობალური საგარეო ექსპანსიის შედეგად რომი ახალი გეოპოლიტიკური რეალობის წინაშე აღმოჩნდა. აღმოსავლეთში მისი უშუალო მეზობელი გახდა პართიის ძლიერი სამეფო. იგი წარმოადგენდა რომის მოსაზღვრე ერთადერთ ძლიერ სახელმწიფოს. პართია არ ცნობდა რომაელთა პრეტენზიებს მსოფლიო ბატონობაზე და საუკუნეების მანძილზე იბრძოდა აქემენიდთა დიადი მემკვიდრეობის დასაბრუნებლად. რომსა და პართიას შორის საზღვარი მდ. ევფრატზე გადიოდა. ძვ. წ. I საუკუნის 50-იანი წლების მიწურულიდან კი, აღმოსავლეთში შექმნილი პოლიტიკური დუალიზმის პირობებში, ევფრატის საზღვრის უსაფრთხოების დაცვა რომის ორიენტალური პოლიტიკის ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად იქცა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მთლიანად წინა აზიის პოლიტიკურ ცხოვრებაზე (Клейман И.Б. 1976; Speidel, 1983; Braund, 1986; Кигурадзе…, 1987) (ტაბ. I).

ევფრატის სასაზღვრო პერიმეტრზე არსებული კონკრეტული პოლიტიკური სიტუაცია დიდ გავლენას ახდენდა კოლხეთის მდგომარეობაზეც, რომელიც ძვ. წ. 65 წლიდან რომის პოლიტიკურ სისტემაში იყო ჩართული. მართალია, კოლხეთი ევფრატის სასაზღვრო ხაზს ტერიტორიულად ძალზე დაშორებული იყო და უშუალოდ არ ემეზობლებოდა პართიას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა რომაულ გეოპოლიტიკაში (Speidel, 1986; Кигурадзе…, 1987; French, 1989). კოლხეთი ესაზღვრებოდა არმენიას, რომელიც წარმოადგენდა პართია-რომის დაპირისპირების ძირითად მიზეზს და მათ შორის გაუთავებელი ომების მთავარ ასპარეზს. აზიაში პირველობისათვის მიმდინარე პერმანენტულ ომებში, კოლხეთს რომისათვის უნდა უზრუნველეყო მტკიცე ზურგი და შეესრულებინა პლაცდარმის როლი პართიის წინააღმდეგ

სომხეთისათვის ბრძოლაში. გარდა ამისა, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს გარკვეული სტრატეგიულ-საკომუნიკაციო მნიშვნელობა ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიისა და ბოსფორის მიმართაც. ასეთი გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო, რომაელთა მიერ, მძლავრი ანტიპართული პლაცდარმის შექმნის მიზნით, აღმოსავლეთის სასაზღვრო რეგიონებში განხორციელებული ხშირი რეორგანიზაციების დროს, კოლხეთის პოლიტიკური სტატუსი რამდენჯერმე შეიცვალა. თუმცა, ახ. წ. I საუკუნის 60-იან წლებამდე კოლხეთში რომაული გარნიზონები არ გამოჩენილან და იმპერიის სამხედრო-პოლიტიკურ ინტერესებს რეგიონში პოლემონიდური პონტოს სამეფო იცავდა (ტაბ. II).

ახ. წ. 63 წელს ვითარება შეიცვალა. იმპერატორმა ნერონმა (54-68 წწ.) საბოლოოდ უარი თქვა „ბუფერულ“ სამეფოთა სისტემაზე და პოლემონიდთა სამეფო გააუქმა. მისი ტერიტორია, კოლხეთთან ერთად, გალატიის პროვინციას შეუერთდა (French, 1989; Speidel, 1983; Braund, 1986; Кигурадзе…, 1987). იმავდროულად ბოსფორიც უშუალოდ რომის პროტექტორატის ქვეშ მოექცა. ნერონის ბრძანებით ყირიმსა და კავკასიის სანაპიროზე განლაგებულ იქნა რომაული სამხედრო ნაწილები. იოსებ ფლავიუსის (37-95 წწ.) ცნობით, მეოტიდა _ პონტოსპირეთში იმპერიის ინტერესებს 3000 მძიმედ შეიარაღებული მეომარი და 40 ხომალდისაგან შემდგარი სამხედრო ფლოტი იცავდა. როგორც ირკვევა, ეს ხომალდები რავენის ესკადრას მიეკუთვნებოდა. დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ ნერონის დროს რომაული ჯარის ნაწილები კოლხეთის სანაპიროზე სამ პუნქტში _ აფსაროსში, ფასისსა და სებასტოპოლისში იყვნენ დისლოცირებული (Клейман И.Б. 1976; Speidel, 1983; Braund, 1986; Кигурадзе…, 1987).

ცნობილია, რომ რომაელები მუდმივი, სტაციონარული სამხედრო ბანაკების-კასტელუმების, მშენებლობამდე აგებდნენ ე.წ. *Pila muralia*-ს, ხის დროებით

სასიმაგრო ნაგებობებს. მსგავსი ხის ძელური ნაგებობების ნაშთები აღმოჩენილია ბრიტანეთში, ჰოლანდიაში, რეინ-დუნაისპირეთში. ისინი უპირატესად ახ. წ. I საუკუნისთვისაა დამახასიათებელი. როგორც ჩანს, კოლხეთის ზღვისპირა პუნქტებშიც რომაელებს თავდაპირველად სწორედ ასეთი ხის დროებითი საფორტიფიკაციო ნაგებობები უნდა აეგოთ. ყოველ შემთხვევაში, ფასისის მიმართ ეს ეჭვს არ იწვევს, რამდენადაც ფლავიუს არიანეს (დაახლ. 95-175 წწ.) ცნობით, I საუკუნის ფასისის ციხესიმაგრის კედელი თიხისა იყო და ხის კოშკები იდგა მასზე. თუმცა, იმპერიის ხელისუფლებას, როგორც ჩანს, მალევე უნდა დაეწყო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის საფორტიფიკაციო სისტემის მოდერნიზაცია. ყოველ შემთხვევაში, 69 წელს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მომხდარი დიდი ანტირომაული გამოსვლის დროს, როდესაც აჯანყებულებმა, პონტოს სამეფო ფლოტის ყოფილი სარდლის, ანიკეტის მეთაურობით, აიღეს ახალშექმნილი პროვინციის სამხედრო-ადმინისტრაციული ცენტრი _ ქ. ტრაპეზუნტი, და თავისუფლად დათარეშობდნენ შავ ზღვაზე (Speidel, 1986; Кигурадзе…, 1987; French, 1989). მათ ნათლად უნდა დაენახათ, რომ პონტოსპირეთში საჭირო იყო მუდმივი, უფრო ძლიერი საყრდენი პუნქტების მშენებლობა (ტაბ. II).

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის, ისევე როგორც მთლიანად წინა აზიის რომაული სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემის რეორგანიზაცია იმპერატორ ვესპასიანეს (69-79 წწ.) სახელთანაა დაკავშირებული. 72 წელს აღმოსავლეთის საზღვრების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით, პროვინციები გალატია და კაპადოკია გაერთიანდა და შეიქმნა ე.წ. „კაპადოკიური კომპლექსი“. მის შემადგენლობაში კი კოლხეთიც შევიდა (Speidel, 1986; Кигурадзе.., 1987; French, 1989). „კაპადოკიური კომპლექსის“ შექმნა განპირობებული იყო აღმოსავლეთის საზღვრებზე მდგომარეობის გართულებით, რაც გამოწვეული

იყო ალანთა ნომადური ტომების გააქტიურებით, სომხეთზე რომაელთა გავლენის ფაქტობრივი დაკარგვითა და საკუთრივ პართიის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხით.

კაპადოკიის, როგორც სასაზღვრო პროვინციის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა იმის გამო, რომ იმავე 72 წელს ვესპასიანემ გააუქმა მცირე არმენიისა და კომაგენის „ბუფერული“ სამეფოები. შესაბამისად, დიდი ყურადღება დაეთმო კაპადოკიის სასაზღვრო ხაზის გამაგრებას. „კაპადოკიურმა კომპლექსმა“ მიიღო ორი ლეგიონი, რომლებიც განლაგებულ იქნა უშუალოდ საზღვრის სიახლოვეს, კაპადოკია - მცირე არმენიის ხაზზე, სატალასა და მელიტენეში. მელიტენეში ჩააყენეს სირიიდან გადმოყვანილი ლეგიონი XII Fulminata (ელვისებური), (Speidel, 1986; Mitford, 2017) ხოლო სატალაში ახალშექმნილი XVI Flavia Firma, რომელიც მოგვიანებით პანონიიდან გადმოყვანილმა ლეგიონმა XV Apollionaris-მა შეცვალა (ტაბ. III).

„კაპადოკიური კომპლექსის“ შექმნამ და სირიის ჩრდილოეთით იმპერიის მთელი საზღვრების ერთი ლეგატის ხელში გაერთიანებამ მნიშვნელოვნად გააძლიერა აღმოსავლეთის სასაზღვრო სისტემის თავდაცვითი პოტენციალი. თუმცა, აღმოსავლეთის საზღვრის რეორგანიზაციის პროცესი ამით არ დასრულებულა. 74-76 წლებში აღმოსავლეთის საზღვრის მთელ პერიმეტრზე დაიწყო რომაული სამხედრო ძალების ინტენსიური კონცენტრაცია. ვესპასიანეს ბრძანებით, სალეგიონო გარნიზონები განლაგდნენ არმენიაში, კომაგენაში, ჩრდილოეთ სირიის ქალაქებში _ ზევგმასა და სურაში. ახალი ლეგიონები იქნა დისლოცირებული სირია-პალესტინის ხაზზე, ეგვიპტესა და არაბეთის ჩრდილოეთით (ე.წ. Arabia Felix). იმავე ხანებში რომაული გარნიზონები ჩადგნენ ანკირასა და ევმენიაში, ხოლო სირიის ცნობილ საქალაქო ცენტრებში _ პალმირაში, ბოსტრასა და ჰერასაში ციხესიმაგრეები აშენდა. ავგუსტუსის

დროიდან მთელ რომაულ აღმოსავლეთში იმპერიის სამხედრო ძალას მხოლოდ ოთხი ლეგიონი წარმოადგენდა. ეს ლეგიონები სირიაში იყვნენ დისლოცირებული და ემორჩილებოდნენ სირიის ლეგატს. ამდენად, აღმოსავლეთის უზარმაზარ საზღვარს, შავი ზღვიდან ერიტრეიის ზღვამდე, მხოლოდ ოთხი ლეგიონი იცავდა, რაც, რა თქმა უნდა, საკმარისი არ იყო ევფრატის სასაზღვრო ხაზის მიმართულებით აქტიური ექსპანსიური პოლიტიკის გასატარებლად (ტაბ. III).

ვესპასიანეს მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად მთლიანად შეიცვალა რომაული აღმოსავლეთის თავდაცვითი სისტემა. თუ I საუკუნის 70-იან წლებამდე წინა აზიაში იმპერიის მსხვილ სამხედრო ცენტრს მხოლოდ სირია წარმოადგენდა, (კაპადოკიაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩაყენებულ იქნა ლეგიონები – XII Fulminata და XVI Flavia Firma, ხოლო პალესტინაში – X Fretensis-ი) რეფორმის შემდეგ რეგიონში რომაული სამხედრო ძალების კიდევ ორი მნიშვნელოვანი დაჯგუფება შეიქმნა. სირიამ, რომლის შემადგენლობაში შევიდა კომაგენაც, შეინარჩუნა თავისი ოთხი ლეგიონი, ხოლო კაპადოკიასა და პალესტინაში, სადაც აქამდე მხოლოდ დამხმარე შენაერთები იდგნენ, დამატებით განლაგდა კიდევ სამი ლეგიონი (Клейман И.Б. 1976; Speidel, 1983; Braund, 1986; Кигурадзе…, 1987) შესაბამისად, აღმოსავლეთში მუდმივად მყოფი ლეგიონების რაოდენობა შვიდამდე გაიზარდა. შეიცვალა მათი განლაგების პრინციპიც. ავგუსტუსისა და იულიუს-კლავდიუსების დინასტიის (14-68 წწ.) იმპერატორთა მმართველობის დროს აღმოსავლეთში რომაელთა მთელი ძირითადი სამხედრო ძალა – ოთხი ლეგიონი, სირიაში ქვეყნის სიღრმეში იყო განლაგებული და არც ერთი მათგანი არ იდგა ევფრატის საზღვარზე; ვესპასიანემ კი, რომაული სამხედრო ნაწილები აღმოსავლეთის საზღვრების მთელ პერიმეტრზე განალაგა.

ყოველივე ამასთან ერთად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კაპადოკია-მცირე არმენიის სასაზღვრო ხაზის მოდერნიზებას. სატალასა და მელიტენეს შორის ტერიტორია რომაელებმა ციხესიმაგრეებითა და ფორტებით გაამაგრეს, რითაც დაიწყო დიდი არმენიის საზღვრის გასწვრივ ე.წ. "ზემო ევფრატის ლიმესის" ფორმირება. საფორტიფიკაციო ნაგებობათა ეს ქსელი ევფრატის დინების გასწვრივ თითქმის ორ პარალელურ ხაზად მიემართებოდა (Speidel, 1986; Mitford, 2017) დიდი არმენია რომაული გარნიზონებით იქნა გარშემორტყმული. სასაზღვრო ბანაკებისა და ფორტების გარდა, 76 წელს იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრის გაყოლებით დაიწყო დიდი სამხედრო-სტრატეგიული გზის მშენებლობა, რომელიც ტრაპეზუნტს სატალასთან, მელიტენესა და სამოსატასთან აერთებდა. ეს მაგისტრალი აქვედუკებით, ხიდებითა და სპეციალური საგზაო ნიშნებით იყო აღჭურვილი. მის უსაფრთხოებას კი, თითო დღის სავალზე განლაგებულ მცირე ზომის სიმაგრეებისა (ბურგი) თუ უფრო მოზრდილ ციხეებში (Castra) დისლოცირებული სასაზღვრო ჯარის (numeri) ნაწილები უზრუნველყოფდა. ზემო ევფრატის ლიმესის მნიშვნელოვანი ქალაქები და სამხედრო-სტარტეგიული პუნქტები ერთმანეთთან დაკავშირებული იყო მცირე ფორტებით, საგუშაგო კოშკებითა და ქვაფენილიანი გზით (ტაბ. III).

ზემო ევფრატის სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემის უკანასკნელი რგოლები სატალა და მელიტენე იყო. ისინი ითვლებოდნენ კაპადოკიასა და სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით კაპადოკიის მთავარსარდლის დაქვემდებარებაში მყოფ ამიერკავკასიაში (ამჟამად სატალა-ტრაპეზუნტის მონაკვეთზე ხუთი რომაული ციხე-სიმაგრეა გამოვლენილი) (ტაბ. IV). რომაული სამხედრო ქვედანაყოფების ძირითად გამანაწილებელ ბაზად. მელიტენეს სამხრეთით იწყებოდა სირიის ლიმესი, ხოლო სატალა საფორტიფიკაციო

ნაგებობათა ქსელით უკავშირდებოდა ტრაპეზუნტს (Speidel, 1986; Леквинадзе, 1969; Кигурадзе.., 1987; French, 1989). ამ უკანასკნელი პუნქტიდან კი სათავეს იღებდა რომაული მორიგი სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემა, რომელიც მთელ კოლხეთს აკონტროლებდა. ეს სისტემაც აქტიურ ფუნქციონირებას ვესპასიანეს ხანაში იწყებს.

თავი. II. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არსებული რომაული პერიოდის საფორტიფიკაციო ნაგებობანი და მათში მდგომი გარნიზონები

§1. რომაული პერიოდის საფორტიფიკაციო ნაგებობანი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში

განსაკუთრებით საინტერესოა საკვლევ რეგიონში, უშუალოდ ტრაპეზუნტსა და მის ჩრდილო-აღმოსავლეთით, როგორც ზღვის სანაპირო ზოლში, ისე მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთით, რომის იმპერიის საზღვრებამდე არსებული ციხე-სიმაგრეები (ჰისოსი, რიზე, ათენა, და სხვ). აღნიშნული ციხე-სიმაგრეების, აქ გამავალი გზებისა და საკომუნიკაციო ნაგებობათა აღწერა-ფიქსაცია, უშუალოდ სადისერტაციო ნაშრომის მომზადების ეტაპზე მოვახერხეთ[1].

ტრაპეზუნტი წარმოადგენდა რომის კავკასიურ პოლიტიკის საყრდენს და რეგიონის მნიშვნელოვან სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრს. 64 წლიდან იგი რომაული ფლოტის – Classic Pontica-ს მთავარი ბაზა გახდა (პონტოს სამეფოს გაუქმების შემდეგ, რომაელთა ხელში გადავიდა პოლემონიდთა სამხედრო ფლოტიც. მკვლევართა ნაწილის აზრით, Classic Pontica მთლიანად სწორედ პოლემონიდების სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზაზე ჩამოყალიბდა (Speidel, 1986; Mitford, 2017) სხვების აზრით კი, მას რავენის ესკადრისა და მეზიურ-ფლავიუსისეული ფლოტის (Classic Flavia Moesica Gordiana) ნაწილებიც უნდა დამატებოდა. როგორც ჩანს, Classic Pontica-ს

[1] სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიცია განხორციელდა 2017-2019 წლებში. ექსპედიციის წევრები გახლდნენ: შოთა მამულაძე, ამირან კახიძე, ემზარ კახიძე, თამაზ ფუტკარაძე, ელგუჯა მაკარაძე, ლილე თანდილავა, კახაბერ ქამადაძე, სულხან მამულაძე.

ხომალდების ნაწილი 69 წელს აჯანყებულებმა დაწვეს. მოგვიანებით, „პონტოს ფლოტის“ ცალკეული ნაწილები კოლხეთის ნავსადგურებშიც უნდა მდგარიყო. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სასაზღვრო ხაზზე განლაგებული კასტელუმების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება ცენტრალიზებული წესით სწორედ ტრაპეზუნტიდან ხორციელდებოდა (კახიძე 2002: 65-67).

მეტად საინტერესოა ტრაპიზონის ციხე, (ტაბ. IV) თავისი განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობით. ციხე სამ ნაწილად: ქვემო ციხედ, შუა ციხედ და ზედა ციხედ იყოფოდა. ზედა ციხე ჯერ კიდევ XVII საუკუნეში დაინგრა. ამჟამად მის ტერიტორიაზე შენდება თანამედროვე სამშენებლო რაიონი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებით. დღემდეა აქა-იქ შემორჩენილი ტრაპიზონის იმპერიის დროინდელი, ალექსი II (1297-1330 წწ) მიერ აშენებული კედლის დასავლეთი ნაწილი. ალაგ-ალაგ შეიმჩნევა I-II საუკუნეების რომაული პერიოდის გალავნის წყობის ნაშთებიც (ისტორიული ჭანეთის… 2019)

რომაული პერიოდისაა შუა ციხის კედლები. ამჟამად შუა ციხის ტერიტორიაზე ორი საავტომობილო ხიდი დგას: მე-19 საუკუნეში აშენებული Tabakhane Köprüsü და Zağnos Köprüsü. ამ უკანასკნელს სახელი ტრაპიზონის ვილაიეთის პირველი მმართველის პატივსაცემად დაერქვა.

რომაული პერიოდის გალავნის კედლის ნაშთები ყველაზე კარგად შემორჩენილია ქვედა ციხის ტერიტორიაზე (GPS კორდინატები: N 41° 0.321 E 39° 43.867). დღეისათვის აქ არის გაშენებული ტრაპიზონის ერთ-ერთი ყველაზე ხალხმრავალი - ისქენდერ ფაშას უბანი. აქვეა თავმოყრილი ტრაპიზონში არსებული სასტუმროების უმრავლესობაც. ციხის გეგმა თავის დროზე მორგებული ყოფილა რელიეფზე და დამხრობილია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ. ქვედა ციხის ამ მონაკვეთში გალავნის ცენტრალურ

ნაწილში ჩართულია ოთკუთხა გეგმის კოშკი. როგორც კოშკის, ისე გალავნის კედლების მაქსიმალური სიმაღლე 8-10 მეტრს აღწევს. მის მშენებლობაში ორი სამშენებლო პერიოდი გამოიყოფა . ქვედა - რომაული პერიოდი და ზედა მოგვიანო პერიოდი. შუა საუკუნეებს მიეკუთვნება დღემდე მოღწეული გალავნის კედლების უმეტესი ნაწილი, თუმცა ძველი რომაული სამშენებლო პერიოდიც კარგად იკითხება. რომაული ხანის გალავნის კედლის წყობა ძირითადად თარაზულია და ნაგებია კარგად დამუშავებული გვერდებჩამოსწორებული ქვებით, ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს გალავნის კუთხეებში. მოგვიანო პერიოდის წყობაში კი ეს წესი დარღვეულია და აშკარად ეტყობა ციხეს გადაკეთების კვალი. თავის დროზე გალავნის კედელი ჩრდილოეთით აღწევდა ადრიანეს მიერ დაარსებულ ნავსადგურამდე. პორტი იმ დროსაც, როგორც ჩანს დღევანდელ ადგილზე მდებარეობდა.

დღეისათვის გადარჩენილი გალავნის კედლის ნაწილები საცხოვრებელი სახლების კედლებადაა გამოყენებული, ხოლო ნაწილი სამხედრო ზონაშია მოქცეული. ამიტომ მისი სრულყოფილი აღწერა-დახასიათება სამწუხაროდ შეუძლებელია.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამ რეგიონში არსებული რომაული პერიოდის საფორტიფიკაციო და საგზაო ნაგებობანი, რომელთაც მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია-დანიშნულება გააჩნდათ.

ათინას ციხე. (ტაბ. VI) პირველ რიგში აღსანიშნავია ათინა (Arr., PPE, 3-5, 7; Ptol., V, 6; Anon., 40; Tab. Peut., X, 4; PPE, 39-40; Steph. Byz., s. v. Αθηναι). არიანეს მიხედვით, იმის გამო, რომ მისი ნავსაყუდელი (ορμος') არასაიმედო იყო, აქ მცირერიცხოვანი ხომალდები მხოლოდ ზაფხულობით შედიოდნენ. ახლომახლო იყო მიტოვებული კასტელუმიც (PPE, 4). ფაქტობრივად, ათინას ლიმანზე იგივეს იმეორებს ჯ. პალგრევი, ხოლო ათენას კონცხზე აღმართულ

კიზ-კალეს „ნახევრადდანგრეულს“ უწოდებს (Пальгрев, 1882: 68-69).

1474 წ იტალიელი მოგზაურებმა იოზეფ ბარბარო და ამბროჯიო კონტარინინებმა, რომლებიც ყირიმიდან, კერძოდ კაფადან უზუნ ჰასანთან შესახვედრად მიდიოდნენ, გაიარეს თინა (ათინა), რომელიც, მათი თქმით, ფაქტობრივად ბერძნებს ეკუთვნოდა (რეგიონში იურიდიულად უკვე ოსმალები ბატონობდნენ) და ერთადერთი საიმედო ადგილი იყო, ვინაიდან ბაიბურთისკენ მიმავალ გზაზე მათ ხშირად ესხმოდნენ ხემშილი ყაჩაღები (Thomas, Roy, 1873: 116).

როგორც ჩანს, ათინას ციხე (კიზ-კალე) პონტო-კავკასიის საზღვრის ფორმირების პირველი ეტაპის (ვესპასიანეს) დროინდელია, რომელმაც რაღაც მიზეზის გამო მოგვიანებით დაკარგა მნიშვნელობა (ტაბ. VI. ამ მხრივ საინტერესოა კლავდიუსის მმართველობის ბოლო წლებში არმენიაში, გორნეას სიმაგრეში მდგარი დამხმარე კოჰორტა (Tac., Ann., XII, 46), რომელმაც თავისი პოლიტიკური მისიის ამოწურვის, რაც რომის არაპოპულარული პროტეჟეს-მითრიდატე იბერიელის დაცვაში გამოიხატებოდა, შემდეგ დატოვა იქაურობა (Кудрявцев, 1948: 51).

როგორც ჩანს, ჭანებისა და ძიდრიტების საცხოვრებელ არეალთან სულ ახლოს განლაგებული პუნქტი თავდაპირველად გარკვეულ სტრატეგიულ ამოცანებს ემსახურებოდა. მას შემდეგ რაც, დამპყრობელმა აქ მისთვის სასურველი მმართველობა დაამყარა მაქერონებისა და ჰენიოხების „სამეფოს“ სახით, ზედმეტად ჩათვლა „საიმედო ხელებში“ მოქცეული ტერიტორიის უშუალო კონტროლი (ამის შეს. იხ. კეჭაყმაძე, 1961: 21).

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერთა ერთი ნაწილი ათინას ჭანურ სიტყვად (საჩრდილობელი) მიიჩნევდა (Bryer, Wienfiled, 1985: 335-336), ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ ათინა ჯერ კიდევ ძვ.წ. მე-5 ს ათენელი კოლონისტების

მიერ დაარსებული სავაჭრო პუნქტი იყოს. ამ მიმართულებით საქმიანობა განსაკუთრებით პერიკლეს დროს გააქტიურდა. ათენის მიერ დაფუძნებული ახალშენები თავიდანვე ერთ თავისუბურებას ატარებდნენ, ისინი განსაკუთრებით მჭიდროდ იყვნენ დაკავშარებულნი მეტროპოლიასთან სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში (Яйленко, 1982: 141-152). სწორედ ამგვარი ტიპის 600 სამხედრო კოლონისტი გაიგზავნა პერიკლეს მიერ ძვ.წ. მე-5 ს 40-იან წლებში სინოპეში დემოკრატებისათვის დასახმარებლად (Максимова, 1956: 97-102), რამაც კიდევ უფრო გააძლიერა რეგიონის ისედაც ყველაზე უფრო დაწინაურებული პოლისი და, როგორც ჩანს, მისი და შესაბამისად ათენის გავლენის ტრაპეზუნტის აღმოსავლეთით გავრცობას შეუწყო ხელი (ინაძე, 1982: 135-139; 145-147; 156-159; Инадзе, 1979: 109-110; კახიძე, 1974: 79-85; კახიძე, კახიძე, 1999: 23-24).

ახ.წ. მე-5 ს ანონიმი ავტორი ფსევდო არიანე ათინას (ისევე როგორც კორდილესა და აფსაროსს) სოფლად მოიხსენიებს (PPE, 39-40). ანანია შირაკაცის მე-7 ს "სომხური გეოგრაფიაში", ანუ „აშხარაცუიცში", რომელიც, ძირითადად, ახ.წ. მე-4-5 სს ვითარებას ასახავს, ათინა (ისევე როგორც რიზონი) კოლხურ ქალაქადაა მოხსენიებული (Армянская география, 1877: 39). ათინადან ერზრუმისკენ მიმავალ გზას სტრატეგიული ადგილი ეკავა. მას ახალი იმპულსი 421 წ ერზრუმში თეოდოსიოპოლისის ციხე-სიმაგრის დაფუძნებას უნდა მიეცა (Crow, 1986: 82). ამის კონტექსტშია განსახილველი მდ. მელესკურის ხეობაში, ერზრუმ-ათინას მაგისტრალის მაკონტრებელი ყალე (ყიფშიძე, 1937, გვ. 153) და ისპირიდან მომავალ გზაზე გაბატონებული ჯიხა (სოფ. ბაშქოის თავზე), სადაც ნ. მარმა თლილი ქვით ნაგები კედლის უხეშ წყობასა და ნაგებობის, ადგილობრივთა განმარტებით აბანოს, ნაშთს მიაგნო (Марр, 1910: 558). იუსტინიანე თავის ნოველებში იქადნებოდა კიდეც, რომ მის მიერ დაპყრობილ

ჭანეთს „უკვე აქვს ქალაქად ქცეული ადგილები, მომავალშიც ექნება სხვები’ (XXXI (XXXIII). ამ მხრივ საინტერესოა თეოდორიადა (Agath., V, 1-2), რომლის შესახებაც ქვევით ვისაუბრებთ.

ათინას ციხე-კოშკი მდებარეობს ქ. პაზარის გასასვლელში, აღმოსავლეთით, 1,5 კმ-ის დაშორებით: ნაგებობა ზღვის სანაპირო ზოლში, ხმელეთიდან 25-30 მ-ით დაცილებულ კლდოვან კონცხზეა დაშენებული. აქ სულ სხვადასხვა ზომის ვულკანოგენური წარმოშობის ოთხი კლდოვანი ბორცვია. მათგან ცენტრალური შედარებით მაღალია, რამდენადმე მოცულობით დიდიც და მიუვალიც. ციხე-კოშკის მშენებლებს მისი მთლიანი ფართი მაქსიმალურად გამოუყენებიათ და ზედ გაუმართავთ მართკუთხა ფორმის საფორტიფიკაციო ნაგებობა (ისტორიული ჭანეთის… 2019). ციხე-კოშკის კედლები კლდოვანი ბორცვის გარე კონტურებს მიუყვება და ერთიანობაში იგი კლდესთან ერთად ზღვიდან ამოზიდული ნაგებობის შთაბეჭდილებას ტოვებს. დღემდე მოღწეულ ნაგებობაზე დაკვირვებით მასში სულ ცოტა სამი საამშენებლო ფენის გამოყოფა შეიძლება. ქვედა საამშენებლო დონე, რომლის წყობები კარგად იკითხება აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის მხარეებზე, ნაგებია ქვიშა-ქვის კარგად დამუშავებული კვადრებით.მათი საშუალო სიმაღლე 60 სმ-ია. შემაკავშირებლად კირხსნარის თხელი ფენაა გამოყენებული და წარმოადგენს ე.წ. რომაული ისოდომის ტიპიურ ნიმუშს. ამ პერიოდის წყობის შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე ნაგებობის ჩრდილო აღმოსავლეთ კუთხეში, 4 მეტრს აღწევს. დაკვირვებით ჩანს, რომ შემდგომში მისი განახლება მიმდინარეობს და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ძველი წყობის დახრილ სიბრტყეზე ამოყვანილია სრულიად ახალი წყობა, რომელიც ბიზანტიურ პერიოდს უკავშირდება. თუმცა ამავე წყობაში ორი სხვადასხვა ქვეპერიოდი განირჩევა. პირველი ესაა მოწითალო-მოყავისფრო ფერის მცირე ზომის კვადრები, რომლის

სიმაღლე 25-30 სმ-ია. კედლის ეს წყობა აღმოსავლეთიდან ორ ვიწრო თაღოვან სარკმელს შეიცავს. იგი 4 მეტრი სიმაღლისაა. ბიზანტიურ პერიოდში ჩანს კედლის ამაღლების ცდა, რომელიც სამ ვიწრო თაღოვან სარტყელს შეიცავს. მშენებლობის ეს პერიოდი ითვალისწინებდა კოშკის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში, აღმოსავლეთის მხრიდან ფართე, მაღალ თაღოვან ღიობს. კარის სიმაღლე სამი მეტრია, ხოლო სიგანე 1.80 მ. ეს წყობა წინამორბედისაგან იმით გამოირჩევა, რომ მონაცრისფრო და მოწითალო ფერის თლილი ქვები ერთმანეთში მონაცვლეობენ და წყობათა ზომები არათანაბარი ზომისაა.

კოშკის დასავლეთ კედელზე და ნაწილობრივ სამხრეთის მხარეს დარღვეულ ბიზანტიურ წყობაზე დაშენებულია ოსმალური პერიოდის კედელი, რომლითაც როგორც ჩანს მთლიანად განახლდა კოშკი. წყობა ხასიათდება იმით, რომ საამშენებლო მასალად გამოყენებულია ადრეული პერიოდის ნაგებობათა მოშავო-მონაცრისფრო კვადრები, ხოლო მათ შემაკავშირებლად- კირის სქელი ფენა (ისტორიული ჭანეთის… 2019).

ჩრდილო-დასავლეთი კედელი ზედა სტრუქტურაში ფართო არქიტრავით გადახურულ სარტყლებსაც შეიცავს. მისი ფუძე კლდოვანი მასივი, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მკვეთრადაა დახრილი. ჩანს, რომ საძირკვლისათვის გამოყენებული კვადრები, მათთვის საგანგებოდ ნაკვეთ ბუდეებშია ჩასმული.

საკუთრივ კოშკის შესასვლელი გამართული უნდა ყოფილიყო ციხე-კოშკის ჩრდილო-აღმოსვლეთ კუთხეში, მაგრამ აქ საფეხურების ნაკვალევი არ ჩანს, რაც გვაფიქრებინებს, რომ მეციხოვნეები იყენებდნენ ხის სამხედრო დანიშნულების კიბეებს.

რაც შეეხება კოშკის დასავლეთ მხარეს, აქ დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხარეების ორი სართულია შემორჩენილი. ამ მონაკვეთის საამშენებლო წყობაში ოთხი შრე გამოიყოფა: ქვედა, რომელიც მხოლოდ კოშკის სამხრეთ-დასავლეთ

მხარეს იკითხება სხვადასხვა ზომის დაუმუშავებელი ქვებით და კირხსნარით არის ნაგები. ეს უშუალოდ კლდეზეა ამოყვანილი. პირველი სართულის ფასადზე სამხრეთ-დასვლეთ არეში იკითხება ორი სარკმელი და ერთი კარის თაღოვანი ღიობი. პირველი სართული, ნაგებობის მეორე საამშენებლო დონეს ასახავს და ნაგებია კარგად შერჩეული, დაუმუშავებელი ქვიშაქვის კვადრებით, რომელთა სიმაღლე საშუალოდ 25 სმ-ია. ქვედა სართულის სარკმლები ვიწრო 15-20 სმ-ის სიფართის ღიობებია და ერთი მეტრის სიმაღლისაა ყოველგვარი მოჩარჩოების გარეშე. როგორც ირკვევა, თაღოვანი კარის ღიობი გვიანდელი ქმნილებაა, რომელსაც მესამე, ზედა საამშენებლო დონე ჩრდილო დასავლეთის ნაწილში დარღვეული აქვს და თავიდან არის შევსებული უსისტემო წყობით. კარგად იკვეთება მესამე საამშენებლო დონე, რომელიც მეორე სართულის კუთვნილი ჩანს. ეს მეტრნახევარი სიმაღლის, ვიწრო ზოლია კვადრების ხუთი რიგისაგან შედგენილი. მეორე სართულის სარკმლების ძირის დონიდან, გამოიყოფა მეოთხე საამშენებლო დონე სხვადასხვა ზომის საგანგებოდ შერჩეული ქვებით (ასევე ქვიშაქვის). ეს სართული სამ სარკმელს შეიცავს. მათ შორის ორი-ქვედა სართულის სარკმლების გასწვრივ და შედგება საგანგებოდ გამოყვანილი წირთხლებისა და თაღოვანი დამაგვირგვინებელი კვადრებისაგან. ამ წყობის მიხედვით ეპოქათა ზუსტი დეფინაცია შეუძლებელია. პირველი სართულის წყობა შეიძლება ჩავთვალოთ გვიანბიზანტიურად, რომელმაც სავარაუდოდ მოსპო ან რაღაც მიზეზის გამო შეცვალა აღმოსავლეთის მხარეს დადასტურებული გვიანრომაული, ასევე ადრებიზანტიური ისოდომური წყობა. მითუმეტეს კონცხი ისეთ სტრატეგიულ ადგილასაა, რომ გამორიცხულია მისი გამოუყენებლობა თითქმის ყველა დროში.

ამ კლდოვანი კუნძულიდან დასავლეთით 15 მ-ის დაშორებით არის ასევე მეორე შედარებით მცირე მოცულობის კლდოვანი კონცხი. მისი სიმაღლე ზღვის

ზედაპირიდან დაახლოებით 7-8 მ-ია. ამ კონცხის კლდოვანი მასივის სამხრეთის შვეულ კიდეზე ზღვის დონიდან 4,5 მ-ის დონეზე გამოკვეთილია კლდოვანი კამერა. მისი სიმაღლე 2 მ, სიგანე ასევე 2 მ-ია. სიღრმე კი- 3 მ-ია. იგი თავისი ფორმით ძალიან გვაგონებს კლდოვან სამარხებს, რომელიც მოგვიანო პერიოდში ათვისებულია საცხოვრებელ სივრცედ. მის დასავლეთ მხარეს გაჭრილია სარკმელი. მსგავსი ტიპის ძეგლი ჯერჯერობით ერთადერთია საკვლევ ტერიტორიაზე.

ციხე-კოშკი, როგორც ჩანს, თავისი ხელსაყრელი ადგილმდებარეობით გამოყენებული იყო თითქმის ყველა ეპოქაში, დაწყებული გვიან რომაული ხანიდან დამთავრებული ოსმალური პერიოდით.

გულთვათის ციხე. ქალაქ ფაზარის ცენტრში შესვლამდე ზღვას ერთვის მოზრდილი მდინარე ჰემშილ-დერე. იგი მდინარე ფორტუნას მოსაზღვრე ხეობაა და მის მსგავსად, საკმაოდ გაშლილია. აქ ქედებს შორისი სივრცე, მდინარის ორივე მხარეს შუა წელამდე, არც თუ ისე მკვეთრი რელიეფით ხასიათდება. აქაურ მოზრდილ მოვაკებებსა თუ ტერასებზე შეფენილია ლაზებით თუ ხემშილებით დასახლებული სოფლები. ასე, რომ აქაური გეოკლიმატური პირობები ძველადაც და ახლაც ქმნის მეტად ხელსაყრელ პირობებს ადამიანთა დასახლებისა და განსახლებისათვის. ვფიქრობთ, ამითაც უნდა იყოს განპირობებული ხეობაში ძეგლების სიმრავლე. აქ სულ დღემდე საკმაოდ კარგადაა შემონახული ექვსი თაღოვანი ხიდი და სხვადასხვა ეპოქის ნაგებობათა ნაშთები თუ არქეოლოგიური ძეგლები. მათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გულთვათის ციხე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა შენ-თეფესაც, ან კიდევ უბრალოდ ჯიხა (კისე) კალეს უწოდებს. ბრაიერი და ვინფილდი მას ჯიხარ კალედ მოიხსენიებს და მათი ინფორმაციით ის იქვე მდებარე იუჯეჰისარში (ძვ. ლამგო) მდებარეობს. მათივე განმარტებით, ციხის

ჩრდილო-დასავლეთით, მოპირდაპირე ბორცვზე, სოფელ ელმალიკში (ძვ. კუზიკა) არის დანგრეული ეკლესია (Bryer, Wienfiled, 1985: 340).

ჯიხა-კალეზე ისტორიული წყაროები ძალზედ მწირია, ერთადერთი შეიძლება ითქვას, რომ XV საუკუნისათვის, როდესაც აქ ოსმალები შემოვიდნენ ის ჰემშილების წინამძღოლის არჰაკელის მმართველობის ქვეშ გახლდათ, ისევე როგორც ზილ-კალე, ვაროში და, შესაძლებელია, ათინაც (Bryer, Wienfiled, 1985: 337). თუმცა, სხვადასხვა მკვლევართა ვარაუდით, რეგიონის სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, აქ საფორტიფიკაციო ნაგებობა რომაულ პერიოდშიც უნდა არსებულიყო (Mitford, T.B. 1980: 287, Speidel, M.P. 1983: 26-27).

ციხე მდებარეობს მდინარე ჰემშილ-დერესა და მისი მარჯვენა შენაკადის მელესკურის წყალგამყოფი ქედის ერთ-ერთ ყველაზე შემაღლებულ ბორცვზე. ქალაქ ფაზარიდან ამ მდინარეთა ხერთვისამდე 8 კმ-ია. შემდეგ უნდა შეუხვიო მელესკურის ხეობაში, გაჰყვე მდინარის მარცხენა მხარის სოფლებს: ლამგოს (იუჯეჰისარი), გულთვათს (შენთე-ქოი) და მიადგები უშუალოდ ციხისათვის განკუთვნილი ბორცვის შუა წელს, საიდანაც ადგილობრივ ხელისუფლებას გაუყვანია სამანქანე გზა უშულოდ ძეგლამდე. ციხემდე ხერთვისიდან 4,5 კმ-ია, ხოლო მთლიანი მანძილი ფაზარიდან ციხემდე, თითქმის-13 კმ-დეა.

ციხე ჭანეთის მთისწინა ზოლის ერთ-ერთ შემაღლებულ მართლაც გამოკვეთილად გამორჩეულ კონუსისებური ფორმის ბორცვზეა დაშენებული. იგი ორივე მდინარისაგან საკმაოდაა დაცილებული. სამაგიეროდ თავისი ხელსაყრელი ადგილმდებაროებით შესანიშნავად აკონტროლებს ორივე ხეობის მთელ სივრცეს ზღვისპირეთიდან მოკიდებული ალპურ ზონამდე. აქედან შესანიშნავად მოსჩანს მთლიანად ხეობა ოთხივე მხრივ, რაც იშვიათი შემთხვევაა.

ციხე, ზედ ბორცვის წვერზეა დაშენებული. ციხის ტერიტორია საკმაოდ

მიუვალია. ბორცვის მკვეთრად დახრილი დასავლეთი ფერდობები მდინარე ჰემშილდერემდე ეშვება. აღმოსავლეთის- მდინარე მელესკურის ხეობამდე. ჩრდილოეთის კი- სოფელ გულთვათამდე. რაც შეეხება სამხრეთის მხარეს, იგი ბორცვის დასაწყისამდე ვრცელდება. სწორედ ამ მხრიდან ჰქონდა ციხეს შედარებით დაუცველი ტერიტორია. ეს გაუთვალისწინებიათ თავის დროზე ციხის მშენებლებს და გალავნის კედელიც საგულდაგულოდ გაუმაგრებიათ, რაზედაც შედარებით ვრცლად ქვემოთ გვექნება საუბარი.

საკუთრივ ციხის გეგმას, ბორცვის კონფიგურაცია განსაზღვრავს. იგი მთლიანობაში ოვალური ფორმისაა. გალავნის კედლები საკმაოდ კარგადაა შემონახული. ისინი კუთხეებში რელიეფის შესაბამისად რამდენადმე მომრგვალებულია. მათ ზოგან ემჩნევა შეკეთებისა თუ მოგვიანო პერიოდში აღდგენის კვალი. შედარებით ცუდადაა შემონახული ციხის აღმოსავლეთი გალავნის კედლის ჩრდილოეთი მონაკვეთი. კედლების სისქე სხვადასხვა ნაწილში განსხვავებულია და 1.2 მ-დან 1,8 მ-მდე მერყეობს. მათი შემორჩენილი ნაწილის მაქსიმალური სიმაღლე 6-7მ-ია. კედლები ნაგებია სხვადასხვა ზომის გარე ზედაპირჩამოსწორებული საშუალო ზომის ბაზალტისა თუ ქვიშაქვის ქვებით. ზოგიერთ ადგილას შეინიშნება რიგთაშორისი თანმიმდევრობაც და წყობა თარაზულია. ზოგან როგორც გალავნის კედლებში, ისე განსაკუთრებით კოშკების შუა წელის წყობებში დატანილია გვერდებაკეცილი კრამიტისგან შედგენილი სარტყლები. კედლებში მათი 2 ზოგან კი 3 რიგია დადასტურებული. შემაკავშირებელ მასალად დუღაბის თხელი მასაა გამოყენებული.

ციხის შიდა ტერიტორია გალავნის კედლებისა თუ ცენტრალურ ნაწილში არსებული ეკლესიის ნანგრევებითაა გადატვირთული. შიდა სივრცის სიგრძე 27 მ-ია, სიგანე კი-22 მ. ციხეს კარიბჭე აღ. მხრიდან ჰქონია. აქ კედლები საკმაოდ კარგადაა შემონახული და ფართეც (1.85მ). საკუთრივ შესასვლელი

გამონგრეულ, გაფართოებულია და მისი ზომების განსაზღვრა შეუძლებელი ხდება. კარიბჭეს იცავს გალავნის კედლებში დატანილი ორი კოშკი. შედარებით კარგადაა შემონახული შემოსასვლელიდან მარჯვენა მხარეს არსებული კოშკი. იგი ნახევარწრიული მოყვანილობისაა. მისი შემორჩენილი სიმაღლე გარე მხრიდან 7,5 მ. შიგა მხრიდან კი -6,5მ. კოშკის შიდა შესასვლელი მხარე მთლიანად მონგრეულია. სიღრმე კოშკისა 2,75მ-ია. შუაწელზე დატანილი აქვს სამი სათვალთვალო სარკმელი. მათი ფორმა ისრისებურია. შიგა მხრიდან მათი სიფართე 60-65სმ-ია. ისინი გარეთ თანდათანობით ვიწროვდება. სარკმლის სიგრძე კოშკის კედლების სისქის შესაბამისად 90სმ; 1,1-1,4მ-ია. საინტერესოა ისიც რომ კოშკის ჩრდ. მხარე, რომელიც შედარებით მიუვალია, აქ კედლის სისქეც შედარებით ნაკლებია და იგი 90 სმ-ია. შემდეგ კარიბჭისაკენ თანდათანობით ფართოვდება და 1,1მ-ია, ხოლო უშუალოდ კარიბჭის მხარეს უკვე-1,8 მ-მდე ფართოვდება. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ძირითადი დარტყმა სწორედ ციხის კარიბჭის ამ მონაკვეთში მოდიოდა. კოშკის სიფართე შიდა მხარის შესასვლელში 2,6 მეტრია. საინტერესოა ისიც, რომ სწორედ ამ კოშკის შუაწელზეა დატანილი სამრიგიანი სოლენის ტიპის კრამიტებისაგან შედგენილი სარტყელი. კოშკისაგან კარიბჭე დაახლოებით 3,5 მეტრითაა დაცილებული. მისი ერთ ერთი ძირითადი ფუნქცია უნდა ყოფილიყო ციხის ცენტრალური შესასვლელის დაცვა.

კარიბჭის მონაკვეთისაგან სამხრეთით 5,5 მ-ის დაცილებით გალავნის კედელში, ასევე ჩაშენებულია მეორე კოშკიც. მისი ძირითადი ფუნქცია გალავნის აღმოსავლეთი კედლის დაცვის გარდა უნდა ყოფილიყო ცენტრალური კარიბჭის მეთვალყურეობაც. გარედან კოშკი კარგად გამოიყურება და კედლებიც საკმაოდ მაღალია (4,5-5მ). სამაგიეროდ ამას ვერ ვიტყვით შიდა მხარეზე. აქ ნანგრევებისგან ჩახერგილია კოშკის თითქმის მთლიანი სივრცე, ამიტომ

ზომების აღება ვერ ხერხდება. კოშკის კედლის წყობაშიც ჩანს კრამიტისაგან შედგენილი სარტყლების გამოყენებაც.

ციხეს ქონდა მესამე კოშკიც. იგი ჩართულია სამხრეთი კედლის ცენტრალურ მონაკვეთში. კოშკი სწორკუთხა ფორმისაა და გალავნის კედლისაგან გარეთ 4 მეტრითაა გაზიდული. სიგანე გარემხრიდან-6 მ-ია. ამ კოშკის ძრითადი ფუნქცია უნდა ყოფილიყო შედარებით სუსტად დაცული სამხრეთი გალავნის კედლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. აქედან ფლანკირებული სროლებით შესაძლებელი იქნებოდა კოშკის ორივე მხარის გალავნის კედლების საიმედოდ დაცვა. ხის კოჭებისათვის განკუთვნილი ბუდეების მიხედვით ჩანს, რომ კოშკი 3 სართულიანი მაინც უნდა ყოფილიყო. მისი შიდა ზომებია 6X4მ, შემორჩენილი სიმაღლე კი - 7,5 მეტრია. კოშკის კუთხეები ამოშენებულია კარგად დამუშავებული მოგრძო ზომის ქვების ურთიერთმონაცვლეობით, რაც ძირითადად ადრე ბიზანტიური ეპოქის სამშენებლო ხელოვნებისთვისაა დამახასიათებელი. კოშკის შიდა ღიობის ხარჯზე მოგვიანებით ამოუშენებიათ მორკალური, ნახევარწრიული ფორმის ორი მეტრი სისქის კედელი. ამით ციხის მშენებლებს კოშკი შიდა ციხის აკროპოლისად უქცევიათ. კოშკში შეღწევა ასაწევი კიბით თუ შეიძლებოდა. მინაშენის წყობა სამშენებლო ტექნიკა, ქვის ფერი სრულიად განსხვავებულია ძირითადი ნაწილისაგან და აშკარად ჩანს რომ იგი მოგვიანო პერიოდის ჩანართია. წყობაში გამოყენებულია ფლეთილი ქვის დამუშავებული სხვადასხვა ზომის ქვები. კედლის ქვედა ნაწილში 1,6 მეტრის სიმაღლემდე, ქვების წყობები თარაზულს უახლოვდება (დაახლოებით 6 რიგი). მათ შემაკავშირებელ მასალად გამოყენებულია დუღაბის საკმაოდ სქელი ფენა. ამავე კედელში დატანილია ციხის შიდა ტერიტორიისაკენ წრიული ფორმის სამზერები, რომელთა დიამეტრი 10-15სმ-ია. მსგავსი სამზერები მრავლადაა ასევე დატანილი

შედარებით ადრეული პერიოდის გალავნის კედლებშიც. ამ კოშკის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს ისიც რომ მას გარედან, სამხრეთის მხრიდან, საძრკვლის დონეზე დამატებით მიშენებული აქვს ნახევარწრიული ფორმის კედელი. ამით კოშკი დამატებითაა გამაგრებული.

ციხის ტერიტორიაზე მიყვანილი გზის ჭრილსა თუ შემოგარენში ზედაპირული დათვალიერებისას დაფიქსირდა როგორც ადრეული ეპოქის, ისე შედარებით მოგვიანო, ციხის თანადროული არქეოლოგიური მასალები. მათგან განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ოფსიდიანის ნატეხები, ასევე ადრეული პერიოდის საოჯახო-შინსახმარი კერამიკის და ადრებიზანტიური ეპოქის სოლენის ტიპის თუ ღარიანი კრამიტის ნატეხები, ასევე დოქის, ჯამების თუ სხვა სახის კერამიკის ფრაგმენტები. ჩანს რომ ეს ბორცვი ჯერ კიდევ საკმაოდ ადრეულ ეპოქებში გამოყენებული იყო გორასამოსახლოდ, ხოლო მოგვიანო პერიოდში (ადრებიზანტიურ ხანაში) აქვე აუშენებიათ საფორტიფიკაციო ნაგებობა, რომელიც შეიძლება ითქვას შესანიშნავად აკონტროლებდა როგორც ზღვისპირა ზოლში, ისე ჰემშილდერეზე თუ მელესკურის ხეობაზე ერზრუმისაკენ გამავალ გზებს. ამაზე უნდა მიანიშნებდეს ასევე ზღვის სანაპირო ზოლიდან ხეობის სათავეებამდე დღემდე მოღწეული 6 თაღოვანი ხიდის არსებობაც (ისტორიული ჭანეთის… 2019).

თორდოვათის ციხე. მდ. ყიბლედაღ-დერეს (ადინეოსი) აღმოსავლეთით, ჩაიელის (მაფარვა, ჭანურად ფოთლოვანი)[2] შემდეგ ანტიკური ავტორები ასახელებენ ნავმისადგომ კორდილეს (Plin., NH, VI, 11; Ptol., V, 6, 10; Anon., PPE, 39), რომელიც, ჩვენის აზრით, შეესაბამება პაზართან ახლოს (5 კმ), ლაროსის

[2] ის ძველ ოდეინიოსთან (Ps. Scyl., 83) გაიგივებულ ადიენოსს/არდინკოს ~Arr., PPE, 7; Tab. Peut., X, 4; Anon., PPE, 39) უნდა შეესატყვისებოდეს. ანონიმი აღნიშნავს, რომ ამ პუნქტს კარგი ნავმისადგომი აქვს. ამ მხრივ საინტერესოა ლიმანქოი, რომელიც უკვე ყიბლა-დაღ-დერეს დასავლეთითაა.

კონცხზე განლაგებულ თორდოვათს. ის, თავის მხრივ, იუსტინიანეს დროინდელ თეოდორიადას (Agath., V, 1) უნდა შეესატყვისებოდეს (იხ. სიხარულიძე, 1979: 21-22).[3] ტოპონიმი თეოდორიადა ჭან მთავარსარდალ თეოდორეს უკავშირდება, რომელმაც თავი გამოიჩინა სპარსელებისა და მისიმიანელების წინააღმდეგ ბრძოლაში 553-555 წწ, ხოლო 556 წ თავისი თანატომელების ანტიბიზანტიური აჯანყების ჩაქრობაში (დაწვ.იხ. კახიძე, 2002a: 129).

„ორენტიოსის მარტვილობაში“ მიხედვით კორდილონში ქრისტიანობისთვის წამებული ფარნაკიოსი მიიცვალა (კეკელიძე, 1957: 621). ახ.წ. მე-5 ს ანონიმი ავტორი კორდილეს, ისევე როგორც აფსაროსს და ათინას სოფლად მოიხსენიებს (PPE, 39-40). აღსანიშნავია, რომ მის პერიოდში უნდა მომხდარიყო რიზეს დაკნინებაც. პროკოპი კესარიელი იუსტინიანეს მიერ ციხის აღდგენამდე არსებულ დასახლებაზე საუბრობს (Aed, III, 7). ისევე როგორც რეგიონის სხვა ადგილებში, აქაც იუსტინიანემ სერიოზული სამშენებლო საქმიანობა გააჩაღა. აქ, კერძოდ კი ახლად დაფუძნებულ თორდოვათის ციხეში ჭანთა 556 წ აჯანყების დროს ბიზანტიელთა ჯარი დაბანაკდა (Agath., V, 1).

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ძეგლის მოძიება საკმაოდ გაჭირდა. ქ. ფაზარის (ძვ. ათინა) გასასვლელზე არსებული ზილ-კალეს ციხეზე მუშაობის პროცესში ლაზ მონადირესთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ამ ციხიდან დაახლოებით 2 კმ-ში ზღვასთან ახლოს იყო მეორე ციხე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა თორდოვათის ციხეს ეძახდა. დიდი ძებნის მიუხედავად მის ადგილსამყოფელს ვერ მივაგენით. დახმარებისათვის მივმართეთ იქვე ზღვის პატარა ყურეში

[3] ნ. მარი სწორედ ამ პუნქტის ნავსადგურად მიიჩნევდა ცოტა უფრო აღმოსავლეთით, თორდოვათსა და პაზარს შორის განლაგებულ მდ. კალეჯუკის შესართავს (Mapp, 1910: 609). ი. სიხარულიძე კი ამ უკანასკნელს კორდილონთან აიგივებს (1979: 20).

არსებული სეინერების ერთ-ერთ კაპიტანს, წარმოშობით აფხაზ ქემალ კამბაის. მან საკუთარი ტრანსპორტით მიგვიყვანა ციხის ტერიტორიაზე. ციხის სხვადასხვა სახელწოდებებია დღემდე შემორჩენილი ადგილობრივ მოსახლეობაში და მას თორდოვათის, სივრი-კალის, გენუელების ციხის, რუმ-კალის, კალეჯუკის, ზილეღიკალეს სახელწოდებებითაც მოიხსენიებენ.

სამწუხაროდ, 1957 წ გზის მშენებლობისას ციხის დიდი ნაწილი დაინგრა. ბრაიერისა და ვინფილდის მონაცემებით, მხოლოდ ცენტრალური კოშკის სამხრეთი კედლის და გარე ფორტიფიკაციის ნაწილი გადარჩა. კედლები უწესრიგოდ დალაგებული ქვებითაა ნაშენი, თუმცა კვადრებით ნაგებ ზედა ნაწილს უფრო რეგულარული მშენებლობის კვალი ატყვია. გამოყენებულია კირ-ხსნარი, რომელშიც ქვები და ქვიშაა გარეული. კოშკს სამი ან სამზე მეტი სართული აქვს. ზედა სართულზე ოთხკუთხა მოყვანილობის სარკმელია, ხოლო მის ქვემოთ გარედან მომრგვალებულ-თაღოვანი და შიგნიდან ოთხკუთხა სარკმელი, რომელიც მოგვიანებით გაამაგრეს (Bryer, Wienfiled, 1985: 334).

ამჟამად მდგომარეობა კიდევ უფრო სავალალოა. ტერიტორია, სადაც ციხეა აშენებული თანამედროვე ცენტრალური ტრასიდან დაახლოებით 1 კმ-შია. ხოლო პირდაპირ ზღვის სანაპირო ზოლიდან კი 70-100 მ-ში. უშუალოდ ციხე მდ. კალეჯუკის (თორდოვათის, თან. სივრიკალე) ზღავსთან შესართავის მარცხენა მხარეს არსებულ შემაღლებულ კონცხზეა დაშენებული.

ეს ტერიტორია ძირითადი ნაწილისაგან ზღვისაკენ წინ სოლისებურადაა შეჭრილი. კონცხის ზედა, სამხრეთ-დასავლეთი მონაკვეთი შედარებით ფართეა, ხოლო ჩრდილოეთით, ზღვის სანაპირო ზოლისაკენ ვიწროვდება და მკვეთრად დახრილი კლდოვანი კალთებით მთავრდება. ასეთივე კლდოვანი რელიეფია დამახასიათებელი კონცხის აღმოსავლეთი მონაკვეთისათვის მდინარის სანაპირო ზოლამდე და დასავლეთითაც. ასე, რომ მშენებლებს თავის დროზე

ციხისათვის საკმაოდ კარგი სტრატეგიული ადგილი შეურჩევიათ. აქედან დიდ პერიმეტრზე შესანიშნავად მოსჩანს ზღვის სივრცე ყველა მიმართულებით. მათ შორის კიზ-კალეს საფორტიფიკაციო ნაგებობაც. ციხეს შეეძლო კარგად გაეკონტროლებინა აქ გამავალი როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო გზები. აქაურთა გადმოცემით ციხის ნაშთები თითქმის ბოლო დრომდე კარგად იყო შემორჩენილი. მაგრამ ზღვის სანაპირო ზოლში ცენტრალური ტრასისა და სოფლისაკენ მიმავალი საავტომობილო გზების გაყვანის დროს მისი დიდი ნაწილი დაინგრა. ფაქტიურად კონცხისა და მასზე მორგებული ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი მონაკვეთები განადგურდა. ზოგან გზებისათვის დაჭრილი კლდოვანი რელიეფის სიმაღლე 20-25 მეტრსაც კი აღწევს. ციხის დღემდე მოღწეული მთლიანი ტერიტორია დაახლოებით 1 ჰექტარს მოიცავს. მთელი ფართობი მაღალი ხეებით და ეკალ-ბარდითაა დაფარული. ზედაპირული დათვალიერებით ჩანს, რომ ნაგებობათა ნაშთები თითქმის საძირკვლის დონემდეა დანგრეული. შედარებით კარგადაა გადარჩენილი კლდოვანი ბორცვის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში შემორჩენილი ნაშთები. იგი აშკარად გვიანრომაული ეპოქის კედლებისათვის დამახასიათებელი წყობითაა წარმოდგენილი. იგი ნაგებია ქვიშაქვის კარგად დამუშავებული კვადრებით, რომელთა შემაკავშირებლად კირხსნარის თხელი ფენაა გამოყენებული. შემორჩენილი კედლის მაქსიმალური სიმაღლე 1,7 მ-ს აღწევს. როგორც ჩანს კედლის ეს ნაწილი თავის დროზე წარმოადგენდა აქ არსებული რომელიღაც ნაგებობის შემადგენელ ნაწილს, რომელიც სოფლისკენ მიმავალი საავტომობილო გზის მშენებლობისას განადგურდა (ისტორიული ჭანეთის… 2019).

საძირკვლის ნაშთები შემორჩენილია ასევე ბორცვის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთში თუ ზღვისკენ წაზიდული კონცხის ჩრდილოეთ ნაწილშიც.

კონცხის ცენტრალურ მონაკვეთში და აღმოსავლეთითაც გვხვდება განსხვავებული ქვის წყობებით წარმოდგენილი საძირკვლების ნაშთები, ან კიდევ კედლის ერთი ან ორი რიგი. ისინი ნაგებია არცთუისე კარგად დამუშავებული, სხვადასხვა ზომის ქვიშა-ქვის ქვებით. არაა გამორიცხული ეს საამშენებლო ფენა ბიზანტიურ პერიოდს უკავშირდებოდეს.

ციხის ტერიტორია ვრცელდება სამხრეთ-დასავლეთითაც. აქ ზედაპირული დათვალიერებით არ დასტურდება რაიმე ნაგებობის ნარჩენები, თუმცა ჩანს ე.წ. ,,მოხალისე არქეოლოგთა“ საკმაოდ ძლიერი კვალი. ოქროს მაძიებლებს გადაუთხრიათ აქაურობა.

ციხის ტერიტორიის დათვალიერებისას გვხვდებოდა კერამიკული მასალის ფრაგმენტებიც, რომელთა შორის განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ე.წ. სოლენის ტიპის კრამიტის ნატეხები. მათში დასტურდება როგორც ადრეული (რომაული), ისე შედარებით მოგვიანი (ადრებიზანტიური) პერიოდის ნიმუშებიც. ვფიქრობთ, ციხე ფუნქციონირებას იწყებს გვიანრომაულ ეპოქაში, ხოლო არსებობას აგრძელებს ადრებიზანტიურ ხანაშიც.

რიზეს ციხე. (ტაბ. VII) ბეხეირიკა-ბექირიადასთან (Hec., fr. 202; Ps. Scyl., 84) გაიგივებული რიზუსი (Ptol., V, 6, 6; IR, col. 648; Arr. PPE, 8; Anon. PPE, 39), კასტორიუსის რუკაზე დატანილი რეილასა (Tab. Peut., X, 3) და Notitia Dignitatum-ის ალადალეარიზას (or., 38) შესატყვისი უნდა იყოს (ყაუხჩიშვილი, 1976: 86; Gregory, 1997: 27, სურ. 7. 1-7.2).

აქ ფიქსირდება სქემატური კონფიგურაციის ციტადელი (3, 75 ჰ). თავისი სამკუთხა მოყვანილობითა და ქალაქის თავზე განლაგებული სიმაგრით ეს პუნქტი უახლეს პარალელს პოულობს ახ.წ. მე-6 ს დასაწყისში სირიაში აგებულ ზენობიასთან (Gregory, 1997: 140-146, სურ. D. 2.2-2.12). წყაროებიდან ვგებულობთ, რომ იუსტინიანემ სოფლად ქცეული რიზაიონი განაახლა და

ზღუდე, სიმაგრე შემოავლო (Proc., Aed, III, 6-7). თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ არიანემ 136 წ ალანთა წინააღმდეგ კომპანიის დროს ამ პუნქტიდან მეშუბე რიზელები გამოიძახა (Exp. c. Alan., 7), უნდა ვივარაუდოთ, რომ რიზეში რომაული საჯარისო ნაწილები ახ.წ. მე-2 ს უკვე ჩაყენებული იყო და შესაბამისად საფორტიფიკაციო ნაგებობაც ფუნქციონირებდა. მე-4 ს დამდეგს აქ ქრისტიანობის მიღებისთვის სამხედრო მოხელე ორენტიოსი აწამეს (კეკელიძე, 1957: 301), ხოლო მე-5 ს-დან მაინც განლაგებულია ცხენოსანთა რაზმი Ala Rizena (Not. Dig., Or. 38).

სხვა მნიშვნელოვანი პუნქტებისგან განსხვავებით, რიზეს არ გააჩნდა კარგი მისასვლელები სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ჰინტერლანდში, რაც ერთგვარად აკნინებდა მის როლს რეგიონში (ისტორიული ჭანეთის… 2019).

რიზეს ციტადელი, ქალაქის ცენტრიდან სამხრეთ-დასავლეთით, ზღვის დონიდან 150 მ-ზეა განლაგებული. მას ხუთი მომრგვალებული კოშკი გააჩნია. ციტადელის გარეთ განლაგებული საფორტიფიკაციო კედლები 7-მ-ითაა დაცილებული ციტადელს და უფრო გვიანდელი კონსტრუქციებია (Bryer, Winfield, 1985: 332).

ქვედა ციტადელი სწორკუთხედის მოყვანილობისაა, დაახლოებით იგივე ზომისა, როგორც ზედა, თუმცა კედლების წყობა გაცილებით უფრო ცუდადაა შენარჩუნებული (Bryer, Winfield, 1985: 333).

დასავლეთი კედელი მომცრო, ოთხკუთხედი ქვებითაა ნაგები. მე-2 კოშკი განსაკუთრებით გამოირჩევა თავისი ზომებით (შიდა სივრცე 5 მ დმ, კედლების სისქე 2 მ). აქ ორი სართულია. თითქმის იგივე ზომებისაა მე-4, მე-5 და მე-9 კოშკები. დანარჩენი კონსტრუქციები თანამედროვე ნაგებობებითაა დაფარული და ჭირს მათი ზუსტი იდენტიფიკაცია (Bryer, Winfield, 1985: 333-334).

ჯ.პალგრევი საუბრობს აქ ბიზანტიური კედლებისა და კოშკების მასიურობაზე, რომლებიც, მისი თქმით, 2 მილზე იყო გადაჭიმული (Пальгрев, 1882: 74), თმცა სინამდვილეში მათი ზომა მითითებულის ნახევარიც არაა (დაახლ. 43, 750 კვ.მ). ინგლისელი კონსული საუბრობს მრავალრიცხოვან სამრეკლოებზეც, თუმცა მათ კვალს მომდევნო ხანის მოგზაურები არ ადასტურებენ, თუმცა საუბრობენ სომხურ ეკლესიასა და მართლმადიდებლურ საეპისკოპოზე (Lebeau, 1836: შენ. 507). ეპისკოპოსის კათედრა აქ მე-7 ს უნდა არსებულიყო, რომელიც 715-730 წწ არქიეპისკოპოსის სტატუსამდე ამაღლდა. 980 წ მისი მნიშვნელობა დაეცა და კვლავ პონტოს ნეოკესარიის ეპარქიას დაექვემდებარა, როგორც იყო მე-7 ს-დე. დამოუკიდებლობა 1142/3 წ აღიდგინა ამჯერად და მე-15 ს ბოლომდე შეინარჩუნა სტატუსი (Bryer, Winfield, 1985: 332 და იქ მით.ლიტ.). რეგიონში ყველაზე ცნობილი მონასტერია ფაროსი, რომლის ბინადართა სახელები მათ განსხვავებულ, ბერძნულ-ქართულ-სომხურ წარმომავლობაზე საუბრობს. მაგალითად, ერთ-ერთი მღვდელი იოანე გერელისი, გურიიდან უნდა ყოფილიყო წარმოშობით (Laurent, 1953: 269).

შემორჩენილი არქიტექტურული ძეგლები საშუალებას იძლევიან ადრეული სამშენებლო პერიოდი იუსტინიანეს ხანით განისაზღვროს, ხოლო უფრო გვიანდელი ტრაპეზუნტის იმპერიის ხანას, უფრო მე-14 ს უნდა მიეკუთვნოს, თუმცა არაა გამორიცხული უფრო ადრეული პერიოდის პლასტებიც (Bryer, Winfield, 1985: 334).

რიზეს აღმოსავლეთით, 10 კმ., სოფ. გუნდოღდუში, სოფლის სკოლასთან არის ბოზუკ-კალე, რომელიც ვერ მივაკვლიეთ. ბრაიერისა და ვინფილდის აღწერით ის ზღვის დონიდან 30 მ-ზეა. სხვა საზღვაო საფორტიფიკაციო ნაგებობების მსგავსად ესაა ტრაპეზიუმი, ჩრდილოეთისკენ გაწეული მასიური საძირკველით, რომელიც ვიწროვდება სამხრეთისკენ. ჩრდილოეთი მხარე

ბუნებრივად დაცულია და აქ, შესაძლებელია, ხის კედლები ყოფილიყო, სამხრეთი კედელი კი კლდის ყელს იცავს. დასავლეთის კედლის ნაშთები აღარ იკითხება, ხოლო აღმოსავლეთის მხოლოდ 50 მ-ია გადარჩენილი. სავარაუდოდ, ეს საგუშაგო კოშკია, რომელის ზომაც ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ 50 მ-ია, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთით 10 მ, და რიზის ციხის ფორტპოსტი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან მცირე აზიის ცენტრალური ნაწილისკენ აქედან არანაირი მნიშვნელოვანი გზა არ გადის (Bryer, Winfield, 1985: 334).

ოფის ციხე. ოფი ანუ ძველი თია/ოფის/ოფიუსი (Arr., PPE, 7; Ptol., V, 6, 6; It. Ant., 648; Anon., PPE, 38, 42). ეს ჯერ კიდევ ბერძნული კოლონიზაციის დროს არსებული პუნქტი გაიგივებულია უფრო მოგვიანო ხანის პითიუსსა (Amm. Marc., Res Gestae, XXII, 8, 16-17) და პითიესთან (Not. Dig., or., 38), სადაც ცხენოსანთა რაზმი Ala I felix Theodosiana იყო განლაგებული (დაწვ.იხ. Качарава, Квирквелия, 1991: 205, 224, 275). როგორც ცნობილია, აფხაზეთის პიტიუნტი ხშირად „დიდის“ ზედწოდებით მოიხსენიება. მიუხედავად თავისი სტრატეგიული მნიშვნელობისა, საეჭვოდ მიგვაჩნია საშუალო ზომის კასტელუმმა ამგვარი სახელწოდება თავისი მრავალრიცხოვანი მოსახლეობის ან დიდი ფართობისა თუ, თუნდაც მნიშვნელობის გამო დაიმსახურა. როგორც ჩანს, არსებობდა „მცირე“ პიტიუნტიც. მდ. იი-დერეს (კალაპოტამოსი) დასავლეთით, ოფის ციხის სიახლოვეს მართლაც დასტურდება ტოპონიმი ჩამლიქი (თურქ. ფიჭვნარი, იხ. სიხარულიძე, 1979: 58), რაც გვაფიქრებინებს ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმების ეტიმოლოგიურ კავშირზე.

მე-15 ს-დან ოფში საეპისკოპოსო ცენტრი ფუნქციონირებდა. აღსანიშვანია, რომ მე-17 ს-თვის აქაური მოსახლეობა გამუსლიმანდა, თუმცა შეინარჩუნა ბერძნული ენა (Bryer, Wienfiled, 1985: 322-323).

ოფის შესასვლელთან არის პატარა მდ. ბალთაჯი, ბათუმიდან ამ

მდინარემდე 92 მილია, აქედან ახლოსაა ქ. ოფი, ბათუმიდან ამ ქალაქამდე კი-94 მილია, მცხოვრებთა რაოდენობა. 7 500-ია; აქ ჩამოდის საკმაოდ დიდი მდინარე სულაკლი (ქართულად წყალუხვი), რომელიც ძვ. ოფიუნტი უნდა იყოს, ოფის შემდეგ, გზის მარცხენა მხარეს 2 კმ-ში არის ციხე. მას ადგილობრივი მოსახლეობა ოფ-კალეს, როში, როშვეს უწოდებს. ადგილობრივები მას ჯენევიზ კალეს ანუ გენუელების ციხეს უწოდებენ, რაც ძალზედ გავრცელებულია რეგიონში. ძველად იმ სოფელს სადაც ეს ციხე იდგა უწოდებდნენ ირფანლი მახალეს. აქაური უხუცესის სალიჰ ქილიჩის გადმოცემით თავის დროზე ციხე საკმაოდ დიდი მოცულობის ყოფილა და მისი კედლები ზღვამდე აღწევდა. ზღვისპირა ზოლში ცენტრალური გზის გაყვანისა და განსაკუთრებით მისი გაფართოების შემდეგ ციხის დიდი ნაწილი დაუნგრევიათ (1967-1971 წწ შორის). საინტერესოა, რომ იქ სადაც ციხეები გვხვდება, როგორც წესი კარგი ნავსაყუდელებიცაა; აქაც მოზრდილ ყურეს ზღვისკენ წაზიდული ქედები იცავენ ქარებისაგან; ამ ყურეებს კი თავის მხრივ იცავს საფორტიფიკაციო ნაგებობების ერთიანი სისტემა; ყველა მათგანი ყურეების დამცავ ქედებზეა დაშენებული, ან კიდევ შუა მონაკვეთს იცავს, მაგალითად კასტელი და ოფ-კალე; ეს უკანასკნელი ფერდობის ზღვისკენ წაზიდულ კონცხზეა დაშენებული; ის უფრო საგუშაგო ხასიათისაა; აკონტროლებს როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო გზებს; მისი სიგრძე დაახლ. 17 მ, სიგანე - 6,5 მ (შიდა ზომები); წყობა ჰორიზონტალური, რიგები დაცულია, საპირე ქვები კარგად დამუშავებული კვადრებია; ხსნარი ღია მოვარდისფრო; გეგმა მორგებულია რელიეფს; აღმოსავლეთის მხარეს შეინიშნება მაღალი, მრავალსართულიანი, ოთხკუთხა მოყვანილობის კოშკის არსებობა; ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ მისი 17-18 მ სიმაღლის ჩრდილოეთი კედელი, რომელშიც დატანილია ფოსოები იატაკის კოჭებისათვის; რაც შეეხება დასავლეთის, ჩრდილოეთის და სამხრეთის

გალავნის კედლებს, იგი თითქმის საძირკვლის დონემდეა მორღვეული. სამხრეთ კუთხეში ასევე ჩანს ნახევარწრისებური კოშკის კედლების საძირკვლების ნაშთები; შესასვლელი ციხეს აღმოსავლეთის მხრიდან ჰქონია; აქვე დაცულია კარის არკის წყობის ნაშთები; ოთხკუთხა კოშკის კედლები საკმაოდ სქელია (2 მ), რადგან ციხეს ერთადერთი, შედარებით სუსტად დაცული მხარე აღმოსავლეთით აქვს და ის ხელოვნურად ამ კოშკითაა გამაგრებული; წყობა და არქიტექტურა წააგავს ბიზანტიურ ეპოქას; კედლის მასივი რიყის ქვის ჰორიზონტალური წყობითაა ნაგები დუღაბზე. წყობაში მცირე ზომის კვადრები გამოიყოფა, რომელთა ზომები საშუალოდ 30X30 სმ-ია ციხის მდგომარეობა დაახლოებით იგივეა, რაც წინა საუკუნის 80-იან წწ, როცა ის ბრაიერმა და ვინფილდმა აღწერეს (Bryer, Wienfiled, 1985: 329-330).

ჩაიკარას (კადახორის) ციხე. ციხე მდებარეობს მდ. სულაკლის მარჯვენა შენაკად კალე-დერეს ხეობაში. იგი ქ. ოფიდან 25 კილომეტრითაა დაშორებული. სულაკლის წყალს მეორენაირად ოფის წყალსაც უწოდებენ. ხეობის შუაწელზე დაბა ჩაიკარასთან მდინარეს მარჯვენა მხრიდან უერთდება სწორედ კალე-დერესის ხეობა, რომელმაც ეს სახელწოდება მიიღო დაბა ჩაიკარადან 7კმ-ის დაშორებით ორი პატარა მდინარის იეშილასღანის ჰოლაისა და ეღრიდერეს (მორგორასი) ხერთვისში არსებული ციხისაგან. ციხე უშუალოდ ამ ორი პატარა მდინარის შესართავში არსებული წინწაზიდულ კლდოვან ბორცვზეა დაშენებული. იგი ზღვის დონიდან 427 მ-ზე მდებარეობს. აქედან შესანიშნავად მოსჩანს მთელი შემოგარენი და საკუთრივ ხეობა კარგა მოზრდილ მანძილზე. მისი ძირითადი დანიშნულება უნდა ყოფილიყო აქ გამავალი გზების გაკონტროლება, სადაც ერთი მხრივ თავს იყრიდა ერზრუმიდან, ბაიბურთიდან თუ სხვა რეგიონებიდან ზღვისპირეთისაკენ, თუ მეორეს მხრივ ზღვისპირეთიდან იქეთ მიმავალი გზები. საკუთრივ ციხის გეგმას განსაზღვრავს

ეღრიდერესა და იეშილაღანის ხერთვისში არსებული კლდოვანი ბორცვის მოყვანილობა. ნაგებობა ბორცვის კონფიგურაციის მიხედვით, ხეობის ხერთვისისკენაა წაზიდულ-წაგრძელებული. მიუხედავად იმისა, რომ ციხე დანგრეულია, გეგმა მაინც კარგად იკითხება. ციხის აღმოსავლეთი კედელი შედარებით სწორხაზოვანია, ასევეა დასავლეთის კედელიც. ეს ორი კედელი ერთგვარად მართკუთხედს ქმნის, რაც შეეხება გვერდით სამხრეთისა და ჩრდილოეთით კედლებს, ისინი რელიეფის შესაბამისად, არასწორხაზოვანია. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 6-7 მეტრია. აღმოსავლეთის კედელი დანარჩენთან შედარებით სქელია და 1,80მ-ს აღწევს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ციხეს ერთადერთი მისადგომი აქვს და ისიც აღმოსავლეთის მხრიდან. ციხის სიგრძე შუა ნაწილში 31,90მ-ია. ასევე სხვადასხვაა სიგანეც. შუა ნაწილში კი-22მ-ია. გვერდითი სამხრეთისა და ჩრდილოეთი კედლები, რომლებიც მიუვალია, შედარებით ვიწროა და მათი სისქე 1,20მ-ს აღწევს. ციხეს აქვს ორი კოშკი. პირველი მათგანი ჩართულია აღმოსავლეთი და სამხრეთი კედლების კვეთაში, ხოლო- მეორე აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი კედლების შეერთების მონაკვეთში, მათ შორის დაცილება 5,50მ-ია, როგორც ჩანს ციხის ცენტრალური კარიბჭეც აღმოსავლეთის კედლის ცენტრალურ მონაკვეთში უნდა ყოფილიყო განთავსებული. რომელსაც ეს კოშკები იცავდა. I კოშკი კარიბჭის ცენტრალური მონაკვეთის გარდა აკონტროლებდა იეშილაღანის და საკუთრივ კალედერეს ხეობებს, ასევე ცენტრალურ კარიბჭესა და ეღრიდერეს ხეობას. I კოშკი შედარებით კარგადაა გადარჩენილი. იგი სწორკუთხა მოყვანილობისაა. მისი შიდა ზომებია 6X4მ. კოშკის შემორჩენილი ნაწილის გარე კედლების სიმაღლე 10მ-ია. იგი ჩანს, რომ მრავალსართულიანი იყო. სართულებს შორის დამაკავშირებელი შახტა კარგად იკითხება. სართულებს შორის გადახურვები გადარჩენილობის ამ დონეზე არ იკითხება. კოშკის კედლის სისქე 1,20მ-ს აღწევს.

IIკოშკიც ოთხკუთხა მოყვანილობისაა. მისი გარეთა კედლებიც შედარებით ფართეა და 1,20მ-ია. კოშკის ზომებია 6X3მ. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე კი 3მ-ს აღწევს (ისტორიული ჭანეთის… 2019).

ციხის შიდა ტერიტორიაზე შეინიშნებოდა სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა საძირკვლის ნაშთები. მათი დანიშნულების გარკვევა ჭირს. როგორც ყველგან, აქაც მთელი ტერიტორია გადათხრილია ე.წ. ,,მოხალისე არქეოლოგთა“ მიერ.

ციხის კედლები ნაგებია კირხსნარით. წყობაში გამოყენებულია ნაგლეჯი ქვები. საპირე ქვების დიდი ნაწილი დამუშავებულია. ზოგან, განსაკუთრებით კუთხეების წყობაში, კარგად დამუშავებული და შედარებით მოზრდილი ზომის ქვებიცაა გამოყენებული.

ციხე ადგილობრივთა გადმოცემით, გენუელების აშენებულია. გარეგნული იერის, მშენებლობის ტექნიკისა და ,,მოხალისე არქეოლოგთა“ განათხარ ფენებში დაფიქსირებული კერამიკული მასალის მიხედვით იგი უფრო XI-XIII სს ძეგლი ჩანს. ვფიქრობთ, მთისწინაზოლში სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილას აგებული ამ ციხის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია უნდა ყოფილიყო ზღვისსანაპირო ზოლისაკენ მომავალი გზების გაკონტროლება. მართლაცდა ამ ხეობაზე გადიოდა ზღვის სანაპირო ზოლიდან ოფი-თაშქანი-ჯუმა-ფაზარის, დერნექვაზარის ბაიბურთისაკენ მიმავალი გზები.

თანამედროვე ოფის აღმოსავლეთით, ფიჯი ბურუნუს კონცხიდან ჩრდილოეთით, ესკიპაზართან, სადაც მდინარეების ბალთიჯის (ფსიქროსი, ცივი მდინარე) და მიკის შესართავიდან 11 კმ-ის მანძილზე დასახლება ჰაირატთან განლაგებულ სოფ. მაკიტორომანლიდან, დაახლ. 2 საათის ფეხით სასიარულო ბილიკი მიდის ფეტოკას (ფეოტოკოსი) ეკლესიაში.

ეკლესია გასული საუკუნის 50-იან წწ მოინახულა ინგლისელ მეცნიერთა

ჯგუფმა და მისი გეგმაც დატოვა. აქ დასტურდება წარწერაც, რომელიც 944-945 წწ თარიღდება და ათიოდე წლის წინ შესრულებულ რესტავრაციაზე მოგვითხრობს. ეკლესიის აფსიდა მრავალკუთხოვანია, რაც მის ტრაპიზონის იმპერიის დროინდელობაზე მიუთითებს. წყობა მეორადი გამოყენების თლილი ქვებისგან შემდგარი არარეგულარული წყობისაა. ორიოდე გადახურული ოთახი მიწის ზემოთაა, ნაწილი კი დაფლულია. აქვე, ადგილ ჩორნალში მეორე ეკლესიაც უნდა იყოს (Ballance, 1960: 167-169, სურ. 21).

მაკი-დერეს ხეობაში, იგივე ჰაირატთან არის ქვის ბურჯები, რომლებიც, სავარაუდოდ, ოსმალომდელი ხის ხიდის ნაშთებია, აქვე სოფ. ესკი პაზართან შუა საუკუნეების ციხის ნანგრევებიც დასტურდება (Bryer, Wienfiled, 1985: 330).

ზანაიერის ციხე. ჯანაიერი (ზანაიერი) არის ოთხკუთხა მოყვანილობის ციხე (200 X 300 მ), რომელსაც ოთხივე მხრიდან გააჩნია კარიბჭე. ციხე ბუნებრივადაა გამაგრებული გარდა სამხრეთის მიმართულებისა. კარიბჭეები ორსართულიანია და ქმნიან კოშკებს თითოეული კედლის ცენტრში. წყობა შედგება კირხსნარით შედუღაბებული ქვებისგან და თლილ ბლოკებზე არიან დაშენებულნი, რომელთაგან ზოგიერთის ზომა 1,20 X 0,75-ზეა (ისტორიული ჭანეთის… 2019).

ჩრდილოეთ კარიბჭეს გააჩნია სადა კარნიზი გარე მხრიდან, რომელიც მიანიშნებს ზედა სართულის დასაწყისს. ზედა სართულიდან გამოზიდულ თაღს ემჩნევა ჩაღრმავებული „ორნამენტები“, რაც რომაულ-ბიზანტიურ არქიტექტურას არ ახასიათებს და ადგილობრივი მოტივები უნდა იყოს. ზედა სართულის აღმოსავლეთით არსებული ნახევრადმომრგვალებული აფსიდი, რომელსაც თავის მხრივ ჩრდილოეთიდან ნიშა აქვს, მიუთითებს რომ აკარიბჭის თავზე სამრეკლო იყო.

სამხრეთის კარიბჭის მეორე სართულიდან, ფაქტობრივად, არაფერია

გადარჩენილი, გარდა opus sectile-ს მეთოდით დაგებული იატაკის ფრაგმენტებისა.

ცენტრში შემორჩენილია აფსიდიანი ნაგებობა, სავარაუდოდ ეკლესია, თუმცა ის იმდენადაა დაფარული მცენარეული საფარით, რომ კონფიგურაციაზე რაიმეს თქმა ძნელია.

ეს ციხე ჩვენმა ექსპედიციამაც დაათვალიერა. კალეჯუკის ციხედან სიღრმეში 3კმ-ის დაშორებით, სოფ. ბუზბუჯას ტერიტორიაზე. ნაციხარს ადგილობრივი მოსახლეობა ზანაიერს უწოდებს. საკუთრივ ციხე სოფლიდან ზღვისპირეთისაკენ დაქანებულ ყველაზე შემაღლებული ქედის ერთ-ერთ მოვაკებულ ტერიტორიაზეა დაშენებული. ადგილობრივთა გადმოცემით ციხის კედლებს ადრე უზარმაზარი მოვაკებული ტერიტორია ჰქონდა შემოკავებული. მოგვიანებით აქაურობა ,,გაუსუფთავებიათ'' და თხილის ბაღები გაუშენებიათ. ამჟამად მთლიანი ტერიტორია თხილითაა დაფარული. მიუხედავად ამისა აქა-იქ გადარჩენილია ციხის ნანგრევები. მათგან უნდა გამოიყოს ციხის დასავლეთით დღემდე შემორჩენილი კარიბჭის ნაშთები, სადაც მხოლოდ შემოსასვლელიდან მარცხენა მხარის საკმაოდ მაღალი (3,5მ) კედლის ნაშთები არის დარჩენილი. კედელს ორივე მხრივ მოპირკეთებისათვის განკუთვნილი კვადრები აცლილი აქვს. კედლებზე მხოლოდ ფოსოებიღაა შემორჩენილი. იქვე ახლოს მიწის დონეზე აქა-იქ ჩანს სხვადასხვა კედლებისათვის განკუთვნილი საძირკვლის ნაშთები.

მეორე ნაწილი ნანგრევებისა, რომელიც ციხის ტერიტორიაზეა შემორჩენილი, როგორც ჩანს ჩრდილოეთის კარიბჭის ნაწილს წარმოადგენდა. ამჟამად გადარჩენილია მხოლოდ კარიბჭის მონაკვეთი და ზედ დაშენებული კოშკი ანუ ორსართულიანი კოშკურა-კარიბჭე. ჩანს, რომ კედლების როგორც შიგა, ისე გარეთა ზედაპირის საპირე მხარეები ნაგები იყო კარგად

დამუშავებული კვადრებით. შედარებით კარგადაა დაცული კარიბჭე, გარდა ჩრდილოეთი კედლისა და კოშკის ორი - ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი მხარეები. კარიბჭის ცენტრალურ ნაწილში საკმაოდ მრავლად დაფიქსირდა სხვადასხვა სახის კერამიკის ნამტვრევები, რომელთა შორის ყურადღებას იქცევს სინოპური ამფორების (ტაბ. XVII), ქვევრების თუ კრამიტის ნატეხები. როგორც ჩანს, ზანაიერის ციხე გვიანანტიკური ხანის ძეგლია და იგი წარმოადგენდა ტიპიურ რომაულ კასტელიუმს. არაა გამორიცხული მისი გამოყენება მომდევნო ეპოქებშიც.

ძეგლის ადრინდელი შემსწავლელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ის ახ.წ. 1-ლი ს ბოლოსაა აღმართული და მოგვაგონებს აფსაროსს (Bryer, Wienfiled, 1985: 328-329; Gregory, 1997: 28-29). პონტოს სასაზღვრო სისტემაში შემავალ ციხე-სიმაგრეებს სამხედრო-საზღვაო ხასიათი ჰქონდათ (თოდუა, 2003: 39-51; გამყრელიძე, თოდუა, 2006: 25-96). როგორც ჩანს, ამავე კვალიფიკაციის უნდა იყოს ჰისოს ლიმენიც.

ციხე გადაჰყურებს კალეჯიკს, არაკლის კონცხს და ძველ სურმენეს. ეს სტრატეგიული ადგილია, იმითაც, რომ ზღვიდან, ყარა-დერეს ხეობის გავლით აკონტროლებს ბაიბურთისკენ (ძვ. პაიპერტესი) და მთლიანად ჭოროხის ქვედა დინებისკენ (აკამფსისი) მისასვლელებს. საქმე იმაშია, რომ ტრაპეზუნტიდან ბაიბურთამდე 201 კმ-ია, მაშინ როდესაც სურმენს სიახლოვეს განლაგებულ ოფიდან მხოლოდ 100 კმ, რაც ამ რეგიონს მე-6-7 სს ჭანების წინააღმდეგ მებრძოლი ბიზანტიელებისათვის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული არეალის მნიშვნელობას იძენდა. მსგავსი მნიშვნელობა ამ მხარემ 949-1080 წწ-შიც შეიძინა, როდესაც ბიზანტიელებმა არაბებისგან დაიბრუნეს ერზრუმი (თეოდოპოლისი), ვიდრე სელჯუკებამდე, რომლებმაც ისევ წაართვეს ბიზანტიელებს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ეს უმნიშვნელოვანესი ქალაქი. ოსმალურ

ხანაში ეს მხარე ე.წ. სამკუთხედის მნიშვნელოვანი არტერიაა, რომელიც აკავშირებდა ბათუმს ტრაპზონსა და ბაიბურთს. 1916 წ რუსმა გენერალმა იუდენიჩმა სწორედ ეს გზა აირჩია ბაიბურთზე შეტევისათვის (Bryer, Wienfiled, 1985: 324 და იქ მით.ლიტ.).

როგორც ჩანს, ეს ციხე შეესაბამება არიანეს მიერ მოხსენიებულ ჰისოს-ლიმენს (PPE, 4,8). ახ.წ. მე-2 ს აქ 1 კოჰორტა და 20 ცხენოსანი მსახურობდა (შპაიდელი, 1985: 134; Bryer, Wienfiled, 1985: 350). დაახლ. 406-408 წწ ბიზანტიური ძეგლის Notitia dignitatum-ის მიხედვით აქ (ისიპორტოში) უკვე Cohors Apuleia ciuium Romanorum-ი მსახურობდა (or. 38). ჰისოს-ლიმენს მოიხსენიებს, აგრეთვე, რომაული „იტინერარია“ როგორც ნისილიმეს (col. 648, 652, 681). ის აფსაროსთან და სებასტოპოლისთან ერთად ნახსენებია წმ. ანდრიას მიმოსვლაშიც (ხალვაში, 2011: 10-19). ძვ.წ. მე-5 ს ანონიმს თუ დავეყრდნობით, ჰისოს ნავსადგური უკვე სუსარმიადაა გადაკეთებული (PPE, 38). ასევე მოიხსენიებს მას პროკოპი კესარიელი (BG, VIII, II, 16). თუმცა, ევსების „ქრონიკაში“ (can., P. 190) ის კვლავ ძველი სახელით, ამჟამად კაუსოლიმენადაა მოხსენიებული (დაწვ. იხ. Качарава, Квирквелия, 1991: 124), თუმცა ეს სიურპრიზი არაა, ვინაიდან ცნობილია ამ ავტორის მიერ ძველი წყაროების ინტენსიური გამოყენების პრაქტიკა.

ჰისოს ლიმენი ადრებიზანტიურ ხანაში სუსარმია/სასურმენეს სახელითაა უფრო ცნობილი. ის, როგორც ზურგის მომარაგების ცენტრი, უნდა გამოეყენებინა იმპერატორ ჰერაკლეს მისი 622-623 წწ კავკასიური კამპანიის და ხაზარი მოკავშირეებთან შეხვედრის დროს. სავარაუდოდ, ამის შემდეგ ეწოდა სურმენეს ჰერაკლეა, მისი ახალდაბადებული ვაჟის საპატივცემულოდ და დღეს ის არაკლის სახელითაა ცნობილი (Bryer, Wienfiled, 1985: 327, 329).

სურმენეს ციხე. არსებობს საკუთრივ სურმენეს, ჰამურგიანის ციხეც.

თანამედროვე სურმენე მდებარეობს ყარა-დერეს (ჰისოსი) (ტაბ. V) დელტაში, კონკრეტულად კი მანაჰოზის ხეობაში. ყარა-დერე რეგიონის ყველაზე უფრო წყალუხვი არტერიაა, სადაც თანამედროვე მონაცემებსაც თუ გავითვალისწინებთ (Bryer, Wienfiled, 1985: 323), ნაოსნობა კარგად იყო განვითარებული. მე-19 ს პირველი ნახევრის მონაცემებით აქ სოფლის მეურნეობაა დაწინაურებული და სავაჭრო კონტაქტები სამეგრელო-გურიამდე აღწევდა (Brant, 1836: 191).

ციხე ქალაქის ცენტრიდან 1 კმ. მოშორებით კლდეზე შეიმჩნევა დანგრეული კოშკების კვალი, რომლის სამხრეთიდაც არის მეორე, უფრო მომცრო ბორცვი, სადაც ასევე არის სხვა კოშკი (რომელზეც ასვლა ვერ მოვახერხეთ). ჩრდილოეთის კოშკზე შეიმჩნევა კარიბჭის კვალი, ხოლო აღმოსავლეთ ბოლოში ცისტერნაა.

ქვის წყობის მიხედვით ჰამურგიანის ციხე შეესაბამება არაკლის კონცხზე განლაგებულ კალეჯიკს და, ზოგადად, შუა საუკუნეებით თარიღდება (Bryer, Wienfiled, 1985: 329).

სურმენე 1404 წ მოინახულა ესპანელმა მოგზაურმა რუი გონსალეს კლავიჯომ და მის ირგლივ არსებული სოფლები კოშკებიან (turroi) დასახლებებად მოიხსენია (Estrada, 1943: 244). ლათინური turroi ბერძნული tyrsis, pyrgos-დან მოდის (დაწვ.იხ. Hunt, 1947: 73, შენ. 41). საინტერესოა, რომ სტრაბონი (XII, 3, 18) ჰეპტოკომეტებს (?მოსინიკებს, დაწვ.იხ. ლორთქიფანიძე, 2010: 150-153) სწორედ πυργίοις-ებში მცხოვრებლებს უწოდებს. არ დაგვავიწყდეს, რომ მსგავსი ტიპის დასახლებები ამ რეგიონში, კერძოდ კი მოსინიკებთან ჯერ კიდევ ძვ.წ. მე-5 ს არსებობდა (Xen., Anab., V, 4, 26) და მათ შესახებ აპოლონიოს როდოსელიც საუბრობს: “მოსინიკები სახლებს იმართავდნენ ხის კოშკებში კარგად შეკრული ღობეებით; ამ კოშკებს

უწოდებდნენ „მოსინებს“. აქედანვე შეერქვათ მათ სახელი“ (Arg., II, 379). (Ps.Scymn., 909-910; Diod., Bibl., XIV, 30, 5-7; Dion. Perieg., 766; Dion. Halic., Antiq. Rom., I, 26, 2; Pomp. Mel., Chronogr., I, 106; Plin., NH, VI, 11; Val. Flac., Arg., IV, 365; Eus. ad Dion. Per., 765). 765).

სურმენეს ციხე მე-17 მოინახულა ევლია ჩელებიმ (Danişman, 1972: 97), თუმცა ეს ადგილი მაშინ, შეიძლება, სხვა ადგილს, კერძოდ მდ. ყარა-დერეს შესართავს შეესაბამებოდეს, ვინაიდან 1830-1834 წწ შინააშლილობის შემდეგ სურმენეს ქალაქური დასახლების განლაგება შეიცვალა (Bryer, Wienfiled, 1985: 323).

კალეჯიკის ციხე. არაკლიდან ტრაპიზონისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, ქალაქიდან გასავლელში არის კალეჯიკის ციხე. იგი ბათუმიდან 109 მილითაა დაშორებული. ციხე კალეჯიკის და იალიბოიუს შესაყარზე, ზღვისკენ წინწაზიდულ ნახევარკუნძულისებრ კონცხზეა (არაკლი ბურუნუ) დაშენებული და ზედ ზღვას გადაჰყურებს. ვნახეთ ციხის ნანგრევები, მას ადგილობრივი მოსახლეობა კალეჯიკ-კალეს, ზოგჯერ ახჩაკალეს ციხესაც ეძახიან (ისტორიული ჭანეთის… 2019).

ძალზედ საინტერესოდ გამოიყურება საკუთრივ კონცხის კონფიგურაცია. მას სამმხრივ (აღმოსავლეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით) ზღვა აკრავს, მისგან როგორც აღმოსავლეთით, ისე დასავლეთით მთის ქედები საკმაოდ ღრმად შედის ზღვაში და ციხის მონაკვეთში კარგა მოზრდილ მანძილზე ქმნის ყურეს, რომელიც საკმაოდ ხელსაყრელი ჩანს ნავსადგურისათვის. საინტერესოა ისიც, რომ კლდე რომელზეც ციხეა დაშენებული ჩრდილო-დასავლეთით სოლივით წინ ზღვაშია შეჭრილი. მისი აღმოსავლეთი და დასავლეთი მხარეები მაღლივი, ბუნებრივი ფრიალო კლდის შვერილებითაა ამოზიდული. მათ შორის საკმაოდ დიდ სივრცეში გემთსაყუდელია გამართული. აქა-იქ არსებული

შედარებით სუსტად დაცული ადგილები საკმაოდ მტკიცე ამოშნებული კედლებითაა გამაგრებული. შვერილებს შორისი შუა სივრცე შიგნითაა შეწეული და ქმნის ყურეს, რომელიც საკმაოდ ხელსაყრელი ჩანს გემების უშუალოდ მიუვალ და კარგად დაცულ-გამაგრებულ კლდოვან მასაზე მიყენებისათვის. კლდოვან შვერილებს შორის ყურიდან კი შეიძლებოდა უშუალოდ ციხის ტერიტორიაზე გადაადგილება. საინტერესოა ისიც, რომ ძირში ნავსაყუდელის გვერდით კლდეებზე დღემდეა შემორჩენილი ხელოვნურად ნაგები გრძივი კედლების ნაშთები. ეს ტერიტორია ციხით, რელიეფითა და ხელოვნურად ნაგები გრძივი კედლებით ქარებისაგან დაცული ჩანს. ვფიქრობთ, ციხის მშენებლებს ბუნებრივად არსებული შესაძლებლობები და მათ მიერ ხელოვნურად შექმნილი ზოგიერთი დამატებითი კედლებით, შეუქმნიათ საკმაოდ საინტერესოდ გამართული მისადგომი.

რაც შეეხება საკუთრივ ციხეს, მისი გალავნის კედლების დიდი ნაწილი თითქმის საძირკვლის დონემდეა მონგრეული. შემორჩენილი ნაშთების მიხედვით დაახლოებით შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ მის გეგმაზე. ნაგებობის გეგმას კლდოვანი ბორცვის კონფიგურაცია განსაზღვრავს. შემორჩენილია ციტადელი, რომელიც ბუნებრივ ბორცვზეა მორგებული და აკონტროლებს მთელს შემოგარენს და ზღვის დიდ აკვატორიას. ციხის ამ მონაკვეთში აქა-იქ შემორჩენილია კედლის წყობები. ჩანს, რომ ბორცვის წვერი, რომელიც საკმაოდ დიდ ფართს მოიცავს (დაახლოებით 500-600 კვ.მ) საგულდაგულოდ ყოფილა თავის დროზე გამაგრებული. ციხის ამ ნაწილის კედლებში ჩართული იყო კოშკები. ციხის ამ ნაწილის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში არსებული კოშკის გეგმაც კი იკითხება. იგი ნახევარწრიული მოყვანილობისაა.დღემდე შემორჩენილია საძირკვლის ზემოთ ქვის წყობის ორი რიგი (ზოგან სამიც). წყობა თარაზულია. გამოყენებულია საკმაოდ კარგად

დამუშავებული ქვის კვადრები. ვფიქრობთ, ამ კოშკის ძირითადი ფუნქცია უნდა ყოფილიყო ბუნებრივად შედარებით ნაკლებად დაცული სამხრეთი მხარის გაკონტროლება. აქედან ასევე შესანიშნავად მოსჩანს მთელი სივრცე ოთხივე მხრივ. ასეთივე კოშკის საძირკვლის დონემდე დანგრეული ნაშთებიღაა შემორჩენილი ციხის ამ მონაკვეთის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ კუთხეშიც. საკმაოდ კარგადაა შემონახული ციტადელის სამხრეთი კედელი თითქმის მთელს სიგრძეზეც. შემორჩენილი ნაწილის მაქსიმალური სიმაღლე2,5-2,7მ-ია. კედლის სისქე 80სმ-დან-1მ-მდე. მტერი ციხის შიდა ტერიტორიაზეც რომ მოხვედრილიყო ციხის ცენტრალურ ნაწილში მისი შეღწევა თითქმის შეუძლებელი იყო. ციხეს როგრც დღემდე შემონახული ნაშთების მიხედვით დასტურდება ქონდა საკმაოდ კარგად გამართული გალავნის კედლებიც. დღემდე კარგადაა დაცული სამხრეთ-აღმოსავლეთით მთელ სიგრძეზე არსებული გალავნის დიდი ნაწილი. ადგილობრივთა გადმოცემით ციხეს ასეთივე გალავანი გარს ერტყა სამხრეთითაც, რომელიც როგორც ზემოთაც აღინიშნა, ბუნებრივად ყველაზე სუსტად დაცული ტერიტორია იყო. იგი აქ ცენტრალური გზის გაყვანა გაფართოებისას დაუნგრევიათ. რაც შეეხება დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხარეებს, ისინი ისედაც ბუნებრივად მიუვალია, მაგრამ ციხის მშენებლებს, მიუხედავად ამისა კლდოვან შვერილებს შორის არსებული შედარებით დაბალი ადგილები თუ შუალედური სივრცეები, საკმაოდ მყარი და სქელი კედლებით შეუვსიათ და გაუმაგრებიათ. დღემდე გადარჩენილი გალავნის აღმოსავლეთი კედლის მაქსიმალური სიმაღლე 5,5 მ-ს აღწევს. დაცული სიგრძე კი - 28-30მ-ია. წყობა თარაზულია. გამოყენებულია ბაზალტისა თუ თირი ქვის, საკმაოდ, კარგად დამუშავებული ნიმუშები და მოთეთრო ფერის დუღაბის საკმაოდ თხელი ფენა. ციხის ტერიტორიის დათვალერებისას, ჩვენი ყურადღება მიიქცია სხვადასხვა სახის კერამიკული

ნაწარმის ნატეხებმა, მათ შორის სინოპური ამფორის ფრაგმენტებმა და სოლენის ტიპის კრამიტის ნატეხებმა. როგორც ჩანს, ციხე ფუნქციონირებას იწყებს საკმაოდ ადრეული პერიოდიდან და აგრძელებს არსებობას ადრე ბიზანტიურ ეპოქასა თუ მომდევნო ხანაშიაც. ადგილობრივთა გადმოცემით, ამ ციხიდან სიღრმეში 3კმ-ში სოფელ ბუზბუჯას ტერიტორიაზე არის ჯანაიერის (ზანაიერის) ციხის ნაშთებიც. არაა გამორიცხული, თავის დროზე კალეჯუკის ციხე, თავის ხელსაყრელი მდებარეობით წარმოადგენდა გამაგრებული ტიპის ნავსადგურს, ხოლო ჯანაიერი კი აქ მყოფ ლეგიონერთა ძირითად საყრდენ პუნქტს.

ბრაიერისა და ვინფილდის მოსაზრებით, ამ ციხემ შუა საუკუნეებში ჩაანაცვლა ზანაიერი (Bryer, Winfield, 1985: 328).

კალეჯიკ-ზანაიერის გაყოლებაზე, სიღრმეში, ბაიბურთისკენ მიმავალ გზაზე, არაკლიდან 10 კმ დაშორებით, არის აბო-ზავზაგას ციხის ნანგრევები. ამ უკანასკნელს გააჩნია ზედა ციხე აღმოსავლეთით და ქვედა ციხის ეზო დასავლეთით. თავდაცვითი სისტემები, ძირითადში, ბუნებრივ ფორტიფიკაციას მიყვება. ზედა ციხეში ცისტერნაა, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში შუა საუკუნეების სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისთვის დამახასიათებელი სამრეკლო (Wienfield, Wainwright, 1962: 157).

ზემოთაღნიშნული ციხე-სიმაგრეების გარდა ახ.წ. 63 წლის შემდგომ რომაული გარნიზონები განლაგდნენ აფსაროსში, ფაზისსა და სებასტოპოლისში. II საუკუნის შუახანებამდე სებასტოპოლისი რომაელთა ბატონობის უკიდურესი ფორპოსტი იყო ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში. 132-152 წლებს შორის სამხედრო ნაწილები განლაგდა პიტიუნტშიც (მკვლევართა ნაწილის მიერ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაული სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემა "ლიმესად" იყო კვალიფიცირებული (Леквинадзе, 1969: 75-93; Speidel, 1986; Леквинадзе, 1969; Кигурадзе.., 1987; French, 1989), რაც შეიძლება ითქვას ცოტათი

საეჭვოა, რადგან ლიმესი, როგორც მაღალორგანიზებული, კარგად გამართული ერთიანი საფორტიფიკაციო და საკომუნიკაციო სისტემა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, მისი ბუნებრივ-გეოგრაფიული სირთულეების გამო ვერ შეიქმნებოდა და პრინციპში არც იყო საჭირო. კოლხეთი ყველა მხრიდან მძლავრი ბუნებრივი საზღვრებით არის შემოფარგლული და აქ დამატებითი ხელოვნური ბარიერის აგების აუცილებლობა არ არსებობდა) რითაც დასრულდა კიდეც პონტო-კავკასიის საზღვრის ორგანიზაციული გაფორმება. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაული სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემა სამხედრო-საზღვაო ხასიათისა იყო და მასში შემავალ კასტელუმებს შორის საკომუნიკაციო კავშირი საზღვაო გზით ხორციელდებოდა

პონტო-კავკასიის სასაზღვრო სისტემის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენდა რომის პოზიციების განმტკიცება რეგიონში, გაძლიერებული იბერიის სამეფოს ზღვის სანაპიროსკენ ექსპანსიის შეკავება, ჩრდილოეთ კავკასიის გადმოსასვლელების გაკონტროლება და არ დაეშვა გააქტიურებული იმიერკავკასიელი ნომადების-ალანების მოულოდნელი შემოჭრა წინა აზიის რომაულ სამფლობელოებში "მეოტიდა-კოლხეთის" გზით. სტრატეგიული ფუნქციების გარდა, მის მოვალეობაში შედიოდა მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლა, საკაბოტაჟო ნავიგაციისა და ვაჭრობის უსაფრთხოების დაცვა.

კოლხეთის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა ერთიორად გაიზარდა II საუკუნის დასაწყისში, როდესაც იმპერატორმა ტრაიანემ (98-117 წწ.) პართია-სომხეთის წინააღმდეგ გრანდიოზული ლაშქრობისათვის დაიწყო მზადება. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოადგენდა ხელსაყრელ სტრატეგიულ პლაცდარმს სომხეთის მიმართ და, საჭიროების შემთხვევაში, რომაელებს შეეძლოთ აქედანაც შეჭრილიყვნენ არმენიაში. გარდა ამისა, სომხეთში მებრძოლი რომაული ჯარების მომარაგება სურსათითა და

დამატებითი ძალებით შავიზღვისპირეთიდან, ძირითადად კი, ტრაპეზუნტიდან ხდებოდა.

ასეთ ვითარებაში, ცხადია, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა რომაელთა პოზიციების სტაბილურობას აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, (ტრაიანეს წინამორბედის, დომიციანეს (81-96 წწ.) მმართველობის პერიოდში რომის გავლენა კოლხეთზე მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა (Speidel, 1986; Леквинадзе, 1969; Кигурадзе.., 1987; French, 1989; Braund, 1989) , საიდანაც „მეოტიდა-კოლხეთის“ მაგისტრალით მცირე აზიაში თავისუფლად შეეძლოთ შემოღწევა ჩრდილოკავკასიელ მომთაბარეებს. ამიერკავკასიაში გადმოსვლის შემთხვევაში, მეომარი ალანები რომაელთა ზურგში აღმოჩნდებოდნენ და, რაც მთავარია, მათ შეეძლოთ ტრაპეზუნტიდან არმენიისაკენ მიმავალი ძირითადი კომუნიკაციების გადაჭრა, რისი დაშვებაც ტრაიანეს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო.

აქედან გამომდინარე, ტრაიანეს მიერ შემუშავებულ სამხედრო-ტაქტიკურ გეგმაში კოლხეთს გარკვეული ადგილი დაეთმო, რამაც ფაქტობრივად ისტორიული ცვლილებები გამოიწვია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. 106-114 წლების მომავალი საომარი ასპარეზისათვის ფლანგების გამაგრების მიზნით გატარებული დიდი მოსამზადებელი სამუშაოების დროს, ტრაიანემ გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით, კოლხეთის ტერიტორიაზე არსებულ ცალკეულ ტერიტორიულ-ტომობრივ გაერთიანებათა მეთაურებს, სკეპტუხებს ფორმალურად გადასცა „სამეფო ხელისუფლება“ რითაც უზრუნველყო პართია-სომხეთთან მომავალ დაპირისპირებაში მათი მოკავშირეობა და მინიმუმამდე დაიყვანა “მეოტიდა-კოლხეთის” გზით ჩრდილოკავკასიელ ნომადთა შემოჭრის საფრთხე.

ტრაიანეს მიერ კოლხეთის ცალკეულ სკეპტუხთათვის “სამეფო ხელისუფლების” გადაცემამ საფუძველი ჩაუყარა ცალკეულ “სამეფობს” _

მაკრონ-ჰენიოხების, ლაზების, აფსილების, აბაზგებისა და სანიგების გაერთიანებებს (ყაუხჩიშვილი 1965: 125), რომლებიც მთელი II საუკუნის მანძილზე ინარჩუნებდნენ რომისადმი ერთგულებას.

როგორც ჩანს, ტრაიანეს დროს გარკვეული ცვლილებები უნდა შეხებოდა პონტო-კავკასიის სასაზღვრო სისტემასაც. „მეოტიდა-კოლხეთის“ მაგისტრალისა და განსაკუთრებით, ტრაპეზუნტის ნავსადგურის სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომოდინარე, გამორიცხული არ არის, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაულ ციხესიმაგრეებში ტრაიანეს დამატებითი ძალები ჩაეყენებინა. შესაძლოა, გარკვეულწილად ამის მიმანიშნებელიც იყოს VI საუკუნის ავტორის პროკოპი კესარიელის ცნობაც: „ამბობენ, აგრეთვე, რომ რომაელთა თვითმპყრობელ ტრაიანეს დროს, იქ ვიდრე ლაზებისა და სანიგების ქვეყნამდე დაფუძნებულ იქნა რომაელ ჯარისკაცთა რაზმები.“ მართალია, ლაზებისა და სანიგების ტერიტორიაზე, ისევე როგორც მთლიანად კოლხეთში, რომაული რაზმები ტრაიანემდე რამდენიმე ათეული წლის წინ, ჯერ კიდევ ნერონის დროს ჩადგნენ, მაგრამ, ეს ცნობა შეიძლება ჩაითვალოს იმის შორეულ გამოხმაურებად, რომ ტრაიანეს დროს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დამატებითი ძალები იქნა შეყვანილი. არსებობს ვარაუდი, რომ ტრაიანეს დროს რომაელებმა კოლხების წინააღმდეგ სამხედრო ექსპედიაციაც კი განახორციელეს და ძალის გამოყენებით დაიმორჩილეს, თუმცა, ამ მოსაზრებას რეალური საფუძველი არ გააჩნია.

ტრაიანეს აღმოსავლეთ კამპანიის შემდეგ, ადრიანეს (117-138 წწ.) პრინციპატის ხანაში რომის საგარეო პოლიტიკამ მკვეთრი ცვლილება განიცადა. იმპერიამ ფაქტობრივად ამოწურა გლობალური ომების წარმოების ყველა რესურსი და იძულებული გახდა საზღვრების მთელ პერიმეტრზე ტოტალურ თავდაცვაზე გადასულიყო. ადრიანემ უარი თქვა ტრაიანეს მიერ არმენიისა და პართიის

ტერიტორიებზე შექმნილ პროვინციებზე და კვლავ ევფრატის სასაზღვრო ხაზს დაუბრუნდა თუმცა შექმნილი სიტუაციით სარგებლობა ვერც პართიის სამეფომ შეძლო. ტრაიანეს კამპანიის დროს განცდილი მძიმე მარცხის შემდეგ, მასაც არ აღმოაჩნდა კონტრშეტევაზე გადასვლისა და წინა აზიაში პოლიტიკური ინიციატივის საკუთარ თავზე აღების ძალა (Speidel, 1986; Леквинадзе, 1969; Кигурадзе.., 1987; Braund, 1989).

ასე რომ, აღმოსავლეთში საუკუნეების მანძილზე პოლიტიკური ამინდის განმსაზღვრელმა ორივე სახელმწიფომ _ რომმა და პართიამ, თანდათანობით დათმო პოზიციები; შედეგად კი, წინა აზიაში შესუსტდა ე.წ. „პოლიტიკური დუალიზმის“ სისტემა, რამაც გამოიწვია უფრო პატარა პოლიტიკური ერთეულების გაძლიერება-გააქტიურება, რაც აისახა კიდეც კოლხეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ამ პერიოდში რომი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ვერ ახერხებს აქტიური თავდაცვითი პოლიტიკის გატარებას და აღმავლობის გზაზე მდგარი იბერიის სამეფოს შავი ზღვის სანაპიროსაკენ ექსპანსიის შეკავებას. 117-129 წლებს შორის იბერიის მეფე ფარსმანმა მიიტაცა კოლხეთის ზღვისპირეთის ერთ-ერთი სექტორი, მაკრონ-ჰენიოხებსა და ლაზებს შორის მოსახლე ზიდრიტთა ოლქი, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფაქტს პონტო-კავკასიის სასაზღვრო თავდაცვითი სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენადაც ეს სისტემა, როგორც ზემოთ ვნახეთ, სამხედრო-საზღვაო ხასიათისა იყო. მასში შემავალ კასტელუმებს შორის საკომუნიკაციო კავშირი და მათი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებაც საზღვაო გზით ხორციელდებოდა. როგორც ჩანს, პონტო-კავკასიის საზღვრის კოლხეთის მონაკვეთზე სახმელეთო კომუნიკაციებს მეორეხარიხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა. (Speidel, 1986; Леквинадзе, 1969; Кигурадзе.., 1987; Braund, 1989). ყოველ შემთხვევაში, აღმოსავლეთ

შავიზღვისპირეთში რომაული კასტელუმების ერთმანეთთან დამაკავშირებელი სამხედრო გზის არც ერთი მონაკვეთი აღმოჩენილი არ არის. მაგრამ, ყოველივე ზემოთქმული, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ იბერიის შეჭრას ძიდრიტთა ოლქში, რომისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ძიდრიტთა ოლქის დაკარგვით გარკვეულწილად დაირღვა პონტო-კავკასიის სასაზღვრო ხაზის მთლიანობაც. როგორც აღვნიშნეთ, პონტო-კავკასიის სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემა სათავეს ტრაპეზუნტში იღებდა და ადრიანეს მმართველობის პერიოდისათვის სებასტოპოლისამდე ვრცელდებოდა. ამ ერთიან სასაზღვრო პერიმეტრზე იბერიის გამოჩენით კი, გადაჭრილ იქნა რომაულ სამხედრო-სტრატეგიულ პუნქტებს შორის სახმელეთო კომუნიკაცია, რის შედეგადაც კოლხეთის ორ უმნიშვნელოვანეს რომაულ ფორპოსტს _ აფსაროსსა (მაკრონ-ჰენიოხთა ტერიტორიაზე) და ფასისს (ლაზეთის ტერიტორიაზე) შორის დაკავშირება მხოლოდ საზღვაო გზით გახდა შესაძლებელი. მიუხედავად ამისა, ადრიანემ, რომელსაც არ აწყობდა კავკასიაში სიტუაციის გამწვავება, უარი თქვა ვითარების შემდგომ ესკალაციაზე, ფარსმანთან ღია კონფლიქტის დაწყებაზე და იბერიის საზღვრების სიახლოვეს, კოლხეთის სასაზღვრო ციხესიმაგრეების გაძლიერებით სცადა რეგიონში სიტუაციის დარეგულირება.

როგორც ცნობილია, ადრიანემ, სხვა პრინცეპსებთან შედარებით, ყველაზე მეტად მოაწესრიგა იმპერიის თავდაცვითი სისტემა. საზღვრების უსაფრთხოების გასაძლიერებლად დაიწყო გრანდიოზული სამხედრო-სტრატეგიული სამუშაოები (Syme 1981: 276; Braund. 1991: 211-212). იმპერატორი პირადად მოგზაურობდა სასაზღვრო პროვინციებში და ადგილებზე ეცნობოდა რომაული გარნიზონების მდგომარეობას. ადრიანეს თან ახლდა სამხედრო მშენებელთა შტაბი და მის გამოჩენას რომის სახელმწიფო საზღვრებზე

ჩვეულებრივ თან ახლდა დიდი საფორტიფიკაციო სამუშაოების დაწყება.

129 წელს იმპერატორმა ადრიანემ პირადად იმოგზაურა კაპადოკიაში, ამ პროვინციის საინსპექციო შემოსვლისას ის იმყოფებოდა ტრაპეზუნტშიც. როგორც ჩანს, ადრიანეს მიერ სიტუაციის ადგილზე გაცნობის შემდეგ დაიწყო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაული სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემის მოდერნიზაცია. 131 წ. კაპადოკიის პროვინციის პროკონსულის ფლავიუს არიანეს მიერ შავი ზღვის სანაპიროზე ჩატარებული სამსახურებრივი მოგზაურობის დროს, ტრაპეზუნტ-სებასტოპოლისის ხაზზე განლაგებული რომაული ფორპოსტების განახლება-განმტკიცების პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. ტრაპეზუნტში ისევ გრძელდებოდა ადრიანეს ბრძანებით დაწყებული ნავსადგურის მშენებლობა როგორც წყაროთა მონაცემებით ირკვევა, აფსაროსის, ფასისისა და სებასტოპოლისის ციხეების გამაგრებაც 129 წელს დაიწყო და 131 წელს უნდა დასრულებულიყო (Speidel, 1986; Леквинадзе, 1969; Кигурадзе.., 1987; Braund, 1989).

იბერიის საზღვრებთან რომაული ფორპოსტების მოდერნიზაცია, რა თქმა უნდა, ხელს არ აძლევდა მეფე ფარსმანს და პროტესტის ნიშნად მან 135-137 წლებში იმიერკავკასიის გადასასვლელები გაუხსნა მეომარ ალანებს და ისინი რომის სამფლობელოებს შეუსია. ამ აქციითა და თავისი რეალური ძალის დემონსტრირებით, ფარსმანმა მოახერხა კოლხეთის ზღვისპირეთში ადრე დაპყრობილი ზიდრიტთა ოლქის შენარჩუნება (Леквинадзе 1961: 137-167; Лордкипанидзе 1989: 339).

როგორც არიანეს ცნობიდან ირკვევა, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაული ციხესიმაგრეებიდან განსაკუთრებით შთამბეჭდავად აფსაროსი გამოიყურებოდა. აფსაროსი დიდი ხანია იდენტიფიცირებულია დღევანდელ გონიოსთან (ტაბ. VIII). ციხესიმაგრე გასაოცრად კარგადაა შემონახული. იგი

გეგმით სწორკუთხედია, კოშკებსა და ციხის გალავანს ეტყობა მრავალგზის რესტავრაცია-გადაკეთების კვალი. თუმცა, რომაული კასტელუმის ძირითადმა ღერძებმა (194 მ X 245 მ) ჩვენამდე უცვლელად მოაღწია (ტაბ. IX). მკვლევარები აფსაროსში კასტელუმის მშენებლობის ორ ეტაპს გამოყოფენ, რომლებიც შესაბამისად I-II და IV-VI საუკუნეებით თარიღდება. ადრიანეს პრინციპატის დროს აფსაროსში იდგა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ყველაზე ძლიერი რომაული გარნიზონი. არიანეს ცნობით, აფსაროსში ხუთი სპეირა იდგა (კოჰორტა (ლათ. Cohort – მწკრივი) – რომაული ლეგიონის ძირითადი ტაქტიკური ერთეული. მასში 500-600 ჯარისკაცი ირიცხებოდა. კოჰორტა თავის მხრივ სამ მანიპულად, თითოეული მანიპულა 2 ცენტურიად (ასეულად), ეს უკანასკნელი კი, შესაბამისად, ათეულებად (დეკა) იყოფოდა) არიანე რომაული არმიის ქვედანაყოფების საყოველთაოდ მიღებულ, ტრადიციულ სახელწოდებას რატომღაც არ იძლევა და ბერძნულ ტერმინოლოგიას ხმარობს, რაც მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. არიანესეული `სპეირა~ მკვლევართა ნაწილის აზრით, ლათინურ კოჰორტას შეესაბამება, თუმცა, როგორც ჩანს, იგი „მანიპულას“ პირდაპირი თარგმანი უნდა იყოს. მანიპულა კი, როგორც ცნობილია, კოჰორტის ერთ მესამედს – 150-200 კაციან რაზმს უდრის. ასეთ შემთხვევაში, აფსაროსის ციხის გარნიზონის შემადგენლობა 900-1000 კაცით უნდა განისაზღვროს, რაც სავსებით შეესაბამება კიდეც აფსაროსის კასტელუმის ტევადობას (Мамуладзе 2002: 35). დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ აფსაროსის გარნიზონის შემადგენლობაში შედიოდა დამხმარე ჯარის ნაწილები – კლავდიუსის სახელობის II კოჰორტა (Cohors II Claudiana), სპეციფიკური აღჭურვილობის მშვილდოსანთა რაზმი (Sagitarius) და იმპერატორ ავრელიუსის სახელობის კოჰორტა (Cohors Aurelia). გამორიცხული არ არის, რომ აფსაროსის გარნიზონის ერთი ნაწილი ლეგიონური ჯარის ქვედანაყოფებით ყოფილიყო

დაკომპლექტებული, რასაც გარკვეულწილად მოწმობს მის ავანპოსტში – პეტრაში (ციხისძირი) აღმოჩენილი აგურის ფრაგმენტი ლათინური დამღით – VEX-FA, რომელიც იშიფრება, როგორც VEX (illationes Legionum XII) F (ulminatae et XV) A (pollinaris), რაც XII და XV ლეგიონების ერთობლივი სამშენებლო საქმიანობის მაჩვენებელია (ტაბ. X; XIII; XIV). თუმცა, არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც. ამერიკელი მკვლევარის მ. შპაიდელის (Speidel, 1986) აზრით, ეს წარწერა უნდა იკითხებოდეს როგორც Vex(illatio) FA(siana). თუ შპაიდელის ეს მოსაზრება სწორია და ფასისის კასტელუმი მართლაც კაპადოკიის „pedites singularis"-ების მიერ იყო აგებული, მაშინ ისინი ფასისში ძალიან ცოტა ხნით დარჩებოდნენ და მალევე დაბრუნდებოდნენ ძირითად შტაბ-ბინაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადრიანეს მიერ კოლხეთის ციხესიმაგრეთა გამაგრებას ადგილი ჰქონდა 129-131 წლებში. სწორედ ამ დროს იქნა აგებული ფასისის აგურის კასტელუმი, რომელსაც იხსენიებს არიანე. აქედან გამომდინარე, კაპადოკიის „*pedites singularis*"-ები, თუ ისინი მართლა მონაწილეობდნენ ფასისი კასტელუმის მშენებლობაში, კოლხეთის ამ სანაპირო ცენტრში 129-131 წწ. უნდა მდგარიყვნენ. ამ შემთხვევაში ციხისძირში აღმოჩენილი აგურიც, შესაბამისად, 129-131 წწ. უნდა დათარიღდეს. ამ შემთხვევაში, საფიქრებელია, რომ ეს დამღიანი აგური დამზადებული იყო ფასისში მდგარი სამხედრო ნაწილის სახელოსნოში და ამავე ნაწილის ჯარისკაცებს რაღაც სამხედრო-საინჟინრო სამუშაოები ჩაუტარებიათ პეტრაშიც (როგორც ჩანს, აქ სამშენებლო საქმიანობას *V Macedonica, I Italica* და XI Claudia (ტაბ. XII) ეწეოდნენ ლეგიონების სამშენებლო მოღვაწეობა დოკუმენტურად დასტურდება საუდის არაბეთშიც (Speidel 1987: 216).

წარწერის ასეთნაირად გაშიფრვა მ. შპაიდელს საშუალებას აძლევს ივარაუდოს, რომ ფასისის აგურის ციხესიმაგრე ააგეს კაპადოკიის „pedites

singularis“- ებმა, ანუ სპეციალურმა სამშენებლო ქვედანაყოფებმა, და ისინი სხვა ციხეებისთვისაც ამზადებდნენ სამშენებლო მასალებს.

მ. შპაიდელის ეს მოსაზრება საკმაოდ საყურადღებოა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ციხისძირში აღმოჩენილი აგურის დამღის გაშიფრვის პირველი, ვ. ლექვინაძისეული ვარიანტი უნდა იყოს უფრო მართებული. მართალია, რომაული არმიის შემადგენლობაში შედიოდა და სპეციალური ნაწილები, რომლებსაც ევალებოდათ საფორტიფიკაციო სამუშაოების ჩატარება, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ საქმიანობას რომაული ლეგიონების ცალკეული ვექსილაციებიც ეწეოდნენ. სწორედ ლეგიონების ტრადიციული სამშენებლო საქმიანობის მაჩვენებელია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში აღმოჩენილი ლეგიონების დამღიანი კრამიტები და აგურ-ფილები. გარდა ამისა, როგორც ვაჰარშაპატში (ეჩმიაძინი) აღმოჩენილი II საუკუნის ლათინური წარწერიდან ირკვევა, კაპადოკიური ლეგიონების – XII Fulminata-სა და XV Apollinaris-ის ვექსილაციები ერთობლივ სამშენებლო საქმიანობას ეწეოდნენ არმენიის დედაქალაქში. (Тревер 1953: 251-260) და ბოლოს, როგორც ქვემოთ ვნახავთ, დოკუმენტურად დასტურდება, რომ II საუკუნის ბოლოს, და III საუკუნის დასაწყისში პიტიუნტის ციხის მშენებლობაში მონაწილეობას იღებდნენ XV ლეგიონის ჯარისკაცები.

ასე რომ, ციხისძირში აღმოჩენილი დამღიანი აგური XII და XV ლეგიონების იმ ცალკეული ვექსილაციების ერთობლივი სამშენებლო საქმიანობის მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს, რომლებიც საკმაოდ ხანგრძლივი დროით იდგნენ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. ამ ლეგიონების ცალკეული ქვედანაყოფების ყოფნა კოლხეთის სანაპიროზე მოულოდნელი არ უნდა იყოს. როგორც უკვე აღინიშნა, კოლხეთი, ისევე როგორც მთლიანად ამიერკავკასია, სამხედრო თვალსაზრისით კაპადოკიის მთავარსარდლობას ექვემდებარებოდა.

ამიტომ მთელ ამ ტერიტორიაზე დისლოცირებული რომაული გარნიზონები დაკომპლექტებული იყო კაპადოკიის ლეგატის განკარგულებაში მყოფი XII და XV ლეგიონების ცალკეული ვექსილაციებით. ამ ლეგიონების ქვედანაყოფები განლაგებულნი იყვნენ ტრაპეზუნტში, სომხეთის ქალაქებში და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის თითქმის მთელ მონაკვეთზე. რომის ლეგიონური ჯარის ნაწილების ყოფნა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, დასტურდება კოლხეთის სანაპირო პუნქტებშიც – პიტიუნტსა და ფასისში. ასეთ ვითარებაში, ძნელი წარმოსადგენია, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გეოსტრატეგიულად ყველაზე მნიშვნელოვანი ციხესიმაგრის-აფსაროსის გარნიზონი მხოლოდ ნაკლებად ბრძოლისუნარიანი დამხმარე რაზმებით ყოფილიყო დაკომპლექტებული და აქ აუცილებლად დისლოცირებული იქნებოდნენ ლეგიონური ნაწილებიც. ასე რომ, მიუხედავად იმისა, თუ როგორ გაიშიფრება ციხისძირში აღმოჩენილი აგურის დამღა და ვ. ლექვინაძის მიერ შემოთავაზებული ვარიანტი, თუნდაც რომ არადამაჯერებელი იყოს, ჩვენი აზრით, ამ ფაქტს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს და აფსაროსში ლეგიონური ჯარის ნაწილების ყოფნა ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

აფსაროსში ასეთი სერიოზული სამხედრო ძალის ყოფნა განპირობებული იყო მისი გეოსტრატეგიული მდებარეობით. იგი უშუალოდ ესაზღვრებოდა ძიდრიტთა ოლქს და წარმოადგენდა ძირითად ფორპოსტს იბერიის წინააღმდეგ, ამასთან, თვალყურს ადევნებდა დარიალის გადმოსასვლელს და მთლიანად კავკასიას. (Леквинадзе 1961: 137-167; Лордкипанидзе 1989: 339).აფსაროსი ჭოროხის ხეობის გავლით, კოლხეთის დაბლობიდან აღმოსავლეთ მცირე აზიის შიდა რაიონებისაკენ მიმავალი გზების საკვანძო გზაჯვარედინს წარმოადგენდა და ამავე დროს, სანაპირო ზოლსაც კეტავდა. რაც შეეხება საკუთრივ აფსაროსის სასიმაგრო ნაგებობას, არიანეს მოგზაურობის დროისაათვის იგი უკვე „Castella

Murata“-ს ტიპის მუდმივმოქმედ, ხანგრძლივი დროისათვის განკუთვნილ კასტელუმს წარმოადგენდა. რომაული ციხესიმაგრეების საერთო სტანდარტებიდან გამომდინარე, იგი საშუალო სიდიდის ბანაკების კატეგორიას მიეკუთვნებოდა.

აფსაროსის ჩრდილოეთით, 65 კმ-ის დაშორებით, მდ. რიონის შესართავთან მდებარეობდა ფასისის ციხე. იგი წარმოადგენდა რომაელთა ძალაუფლების საყრდენს ლაზეთის მიწა-წყალზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 129-131 წლებში მოდერნიზებულ იქნა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაული სასაზღვრო სისტემა. როგორც ჩანს, რომაელებს სათანადოდ უზრუნიათ ფასისის ციხესიმაგრის გაძლიერებისათვის. არიანეს ცნობით, `წინათ კედელი თიხისა იყო და ხის კოშკები იდგა მასზე, მაგრამ ახლა კედელი და კოშკები გამომწვარი აგურისაგანაა გაკეთებული. საძირკველი მისი მყარია, ზედ სამხედრო მანქანებია დადგმული. ერთი სიტყვით, ყოველმხრივ იმდაგვარადაა მოწყობილი, რომ ვერავინ მიუახლოვდეს ბარბაროსთაგან და რომ ალყის საფრთხე არ მოელოდეს ციხის დამცველთ (Webster 1985: 98), იმავე არიანეს ცნობით, ფასისში ოთხასი რჩეული მეომარი იდგა (1995 წ. გურიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სოფ. მოედანში, ზღვის სანაპიროდან 12 კმ-ს დაშორებით მიაკვლია ძველი სიმაგრის ნაგებობის კვალს. ანაკრეფ მასალაში აღმოჩნდა აგურის ფრაგმენტი დამღით – LEG, რომელიც იშიფრება, როგორც LEG (io XV Apollinaris). იდენტური დამღიანი აგურები და კრამიტები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი XV ლეგიონის თავდაპირველი დისლოკაციის ტერიტორიაზე პანონიაში (ემონაში, კარნინენტუმში), ამ ლეგიონის აღმოსავლეთში გადმოყვანის შემდეგ კი, მის ძირითად ლოკაციაზე – სათალაში, ასევე ბიჭვინთაშიც. რამდენადაც სატყორცნი მოწყობილობები (ონაგრები, კატაპულტები, ბალისტები) დამხმარე სამხედრო შენაერთებს შეიარაღებაში არ ჰქონდათ და ეს იარაღები უფრო გამოცდილი,

მაღალკვალიფიცირებული ლეგიონური ჯარის ნაწილების ტექნიკურ აღჭურვილობაში შედიოდა აქედან გამომდინარე, ფასისის გარნიზონი ლეგიონურ კოჰორტად უნდა მივიჩნიოთ (Speidel, 1986; Леквинадзе, 1969; Кигурадзе.., 1987; Braund, 1989).

ფაზისის გარნიზონი ლეგიონური ჯარის ნაწილებით რომ იყო დაკომპლექტებული, ამაზე მიგვანიშნებს მის ავანპოსტში, სოფ. მოედანთან (ლანჩხუთის რ-ნი) XV ლეგიონის დამღიანი აგურის აღმოჩენაც. ამდენად, ფასისში, ისევე როგორც კოლხეთის სხვა სანაპირო პუნქტებში დისლოცირებული იყო XV ლეგიონის ქვედანაყოფები, რომელსაც, როგორც ჩანს, შეიარაღებაში ჰქონდა 4-5 კარობალისტა და ერთი ონაგრი.

ფასისის ციხესიმაგრის ასე საგანგებოდ გამაგრება-განმტკიცება და მისი სამხედრო მანქანებით აღჭურვა იბერიის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხით უნდა ყოფილიყო განპირობებული. ეს საფრთხე კი, როგორც ჩანს, რეალური იყო. მიუხედავად იმისა, რომ ფაზისის ციხე რომაელების მიერ ახალგამაგრებული იყო, მას კარგად შეიარაღებული გარნიზონი იცავდა და ბუნებრივადაც მიუდგომელ, უშიშროების თვალსაზრისით მეტად მოხერხებულ ადგილზე იყო აგებული. არიანემ საჭიროდ ჩათვალა დამატებითი ღონისძიებების გატარება ნავსადგურისა და ციხის გარშემო არსებული დასახლების გასამაგრებლად. თუმცა, რომაელებს, როგორც ჩანს, ფასისის უსაფრთხოება მაინც აეჭვებდათ. ამიტომ, ფასისის მიდამოებში მოგვიანებით ისინი აგებენ გამაგრებათა მთელ სისტემას, რომელიც რომაულ კასტელუმს ზურგიდან იცავდა "ბარბაროსების" მოსალოდნელი თავდასხმისაგან. ამ სისტემაში ჩართული იყო სოფ. მოედნისა და მდ. ნატანების ხეობაში განლაგებული რომაული პერიოდის (ოზურგეთის რაიონი) ნაგებობები. მართალია, ვაშნარი რომაულ-ბიზანტიურ წყაროებში არ იხსენიება, მაგრამ მისი

თავდაპირველი ციხე, რომელიც კვადრატული ფორმისაა და რომაული კასტელუმების პრინციპითაა ნაგები, ასეთი ვარაუდის საფუძველს ნამდვილად იძლევა. როგორც ჩანს, მოედნისა და ვაშნარის სიმაგრეები სწორედ იბერიისგან მომავალი საფრთხისგან თავდასაცავად იყო გათვალისწინებული. ვფიქრობთ, რომ ასეთივე პუნქტი უნდა ყოფილიყო არქეოპოლის-ნოქალაქევიც, რასაც გარკვეულწილად მოწმობს იქ აღმოჩენილი კონსტანტინე დიდის სპილენძის მონეტა. ამგვარი მონეტები კი, როგორც წესი, ჩნდება იქ, სადაც რომაელთა სამხედრო ნაწილები იდგა.

სოფ. მოედანში რომაული ლეგიონის ტვიფრიანი აგურის აღმოჩენა ჯერჯერობით ერთადერთი შემთხვევაა ეგრისის შიდა რაიონებისათვის და მრავალმხრივ საყურადღებოა. იგი მოწმობს, რომ რომაელთა სამხედრო ძალების გარკვეული კონტიგენტი არა მხოლოდ კოლხეთის სანაპირო ზოლში, არამედ ქვეყნის შიდა რაიონებშიც იყო დისლოცირებული (Леквинадзе 1961: 137-167; Лордкипанидзе 1989: 339). მათი იქ ყოფნა კი, მხოლოდ იბერიის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხით არ უნდა ყოფილიყო განპირობებული. ყოველ შემთხვევაში, ვაშნარისა და განსაკუთრებით კი, არქეოპოლისის სიმაგრეები იბერიის შესაჩერებლად კი არა, უფრო კოლხეთის შიდა რაიონებზე რეალური კონტროლის დასამყარებლად უნდა ყოფილიყო გამიზნული. არქეოპოლისი ქვეყნის სიღრმეში, იბერიის საზღვრებიდან მოშორებით მდებარეობდა და ამ მხრიდან ფასისს არ შეიძლებოდა იბერიელთა შემოსევის საფრთხე დამუქრებოდა. ამასთან, მიგვაჩნია, რომ თუკი დადასტურდა ვაშნარსა და არქეოპოლისში რომაული სამხედრო ნაწილების ყოფნა, მაშინ ისინი აქ უნდა გამოჩენილიყვნენ სეპტიმიუს სევერუსის (193-211 წწ.) მმართველობის პერიოდში, როდესაც იბერიის საკითხი ნაკლებაქტუალური იყო რომის კავკასიურ პოლიტიკაში და ამ უკანასკნელს, უკვე აღმავლობის გზაზე მდგარი

ლაზიკის სამეფოს დამორჩილებისათვის უწევს ბრძოლა.

არიანეს მოგზაურობის დროისათვის რომაელთა მფლობელობის უკიდურესი ფორპოსტი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში სებასტოპოლისი იყო. სებასტოპოლისის გარნიზონს უნდა დაეცვა რომაული სამფლობელოები ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მეომარი ტომების თავდასხმებისაგან და აფსილების, აბაზგებისა და სანიგების „მეფეებთან“ კავშირში გაეკონტროლებინა მარუხისა და ქლუხორის გადასასვლელები. როგორც ცნობილია, ახ. წ. I საუკუნის პიტიუნტი და დიოსკურია მეკობრე ტომთა თავდასხმებს განიცდიდა. ეს საფრთხე ბოლომდე არიანეს დროსაც არ ყოფილა განეიტრალებული, რასაც მოწმობს ის, რომ კოლხეთის სხვა რომაული ციხეებისაგან განსხვავებით, სებასტოპოლისის გარნიზონის შემადგენლობაში შედიოდა კავალერიის ნაწილებიც. კავალერია კი, თავისი სისწრაფიდან და ოპერატიულობიდან გამომდინარე, ხმელეთზე გადმოსული მეკობრეების წინააღმდეგ განსაკუთრებით ეფექტურად მოქმედებდა და რომის საზღვრებზე მათი მოულოდნელი თავდასხმების აღსაკვეთად გამოიყენებოდა (Леквинадзе 1961: 137-167; Лордкипанидзе 1989: 339).

არიანე არაფერს ამბობს სებასტოპოლისის გარნიზონის რაოდენობის შესახებ, მაგრამ, მკვლევართა აზრით, სებასტოპოლისის ადრეული, I-II საუკუნეებით დათარიღებული კასტელუმის ფართობიდან (0,6-0,8 ჰა) გამომდინარე, იგი 200 ჯარისკაცს არ აღემატებოდა (Клейман И.Б. 1976; Speidel, 1983; Braund, 1986; Кигурадзе…, 1987). . მაშასადამე, სებასტოპოლისის თავდაპირველი კასტელუმი სანუმერო, ანუ მცირე ციხესიმაგრის კატეგორიას მიეკუთვნებოდა.

არიანეს დროისათვის სებასტოპოლისთან მთავრდებოდა “რომაელთა სამფლობელოები პონტოს მარჯვენა მხარეს მცურავთათვის” (Инадзе 1968: 248); და ამის იქით რომაული გარნიზონები არ იდგა. თუმცა, იმპერატორ

ადრიანეს მიერ დაწყებული კოლხეთის თავდაცვის სისტემის გაძლიერება-განმტკიცების პროცესი შემდეგშიც გაგრძელდა და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 132-152 წლებში რომაული გარნიზონი დისლოცირებულ იქნა პიტიუნტშიც, II საუკუნის შუახანებში დაიწყო პიტიუნტის კასტელუმის მშენებლობაც. პიტიუნტში რომაული გარნიზონის ჩადგომით პონტო-კავკასიის სასაზღვრო სისტემის ჩამოყალიბების პროცესი საბოლოოდ დასრულდა. ამ სისტემის მეშვეობით რომმა თითქმის მთელი II საუკუნის მანძილზე წარმატებით შეძლო რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება; შეჩერებულ იქნა ჩრდილო-კავკასიელ ნომადთა შემოტევა და თარეში; შავი ზღვის სანაპიროზე აღკვეთილ იქნა მეკობრეობა და ძარცვა-ყაჩაღობა; უზრუნველყოფილ იქნა იმპერიის შორეული მისადგომების უსაფრთხოება და ადგილობრივი ტომების რომის რეალური კონტროლქვეშ ყოფნა.

კოლხეთის ზღვისპირეთში განლაგებული გარნიზონები ადგილობრივ სატომო გაერთიანებათა მმართველების (ჯერ სკეპტუხების, შემდეგ კი 'მეფეების') რომზე რეალური დამოკიდებულების გარანტიას წარმოადგენდნენ. გარნიზონთა მეთაურები კოლხეთის ტერიტორიაზე არსებული ცალკეული 'სამეფოების' უზენაეს ხელისუფლად, რომის პოლიტიკის ადგილზე გამტარებლად ითვლებოდნენ. მაგ., აფსაროსის გარნიზონის უფროსს ევალებოდა მაკრონ-ჰენიოხთა მეთვალყურეობა, ფასისის რომაულ გარნიზონს – ლაზების, ხოლო სებასტოპოლისის კასტელუმს – სანიგების, აბაზგებისა და აფსილების "სამეფოთა" გაკონტროლება რომაულ გარნიზონთა მეთაურებს ადგილობრივ "მეფეებთან" კავშირში უნდა უზრუნველეყოთ გადასახადების აკრეფა, რომაული დამხმარე ჯარის ნაწილებში კონტინგენტის გაწვევის ორგანიზება და რეგიონში სტაბილური პოლიტიკური სიტუაციის დაცვა, რასაც რომი, როგორც აღვნიშნეთ,

თითქმის მთელი II საუკუნის მანძილზე წარმატებით ახერხებდა. თუმცა, II საუკუნის მიწურულს ვითარება შეიცვალა. 192 წელს მოკლეს ანტონინუსთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი კომოდუსი (180-192 წწ.), რის შემდეგაც გაჩაღდა დაუნდობელი ბრძოლა იმპერატორის ტახტისათვის. მდგომარეობა განსაკუთრებით იმანაც გაართულა, რომ სამოქალაქო ომი პართიასთან დაპირისპირებაში გადაიზარდა. აღმავლობის გზაზე მდგარმა და კოლხეთის პოლიტიკური გაერთიანებებიდან შინაგანი პოტენციით ყველაზე ძლიერმა ლაზეთის სამეფომ, რომელსაც, როგორც ჩანს, უკვე ხელს უშლიდა რომზე დამოკიდებულება, ისარგებლა 193-197 წლებში რომში მიმდინარე სამოქალქო ომით და სცადა რომის გავლენისაგან გათავისუფლება. მაგრამ, კონკურენტებთან ბრძოლაში გამარჯვებულმა იმპერატორმა სეპტიმიუს სევერუსმა (193-211 წწ.), ბიზანტიელი ავტორის გიორგი სინგელოზის (VIII-IX სს.) ცნობით, დაიმორჩილა კოლხიკე, ესე იგი ლაზიკე.

ლაზეთის, ე.ი. კოლხეთის ცენტრალური ნაწილის იარაღის ძალით დამორჩილების შემდეგ, ვფიქრობთ, რომის პოლიტიკური გავლენა მთლიანად აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში უფრო გაძლიერდებოდა. არქეოლოგიური მასალებით ირკვევა, რომ II საუკუნის ბოლოს იწყება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაული სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემის მოდერნიზაციის ახალი ეტაპი, რაც, ჩვენი აზრით, პირდაპირ კავშირშია ზემოაღწერილ მოვლენებთან. ლაზეთში იმპერიის პოლიტიკური ძალაუფლების რესტავრაციის შემდეგ, იმპერატორი სეპტიმიუს სევერუსი ყოველნაირად ეცდებოდა რეგიონში რომაული საყრდენი პუნქტების გაძლიერებას. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის მასშტაბური ღონისძიებები, რომელიც რომაელებმა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში II საუკუნის მიწურულსა და III საუკუნის დასაწყისში გაატარეს. სატალიდან პიტიუნტში გადმოყვანილ იქნა XV ლეგიონის

ვექსილაცია (XV ლეგიონის ჯარისკაცები მონაწილეობდნენ პიტიუნტის კასტელუმის მშენებლობაში, რასაც მოწმობს ციხის ტერიტორიაზე ლეგიონის დამღიანი აგურ-ფილების ფრაგმენტების აღმოჩენა. ერთი ფრაგმენტი, რომელზეც გარკვევით იკითხება ლათინური წარწერa LEG, ინკიტის ტბის მიდამოებში მდებარე მრგვალი კოშკის II-III სს. ფენაში დაფიქსირდა. დანარჩენი ორი ფილის ფრაგმენტზე, რომლებიც გამოვლენილია კასტელუმის ტერიტორიაზე II ს. დასასრულისა და III ს. დასაწყისის ფენებში, შემორჩენილია დამღის ნაწილი (LE)G და ლეგიონის ნიშანი XV, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იშიფრება როგორც LEG(io) XV (Apollinaris). ყველა ეს ფილა მოწითალო ფერისაა და რომაელ ჯარისკაცთა მიერ ადგილზე დამზადებული (Кигурадзе, 1987: 88-92)). პიტიუნტსა და სებასტოპოლისში იწყება ახალი კასტელუმების მშენებლობა. მათ მისადგომებთან აგებულ იქნა საგუშაგო კოშკებიც. პიტიუნტის კასტელუმის ცენტრში აღმოჩენილია II საუკუნის დასასრულიდან და III საუკუნის დასაწყისიდან მოქმედი რამდენიმე ნაგებობა, რომელთა შორის გამოირჩევა მეთაურის რეზიდენცია – პრეტორიუმი, რომელიც რამდენიმე ნაწილისაგან შედგებოდა და სამხედრო ადმინისტრაციისათვის განკუთვნილი შენობები – პრინციპია. პიტიუნტის ასეთი საგანგებო გამაგრება იმით აიხსნება, რომ იგი რომაელთა მფლობელობის უკიდურეს ფორპოსტს წარმოადგენდა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში და მისი უპირველესი ამოცანა იმიერკავკასიელი ნომადების შეკავება იყო. პიტიუნტი საკოჰორტო, საშუალო სიდიდის სიმაგრეს წარმოადგენდა და, სავარაუდოა, რომ მისი გარნიზონი არ აღემატებოდა 500-600 მეცხოვნეს. არქეოლოგიური მონაცემებით ირკვევა, რომ პიტიუნტში XV ლეგიონის კარგად შეიარაღებული, ქვასატყორცნი არტილერიით აღჭურვილი კოჰორტა იდგა და აქ თავმოყრილი იყო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში განლაგებული რომაული სამხედრო ნაწილების ძირითადი

ბირთვი, შტაბითა და მთავარსარდლის რეზიდენციით. ციხე-ქალაქის გარშემო (ინკიტში, ლიძავაში, ფიჭვნარში) გამოვლენილია რომაული სადარაჯო კოშკები, რომლებიც პიტიუნტის ერთიანი საფორტიფიკაციო სისტემის შემადგენლობაში შედიოდნენ და კასტელუმის მისადგომებს კეტავდნენ. მართალია, ფაზისიდან არქეოლოგიური მონაცემები არ გაგვაჩნია, მაგრამ რომაელთა მიერ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გატარებული საინჟინრო-საფორტიფიკაციო ღონისძიებებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, გარკვეული სამუშაოები საკუთრივ ფასისის კასტელუმის გასაძლიერებლადაც უნდა ჩატარებულიყო. გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფაზისის მიდამოებში იქმნება გამაგრებათა მთელი სისტემა.

კოლხეთის შიდა რაიონებში რომაული სასიმაგრო ნაგებობების აგების ზუსტი თარიღი უცნობია. მკვლევარები (Леквинадзе 1961; Лордкипанидзе 1989) სოფ. მოედანში აღმოჩენილ რომაულ დამღიან თიხის ფილასაც, რომელიც კოლხეთის შიდა რაიონებში რომაული გარნიზონების ყოფნის ერთ-ერთი მთავარი არგუმენტია, ზოგადად II-IV საუკუნეებით ათარიღებენ. თუმცა, ჩვენი აზრით, იმ დროს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებითა და არქეოლოგიური მონაცემების ანალიზით შესაძლებელი ხდება რომის მიერ კოლხეთის შიდა რაიონებში გატარებული საფორტიფიკაციო ღონისძიებების ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენა. ვფიქრობთ კოლხეთის ზღვისპირა ციხესიმაგრეების განახლება-განმტკიცება და ქვეყნის შიდა რაიონებში რომაული შენაერთების გამოჩენა ერთდროულად უნდა მომხდარიყო და მას სეპტიმიუს სევერუსის მმართველობის დროს ჰქონდა ადგილი.

როგორც ცნობილია, I-II საუკუნეებში რომაელთა უშუალო მფლობელობის ქვეშ მოქცეული იყო კოლხეთის მხოლოდ ზღვისპირა ნაწილი, ქვეყნის შიდა რაიონებში კი მათ სამხედრო-სტრატეგიული პუნქტები არ გააჩნდათ. ეს

რაიონები ადგილობრივი მმართველების ხელში იყო, რომლებიც ანგარიშვალდებულნი იყვნენ რომაული გარნიზონების მეთაურთა წინაშე. როგორც ჩანს, რომის სამხედრო ნაწილების მიერ ქვეყნის შიდა რაიონებზე განხორციელებული კონტროლი არც თუ ისე ეფექტური იყო და ფაქტობრივად, ფორმალურ ხასიათს ატარებდა. მიგვაჩნია, რომ ლაზთა მეფეს, 193-197 წლებში სწორედ კოლხეთის შიდა რაიონების ანტირომაულად განწყობილ ძალებზე დაყრდნობით უნდა მოეხერხებინა იმპერიის გავლენისაგან გათავისუფლება. ამიტომ, როდესაც იმპერატორ სეპტიმიუს სევერუსს ძალის გამოყენებით მოუხდა ლაზეთის დამორჩილება, მისთვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ ქვეყნის შიდა რაიონებში რომაული საყრდენი პუნქტების შექმნის გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა მისი მორჩილებაში ყოლა. სწორედ კოლხეთის რეალური კონტროლის დამყარების მცდელობას წარმოადგენდა რომაული სამხედრო შენაერთების ჩაყენება მოედანში, ვაშნარსა და არქეოპოლისში.

ასე, რომ კოლხეთის შიდა რაიონებში იმპერიის სამხედრო ნაწილების გამოჩენას, ჩვენი აზრით, ადგილი უნდა ჰქონოდა იმპერატორ სეპტიმიუს სევერუსის მმართველობის დროს. ყოველ შემთხვევაში, სოფ. მოედნის მიმართ ეს ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რასაც გარკვეულწილად არქეოლოგიური მასალებიც ადასტურებს. სოფ. მოედნის დამღიანი აგური ბიჭვინთაში აღმოჩენილი აგურ-ფილების ანალოგიურია. ამ ფილების კეცი იდენტურია. ბიჭვინთის დამღიანი აგურები კი, თითქმის ზუსტად თარიღდება. ბიჭვინთის დამღიანი აგურები, სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრებით (Леквинадзе 1961; Лордкипанидзе 1989) XV ლეგიონის იმ ჯარისკაცთა მიერაა ადგილზე დამზადებული, რომლებსაც იმპერატორ სეპტიმიუს სევერუსის დროს, პიტიუნტის საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობაში მიუღიათ მონაწილეობა. აქედან გამომდინარე კი, სოფ. მოედნის დამღიანი აგური და შესაბამისად, იქ რომაული სამხედრო

ნაწილების გამოჩენაც, სეპტიმიუს სევერუსის დროით უნდა დათარიღდეს. ამრიგად, არქეოლოგიური და წერილობითი მონაცემების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, II საუკუნის ბოლოს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში განვითარებული მოვლენები ასე წარმოგვიდგენია: 193-197 წლებში ლაზეთის სამეფომ, რომელიც გამორიცხული არ არის, რომ ამ დროისათვის თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს აერთიანებდა, ისარგებლა რომში შექმნილი მდგომარეობით და იმპერიის გავლენისაგან გათავისუფლდა. მაგრამ, იმპერატორმა სეპტიმიუს სევერუსმა 197 წელს საბოლოოდ გაანადგურა კონკურენტები, სასწრაფოდ დაბრუნდა აღმოსავლეთში, სასტიკად დაამარცხა პართიელები და 198-199 წლებში დაიბრუნა ჩრდილოეთ მესოპოტამია, გაიარა ადიაბენა და პართიის ორივე დედაქალაქს – სელევკიასა და ქტეზიფონს დაეუფლა. დაპყრობილ ტერიტორიაზე შეიქმნა ახალი რომაული პროვინცია – მესოპოტამია (გრიგოლია 1994: 95) რის შემდეგაც კი, სევერუსმა დაიმორჩილა ლაზეთი. სეპტიმიუს სევერუსმა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში იმპერიის პოზიციების განმტკიცების მიზნით გარკვეული საფორტიფიკაციო ღონისძიებები გაატარა; მოდერნიზებულ იქნა კოლხეთის სანაპიროზე არსებული რომაული ფორპორტები, ხოლო ქვეყნის შიგნით – მოედანში, ვაშნარსა და არქეოპოლისში დამატებით სამხედრო ძალები განალაგა; გამორიცხული არ არის, რომ სწორედ ამ დროს დაეწყო ფუნქციონირება აფსაროსის ავანპოსტ – პეტრა-ციხისძირსაც (Braund, 1989).

საინტერესოა, რომ რომაული სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემის გაძლიერება ლოკალური, მხოლოდ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მასშტაბით განხორციელებული ღონისძიება არ ყოფილა. როგორც ცნობილია, სეპტიმიუს სევერუსმა მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა არმიაში. იგი დიდ ყურადღებას უთმობდა იმპერიის საზღვრების უსაფრთხოების დაცვასაც.

მესოპოტამიაში შეყვანილ იქნა ორი ლეგიონი და იქ ახალ თავდაცვით სისტემას ჩაეყარა საფუძველი. განმტკიცებულ იქნა აღმოსავლეთის ერთიანი, ადრიანეს დროინდელი სასაზღვრო-თავდაცვითი ხაზიც. მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთისა და დუნაის საზღვრებზე, რომელსაც II საუკუნის დასასრულსა და III საუკუნის დასაწყისში სამხრეთისაკენ მოძრავი გოთების უზარმაზარი ტალღა მოაწვა, მათ შესაკავებლად დუნაის საზღვარზე რეორგანიზებულ იქნა ლიმესის სისტემა, გასროლილ იქნა ახალი სამხედრო ქვედანაყოფები. ჩრდილოეთის საზღვრების უსაფრთხოების უკეთ დასაცავად და რეგიონში რომის სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის გასამყარებლად, სემპტიმიუს სევერუსმა ქ. ოლბია შეურთა ქვემო მეზიის პროვინციას. (Braund, 1986). ასე რომ, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაული ფორპოსტების გაძლირება მხოლოდ რეგიონული ხასიათის ღონისძიება არ იყო და იგი წარმოადგენდა სეპტიმიუს სევერუსის მიერ აღმოსავლეთის საზღვრების მთელ პერიმეტრზე განხორციელებული ღონისძიებების ნაწილს.

ამდენად, იმპერატორ სეპტიმიუს სევერუსის მმართველობის დროს დასრულდა პონტო-კავკასიის სისტემის მოდერნიზაციის მორიგი ეტაპი, რის შემდეგაც ამ სისტემის ეფექტურობა რამდენადმე გაიზარდა და იგი III საუკუნის შუახანებამდე წარმატებით იცავდა რომის სტრატეგიულ ინტერესებს რეგიონში.

§3. მომარაგების მარშრუტები

საგზაო-საკომუნიკაციო ნაგებობათა ქსელს უდიდესი სავაჭრო-ეკონომიკური და სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. რომის იმპერიის ერთ-ერთი უპირატესობა, სწორედ გამართული და სათანადოდ დაგეგმარებული ინფრასტრუქტურა გახლდათ. ამ შემთხვევაში, ჩვენ უშუალოდ შავი ზღვის აუზის რეგიონში გამავალ საზღვაო და სახმელეთო გზებზე ვისაუბრებთ. საზღვაო გზები ძირითადად სანაპირო ზოლს მიუყვებოდა. ხმელთაშუაზღვისპირეთიდან შავი ზღვის ცენტრებისკენ მომავალი ტვირთები ცხადია დარდანელისა და ბოსფორის სრუტეების გავლით მიემართებოდა კონკრეტული ნავსადგურებისკენ (ტაბ. XIV: 2). ოლბიის, ხერსონესის, ან პანტიკაპეონის შემთხვევაში, საზღვაო მარშრუტი უშუალოდ პირდაპირი გზით მიემართებოდა პუნქტებისაკენ (Adams, John Paul, 1976: 129-137;). სამხრეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირა ცენტრებისკენ კი, სანაპირო გზის გავლით. რომის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გავლენის გაფართოების პარალელურად დაწინაურდა სხვადასხვა საწარმოო ცენტრები, რომლებიც ხშირად ოპერატიულ ცენტრებადაც მოიხსენიება (stative; sedes belli) (Livy 31.22.6; Tac. Ann. 14.33. 93; App. Ill. 4,22; BCiv. 4.13.106). თავდაპირველად, ჰერაკლეა და სინოპე ტვირთულობდა ამ როლს, თუმცა, მოგვიანებით, ტრაპიზონიც დაწინაურდა (Bennett, J. 2002: 301-304). სწორედ ტრაპიზონზე მოდიოდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისა და მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რომაული ციხე-სიმაგრეების (ათენა, რიზე, ზანაიერი, აფსაროსი, ფაზისი, პიტიუნტი, სათალა, მელიტენე, სამოსატა და სხვა მცირე ზომის სიმაგრეები) მომარაგების პრობლემის გადაჭრა (ტაბ. XIV: 2). ტრაპიზონიდან აღმოსავლეთით მიემართებოდა როგორც საზღვაო (ძირითადად სანაპიროს სიახლოვეს), ისე სახმელეთო გზები (ასევე სანაპიროს სიახლოვეს და სამხრეთით).

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ 2018-2019 წლებში ვიმყოფებოდით ტრაპიზონის შემოგარენში, რომლის დროსაც შევისწავლეთ ტრაპიზონიდან სათალასკენ მიმავალი გზები და საკონტროლო ციხე-სიმაგრეები (Birley, A.R., 1981: 39-43) ჩანს, რომ ტრაპიზონიდან სათალასა და მელიტენესკენ მიემართებოდა როგორც ზამთრის, ისე ზაფხულის გზებიც.

ტრაპიზონს და მთლიანად ცენტრალური ჭანეთის ზღვისპირა ზოლს ჩრდილოეთით სამი მთის ჯაჭვზე გამავალი გზები აკავშირებდა. ესენი იყო ზიგანას, დემირ-დაღისა და დაღლარის მთები. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ზიგანას მთებზე გამავალი გზები. მათ მეორენაირად „პონტოს კარიბჭესაც“ უწოდებდნენ. გზები, რომლებიც გადიოდა პილაბინიტის (ხარშიტის), დეღირმენდერეს, ლიკიის (კელკიტის) და ირის (ირმაკის) ტერიტორიაზე, მოგვიანებით ზღვისპირეთს აკავშირებდა ანატოლიის შიდა რაიონებთან და აქედან სხვა ქვეყნებთან (ტაბ. XIV: 2).

ტრაპიზონიდან სავაჭრო გზები მიემართებოდა სპარსეთისა და შუა აზიისკენ, შემდეგ კი ჩინეთისკენ. ამ პერიოდში იგი იქცა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის უმნიშვნელოვანეს სატრანზიტო ცენტრად. სხვადასხვა მკვლევართა აზრით, ამ გზებს ძალიან დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდათ და უდიდეს როლს ასრულებდნენ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების საქმეში (Карпов, 2001: 92).

გზა თავრიზზე გადიოდა პონტოს მთებზე დეღირმენდერესა და ხარშიტის ხეობებით. ყველა გზა ზიგანას უღელტეხილზე იყრიდა თავს, საიდანაც მიემართებოდა გუმიშხანე (ძვ. არგიროპოლისი) - ბაიბურთი (ძვ. პაიპერტი) - ერზრუმის მიმართულებით. პეგოლოტის ცნობით ფეხით მოსიარულეს ტრაპიზონიდან თავრიზამდე ჩასვლა 12-13 დღეში შეეძლო, ქარავანს კი 30-32 დღე სჭირდებოდა (ტაბ. XIV: 2). ასევე სარგებლობდნენ კერასუნტისკენ მიმავალ

გზითაც, რომელიც კერასუნტიდან თოკატის, ხარშიტის ხეობისა და ზიგანას უღელტეხილის გავლით მიემართებოდა სივასისა და ერზიჯანესკენ. გარდა ამისა, ეს გზა საქართველოსკენაც მოემართებოდა, ხოლო ზღვისპირა ქალაქების კერასუნტის, სამსუნისა და სინოპეს გავლით კი - კონსტანტინეპოლისკენ. ამდენად, სწორედ აქ მოიყარა თავი საზღვაო და სახმელეთო სავაჭრო გზებმა. დ.მანდევილის ცნობით, ამ პერიოდში სწორედ ტრაპიზონით ხორციელდებოდა ვაჭრობა თათრებთან, ირანთან, ხალდიასთან, იდნოეთთან და სომხეთთან (Mandeville, 1953: 103-104).

აღსანიშნავია ისიც, რომ VIII ს–დან ტრაპიზონი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი ხდება საქართველოსთვისაც, ვინაიდან სწორედ საქართველოს მიწების გავლით სავაჭრო გზები მიდიოდა კასპიის ზღვის სანაპიროსკენ. ამასთანავე, დერბენდის გავლით და, შემდგომ, ტრაპიზონიდან საზღვაო გზის გამოყენებით უკავშირდებოდა კონსტანტინეპოლს. ამ გზას ძირითადად მაშინ იყენებდნენ, როცა მოვაჭრეებს გადაჰქონდათ განსაკუთრებით ძვირფასი, ან მძიმე საქონელი. ტრაპიზონიდან ზღვით კონსტანტინეპოლამდე მისვლას სჭირდებოდა 8-დან – 19 დღემდე, რაც, ერთის მხრივ, დამოკიდებული იყო ამინდზეც. იმ შემთხვევაში, თუ ქარის მიმართულება ემთხვეოდა გადაადგილებას, მაშინ 5 დღეც საკმარისი იყო კონსტამტინეპოლამდე მისაღწევად.

რაც შეეხება უშუალოდ ტრაპიზონის შემოგარენის ტერიტორიაზე გამავალ სავაჭრო-საქარავნო გზებს, აღსანიშნავია, რომ აქ ძველი დროიდანვე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები, რომლითაც რეგიონი შიდა თუ გარე სამყაროს უკავშირდებოდა. ისინი სხვადასხვა მიმართულებით იტოტებოდა და მიემართებოდა როგორც ზღვისპირა ზოლისკენ, ისე ჰინტერლანდშიც. სწორედ ამით აიხსნება რეგიონში არსებული საფორტიფიკაციო ნაგებობების მთელი

სპექტრის სიმრავლე. მათი ძირითადი ნაწილის დანიშნულება, აქ გამავალი სავაჭრო-საქარავნო გზების კონტროლი და მოქარავნეთა გადაადგილების უსაფრთხოება გახლდათ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსაკუთრებული დატვირთვა და მნიშვნელობა გააჩნდა ტრაპიზონიდან პონტოს მთიანეთის სიღრმისკენ, სამხრეთით, მიმავალ სავაჭრო-საქარავნო გზებს. აქ, გზებზე გადაადგილებისას მარშრუტები სეზონების ცვლილებებთან ერთად იცვლებოდა, შესაბამისად არსებობდა საზაფხულო და ზამთრის გზები. პრინციპში, ძირითადი მარშრუტი მაინც უცვლელი იყო, უბრალოდ, უნდა ითქვას ის, რომ ზაფხულის პერიოდში, როცა მდინარეებზე გადასვლა უსაფრთხო და იოლი იყო, დანიშნულების პუნქტებამდე გასავლელი დრო ბევრად მცირდებოდა, რასაც ვერ ვიტყვით ზამთრის პერიოდზე, როცა გადაადგილება რიგ სირთულეებთან იყო დაკავშირებული და მოქარავნეებს შემოვლითი გზებით უხდებოდათ დანიშნულების პუნქტამდე მისვლა (ტაბ. XV: 1).

ერთ-ერთი ცენტრალური, საკვანძო მნიშვნელობის არტერია გახლავთ ტრაპიზონი-ერზიჯანის დამაკავშირებელი გზა, რომელიც ტრაპიზონიდან თეოსკეპასტოს მონასტრისა და ბოზთეფეს გავლით მიემართება სამხრეთით და მიუყვება დეღირმენდერეს ხეობას. აქედან გზა ბაიბურთისკენ მდინარეების გავლით მიდის მაჩკასკენ. მაჩკადან მთავარი ზამთრის გზა მიდის პიქსიტისკენ, საიდანაც ხორტოკოპიონის, ჰორტოკოპისა და იანანდონის გავლით აღწევს ჰამსიქოიმდე. აქედან კი, ჩვეულებრივ, მდინარის ხეობის გასწვრივ მიემართება ზიგანას უღელტეხილისკენ, რომელიც ზღვის დონიდან 2025 მ სიმაღლეზე მდებარეობს. აქ ადრე მრავლად ყოფილა ქარვასლები, რომლებიც მექარავნეებს და არა მარტო მათ, საშუალებას აძლევდა შეესვენათ და შემდგომ გაეგრძელებინათ გზა. აქედან, სამხრეთით, გზა პილაბონიტის შენაკადის ხეობის

გავლით მიემართებოდა ზიგანას დასახლებისკენ, სადაც მცირე ზომის ზიგანას ციხე-სიმაგრეა. შემდგომ გზა მიემართება სამხრეთით, პილაბონიტის (ხარშიტის ხეობის სამხრეთ მონაკვეთი) ხეობისკენ, სადაც მდებარეობს კიდევ ერთი ციხე-სიმაგრე თორული, რომელიც, შეიძლება ითქვას რომ თავისი მეტად სტრატეგიული და მოქნილი მდებარეობით, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა აქ გამავალი გზის უსაფრთხოების საქმეში.

აღნიშნული გზა, მეტისმეტად რთულად გასავლელია მოგზაურისთვის, თუმცა, განსხვავებით აღნიშნული ზამთრის გზისგან, ზაფხულის გზები ბევრად მოკლე და მოსახერხებელი იყო. აქ, ზაფხულის გზების (დასავლეთისა და აღმოსავლეთის) შეხვედრის საერთო წერტილი იყო ე.წ. პონტოს კარიბჭედ წოდებული პილა, კოლათი და ბოგაზი. ეს ზაფხულის გზა მაჩკადან სამხრეთით მოდიოდა ზამთრის გზის პარალელურად ხორთოკოპიონამდე, შემდეგ კი გადადიოდა სამხრეთით კარაკაბანის მთიდან და მიემართებოდა პონტოს კარიბჭემდე, თუმცა, მანამდე გაივლიდა ჰამსიქოის და ფერგანლის. აქედან, უფრო სამხრეთით, სადაც მდინარეები ისტავრი და კურუმი (იაღლიდერე) უერთდება პილაბონიტს, ჰარავა ჰანლარში. ზაფხულში კი შესაძლებელი იყო მდინარის გადაკვეთა და გზის გაგრძელება უფრო სამხრეთით, ქერიანასკენ. მეორე საზაფხულო გზა პონტოს კარიბჭედან მიუყვება მდინარე ისტავრს მის შესართავამდე მდინარე კურუმთან, ისტილაში, და აქედან მიემართება აღმოსავლეთით, შემდგომ კი კვლავ სამხრეთით ბაზბენთი დაღის მთების გასწვრივ, საიდანაც გადადის პილაბონიტის ხეობაში, ბეშქილისეში, რომლის ერთ-ერთ მაღლობზე ჭანიკას, ჯანჯას ციხე-სიმაგრეა აღმართული.

მესამე გზა პონტოს კარიბჭედან საზაფხულო საძოვრების გასწვრივ მიემართებოდა ბაიბურთისკენ. აქ, ანზარია ჰანლარში დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან მომავალი სავაჭრო გზების კიდევ ერთი გზაგასაყარი იყო,

სავარაუდოდ აქვე უნდა ყოფილიყო ციხე–სიმაგრეც, რომელიც, სამწუხაროდ არც წყაროებში მოიხსენიება და ვერ ჩვენ მივაკვლიეთ.

თავის მხრივ, საინტერესოა ისიც, რომ ხეობები (პილაბონიტის, კანისის, ხარშიტის და ლიკოსის) და მთიანი რელიეფი ერთგვარ ბარიერს ჰქმნიდა აქ გამავალი გზებისთვის, რომელთაც, როგორც რომაულ, ისე ბიზანტიურ ეპოქაშიც იყენებდნენ. ამ მთებს დღეს ორი თანამედროვე გზა კვეთს დასავლეთით, რომელიც იწყება სამხრეთიდან, თორულის ციხიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით. ეს ერთ–ერთი ყველაზე უმოკლესი გზაა ტრაპიზონიდან ლიკოსის ხეობამდე და მიუყვება მდინარე დიპოტამოსს. ამ გზის გაყოლებაზე, იქისუში, რომელიც კანისის შენაკადია, ბიზანტიური პერიოდის მცირე ზომის სათვალთვალო კოშკი და ასევე ბიზანტიური პერიოდის ტაძარია. დიპოტამოსი კანისის ერთ-ერთი უდიდესი შენაკადია, ხოლო ამ ხეობაში, აღმოსავლეთით, სადაც დიპოტამოსს უერთდება სორუიანასა და ერტაბელის მდინარეები, ასევე მდებარეობს კოდილ კალე, ხოლო მის აღმოსავლეთით კი ორი ციხე - ბაიანა და კოლოსანა, ისინი აქ გამავალი გზებზე უსაფრთხო გადაადგილებას უზრუნველყოფდა.

ცნობილი მკვლევარის სტრეკერის ცნობით (Strecker, 1855: 346-348), კიდევ ერთი საზაფხულო გზა ერზიჯანიდან ტრაპიზონამდე მიემართებოდა სქურუთის, მურად ჩან-ოღლუს მთიანეთისა და ხარშიტის ხეობის გავლით. გარდა ამისა, ამავე გზას ასახელებს ბრიოტიც (Briot, 1867: 464), რომელიც ფიქრობს, რომ სწორედ ამ გზით გააგრძელა ქსენოფონტემ ჩრდილოეთით სვლა. ამ არეალში, მდინარეების სოირანისა და ხარშიტის შესართავთან არის უკვე დანგრეული ციხე-სიმაგრის ზინდანლარ არაზის ნაშთები. უფრო აღმოსავლეთით, კოვანის დასახლებიდან 5 კილომეტრის მოშორებით კანის ხეობაში შემორჩენილია ბიზანტიური ხანის ეკლესია და ციხე-სიმაგრე ქეჩი-

კალე. მოგზაური კიეპერტი აქ კიდევ ერთი ციხე-სიმაგრის არსებობაზე მიუთითებს, რომლის იდენტიფიცირებაც, სამწუხაროდ, დღეს ვერ ხერხდება (Kiepert, 1855: 348).

განსაკუთრებით საინტერესოა კლავიხოს ცნობები (Clavijo, 1404: 79-84), რომელიც კარგად აღწერს ტრაპიზონიდან ერზიჯანისკენ მიმავალ გზებს. ამ გზის გავლას მოგზაურმა ერთ კვირაზე მეტი მოანდომა. ჩვეულებრივ, ტრაპიზონიდან დეღირმენდერეს ხეობის გავლით, ჩაუარა პალეომაჭუკას ციხეს და გაემართა ზიგანას უღელტეხილისკენ, სადაც აღწერს ზიგანას ციხე-სიმაგრეს, შემდგომ კი თორულის გავლით გაემართა იქისუს ხეობაში. აქედან, ის გზას აგრძელებს სამხრეთით, სადაც ჩერდება დორილეს ციხესთან, რომლის შემდგომაც გზა ალანსას გავლით ერზიჯანისკენ მიემართება.

რაც შეეხება კონკრეტულად აღნიშნულ გზებზე არსებულ თავდაცვით ნაგებობებს, ზღვისპირეთისაკენ მიმავალ გზას აკონტროლებდა იენისელ კალეს ციხე (Eynesil Kalesi, Görele, Koralla), ძველი გორელე, კორალა. იგი თანამედროვე ქალაქ გორელედან (ძვ. ფილოკალეა) აღმოსავლეთით, დაახლ. 30 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. ციხე თავის დროზე საკმაოდ მოზრდილი ნაგებობა ყოფილა. წერილობით წყაროებში დაცული ცნობების მიხედვით ციხე 1811 წელს ტრაპიზონის ფაშას დაუნგრევია (Sinclair, 1989:105).

გორელეს კონცხიდან აღმოსავლეთით, დაახლ. 8 კმ-ში მდებარეობს ჩეშმეონუ კალე, რომელიც ივაბოლუს, ძველ ლიბიოპოლისს, შეესაბამება (NH, VI, 11). ციხე პატარა კონცხზე, მდ. აკხისარ დერედან დასავლეთით, 1 კმ-შია. საფორტიფიკაციო ნაგებობა თითქმის მიწასთანაა გასწორებული, მაგრამ ნაშთები აქა-იქ ფიქსირდება.

იალიქოის აღმოსავლეთით და იოროსის კონცხის დასავლეთით დაახლ. 10 კმ-ში მდებარეობს კიდევ ერთი ციხე გელიდა (კილიტა) კალე, ხოლო მისგან

აღმოსავლეთით ასევე დაახლ. 10 კმ-ში იოროსის კონცხი (Yoroz Burnu), სადაც ა.ბრაიერის, დ.ვინფილდისა და თ.სინკლერის მიხედვით საფორტიფიკაციო ნაგებობის ნაშთები ყოფილა. დღეისათვის ფიქსირდება მხოლოდ დასავლეთი კედლის ფრაგმენტი (Bryer, Winfield, 1985: 158; Sinclair, 1989: 105).

იოროსის კონცხიდან დაახლ. 11 კმ-ში, აქჩაბათთან (ძვ. ჰერმონასა, პლატანა) მისვლამდე, მდებარეობს აქჩა-კალეს ციხე (Akça kale). ციხე ტრაპიზონიდან გირასუნისაკენ მიმავალი ცენტრალური გზის მარჯვენა მხარეს, ზღვისკენ წაზიდული ნახევარკუნძულისებრი ფორმის ბორცვზეა დაშენებული. იგი საკმაოდ დიდი მოცულობის ნაგებობაა. ციხის დიდი ნაწილი საკმაოდ კარგადაა შემონახული, ისე რომ გეგმა სრულყოფილად იკითხება. განსაკუთრებით კარგადაა დაცული ციხის ჩრდილოეთი და ნაწილობრივ დასავლეთი გალავნის კედელი.

ზღვისპირა ზოლში გამავალი გზები თავს ტრაპიზონში იყრიდა, რომელსაც თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ჯერ კიდევ რომაულ პერიოდში იგი გახდა მნიშვნელოვანი ქალაქი სომხეთისა და ევფრატის დაბლობების დასაკავშირებლად. იმპერატორ ვესპასიანეს დროს აქ გაიყვანეს სპარსეთისა და შუამდინარეთისკენ მიმავალი ახალი გზები, ხოლო ადრიანემ ტრაპიზონი პროვინციის დედაქალაქად აქცია. ადრიანეს დროსვე მოეწყო ტრაპიზონის პორტიც. აქ განლაგებული იყო შავიზღვისპირეთში რომაელთა ფლოტის ერთ–ერთი მთავარი დანაყოფი, ხოლო ქალაქი, თავის მხრივ, ასევე წარმოადგენდა შავი ზღვის რეგიონის კასტელუმებში მდგარი რომაული გარნიზონების მთავარ მომმარაგებელ ცენტრს. იგი იყო ასევე ბოლო პუნქტი სირიისა და ევფრატისკენ მიმავალ სამხედრო გზაზე. ქალაქი და აქ გამავალი სავაჭრო-საქარავნო გზები მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ტრაპიზონის, ხოლო მოგვიანებით

ოსმალეთის იმპერიის დროსაც.

აღსანიშნავია დეღირმენდერეს ხეობის მარცხენა სანაპიროზე, ჩეშმელერსა (დიანეიაკა, ზანხა) და კოპრუანას (სახნოე, სახანოი) შორის მდებარე განტოპედინის/ლაბრას/ზანხა-კალეს ციხე. იგი თავისი სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე რამდენიმე კილომეტრიდან ჩანს როგორც ხეობის ზევიდან, ისე ქვევიდან. უდავოა, რომ როგორც დუბერას ციხე სუმელას, ისე განტოპედინი აქვე მდებარე ვაზელონის მონასტრის სასიგნალო კოშკის ფუნქციებსაც ატარებდა (Bryer, Winfield, 1985: 285).

თანამედროვე მაჩკადან (მაჭაკა, ისტორიული Ad Vincesimum/მაგანა) დაახლ. 5 კმ-ში, სოფ. აშაღიქოიში (ყოფილი აშაღი ხორტოკოპი) მდებარეობს ხორტოკოპის ციხე. იგი აგებულია ამაღლებულ ადგილას და საკმაოდ მოზრდილი ნაგებობაა. მისი დიამეტრი 60 მ-ია და თითქმის წრიული ფორმისაა. თავის დროზე ჰქონია 9 გარეთ გატანილი მომრგვალებული კოშკი. მისგან სამხრეთით დაახლ. 20 კმ-ში თანამედროვე სოფელ ჰამსიკოიში მდებარეობს ციხე პალეოკასტრონი, ძველი მაჭუკა (Palaiomatzouka). ციხე აგებულია დეღირდერეს (ძვ. პრიტანისი) ხეობის მარჯვენა სანაპიროზე ამაღლებულ და რთულად მისადგომ კლდეზე, მეტად სტრატეგიულ ადგილზე. სწორედ აქ გაივლიდა ძველად სავაჭრო-საქარავნო გზის ერთ-ერთი განშტოება ,,საზაფხულო“ გზა. როგორც ცნობილია, დიდთოვლიანობის გამო ჰამსიქოისა და მის მიდამოებში გავლა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ამიტომ სავაჭრო-საქარავნო გზა მარშრუტს იცვლიდა და ე.წ. ,,ზამთრის“ გზა დეღირმენდერეს ხეობის აყოლებით ზიგანას ქედისაკენ სუმელას მიმართულებით მიემართებოდა. ეს გზა შედარებით უსაფრთხო, მაგრამ გრძელი იყო, ამიტომაც ზაფხულის პერიოდში სწორედ ხამსიქოს ციხის ძირში გამავალ გზას ამჯობინენდნენ. ეს გზა შემდეგ სოფლებს გაივლიდა და ტრაპიზონიდან

ზიგანას ქედისაკენ ან პირიქით ზიგანას ქედიდან ტრაპიზონისაკენ მიემართებოდა: გურგენ აღაჯი - ანაიურთი (ძვ. კრანსა) - დიქქაია (ძვ. ზავერა) - გუზელ იაილა (ძვ. ფერღანლი) - ხამსიქოი (ძვ. ჩირალი) - ზიგანას ქედი.

შიდა რაიონებში გამაგრების საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ზიგანას უღელტეხილზე არსებულ ციხეს. საფორტიფიკაციო ნაგებობა აკონტროლებდა უღელტეხილს და ყველა იმ გზას რომელიც აქ გადიოდა. ციხე სოფ. ზიგანა ქოიდან დასავლეთით 700 მ-ში, მაღლივ კლდეზეა დაშენებული. აქედან კარგად ჩანს სხვა საფორტიფიკაციო ნაგებობები. იგი პირდაპირ გასცქერის სამხრეთით თორულის ციხეს.

ზიგანას მნიშვნელობა არა მარტო საფორტიფიკაციო, არამედ სხვა ტიპის ნაგებობებიდანაც იკვეთება, მაგალითად აქ გვხვდება ქარავან-სარაი, რომელიც, სხვათა შორის, მეჰმედ II მიერ ამ რეგიონის დაპყრობიდანვე (1479-1480 წწ) ადრე ხანში, XV-XVI სს მიჯნაზე ააგეს. აქვეა მოსასვენებელი სახლი, ხანი (Bryer, Winfield, 1985: 297). ყველაფერი ეს მიგვანიშნებს, რომ ამ რეგიონში გამავალი სავაჭრო გზას სტრატეგიული და ეკონომიკური დანიშნულება ჰქონდა.

ზიგანას შემდეგ ამ გზაზე მომდევნო საფორტიფიკაციო ნაგებობა თორულის ციხეა (ძვ. არდასა). ციხე აგებულია ზღვის დონიდან 1112 მ სიმაღლეზე. აქ უძველეს დროიდან (სხვათაშორის ახლაც) თავს იყრის ზღვისპირეთიდან პონტოს მთებს გადაღმა სამყაროსთან დამაკავშირებელი ორი გზა. პირველი გზა ძველი გერასუნიდან ხარშიტის ხეობით ადიოდა, მეორე კი ტრაპიზონიდან დეღირმენდერეს ხეობით და ზიგანას უღელტეხილის გადალახვის შემდეგ ჩადიოდა ასევე თორულში. ორივე გზა თორულისაგან ჩრდილო-დასავლეთით ხარშიტის ხეობის ყველაზე შევიწროებული კლდოვანი ქედების ძირში იყრიდა თავს. აქედან კი ძველი საქარავნო გზა ბაიბურთის, ერზინჯანის თუ სხვა მიმართულებით მიდიოდა. ფაქტიურად თორულის ციხე

ამ გზების შესაყარს აკონტროლებდა. მას ადრე არდასა ერქვა. სამშენებლო ტექნიკითა და არქიტექტონიკით ციხე აგებული უნდა იყოს შუასაუკუნეებში. მისი აშენების მიზეზი სტრატეგიული დანიშნულებაა, კერძოდ ტრაპიზონ-გუმიშხანესა და კანის-პრიტანისის ხეობათა გზების გაკონტროლება.

თორულის სამხრეთ-დასავლეთით დაახლოებით 37 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ქოფუზ-კალე. გამოყენებული მასალის და საამშენებლო ხელოვნების მიხედვით იგი შუა საუკუნეების ნაგებობა ჩანს. ციხე 60 მ სიმაღლის კლდოვან ფერდობზეა დაშენებული. იგი თითქმის მთლიანადაა დანგრეული.

თორულიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 10 კმ-ში, იქ სადაც მდ. იქისუ, იგივე ყარამუსტაფა (დიპოტამოსი) მდ.ხარშიტს უერთდება, თანამედროვე სოფელი ოვუნდუა. სოფელის ცენტრში გამავალი მდინარის მარჯვენა მხარეს ოვუნდუს ციხეა. მის საპირისპიროდ, მდინარის მარცხენა მხარეს კი - იქისუს ციხე. ოვუნდუს ციხე გუმუშჰანედან 15 კილომეტრითაა დაცილებული. იგი ჩრდილო-დასავლეთით სოფ.ოვუნდუს აღმოსავლეთით 30-40 მ სიმაღლის კლდის პლატოზეა დაშენებული. მისგან ჩრდილოეთით მდ. ხარშიტი, ხოლო დასავლეთით მეორე მდინარე იქისუ (დიპოტამოსი) მიედინება. ციხიდან ხარშიტისა და იქისუს ხერთვისამდე 200 მეტრია. აქედან იქსაქსება შავიზღვისპირეთიდან მომავალი გზები სხვადასხვა მიმართულებით. ერთერთი გზა გუმუშხანესაკენ, ხოლო შემდეგ ბაიბურთისაკენ მიდიოდა. მეორე კი შირან-ერზიჯანისაკენ. ამ გზების გასაყარს აკონტროლებდა სწორედ ოვუნდუს და მისგან მდინარის მარცხენა სანაპიროს მაღალ კლდოვან კონცხზე დაშენებული იქისუს, იგივე დიპოტამოსის ციხე. ორივე საფორტიფიკაციო ნაგებობა ერთმანეთს გაჰყურებს. მათ შორის დაახლოებით ხუთას მეტრამდე იქნება დაცილება. ოვუნდუს ციხის ძირში გაივლიდა სწორედ ცენტრალური ტრასა და

5 კილომეტრის შემდეგ ნაწილდებოდა გუმუშხანე ბაიბურთისა თუ ერზიჯან შირანისაკენ.

იქი-სუდან, 7 კმ-ში, მდ. იქი-სუს აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობს გოდინის (გოდანა, კოდილი) ანუ გუმუშკაიას ციხე. ციხის საშენი მასალის მიხედვით შუა საუკუნეებისაა. ისიც საკმაოდ სტრატეგიულ ადგილასაა და ალთინფინარ-შირან-თორულ-გუმუშჰანეს გზების დამცველია. ციხე ერთდროულად აქ გამავალი გზების გასაკონტროლებლად და ამასთანავე თავდაცვითი მიზნებისთვისაა აგებული (Özkan,Yurttaş, 2012: 118-119).

ხარშიტის მარცხენა შენაკად იქისუს წყლის აუზში, იქისუს და ხარშიტის ხერთვისიდან ტრაპიზონ-შირანისაკენ მიმავალი გზის მე-12 კმ-ზე, მდ. იქისუს მარცხენა მხრიდან უერთდება სორანეს წყალი. აქედან ხეობის აყოლებით 5 კმ-ში მდებარეობს სოფელი სორიანა, სადაც აგებული ყოფილა სორიანას ციხე. აქაურთა გადმოცემით ხეობასა და ციხისძირში გამავალ გზას იფექიოლი (აბრეშუმის გზა) ერქვა. იგი ხევის დაყოლებით ტრაპიზონ-შირანის გზამდე ჩადიოდა და აქედან უკვე შეიძლებოდა ნებისმიერი მიმართულებით წასვლა. მარცხნივ გუმუშხანეს გავლით ბაიბურთისაკენ, ხოლო მეორე მხრივ თორულით ტრაპიზონის და ძველი გერასუნისაკენ.

სორიანას ხეობაში არის დაფიქსირებული ზინდალარის ციხის ნაშთებიც (Zindanlar Arazı). ციხე მდებარეობს ვიწრო შემაღლებულ ადგილზე და თავის დროზე ხუთკუთხა (პენტაგონალური) გეგმის ყოფილა. სწორედ აქ იყო ადგილი, სადაც ქარავანი ისვენებდა და მოწყობილი თავშესაფარი. ზინდანლარის ციხის ნაშთები დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ერზრუმიდან და სატალადან მურასანოღულარისაკენ მომავალ საზაფხულო გზასთან (Mitford, 2018:355-359).

ტრაპიზონ-ძველი გუმუშხანე-ბაიბურთისაკენ მიმავალი გზის დორთკონაღის (ედირეს) მონაკვეთში მდებარეობს დორთკონაკის (ედირეს) ციხე. აქედან ძველ

გუმუშხანეს ადმინისტრაციულ (თანამედროვე სულეიმანიე) ცენტრამდე 18 კმ-ია. გზები, რომელიც გერასუნიდან ხარშიტის, ხოლო მეორე გზა, რომელიც ტრაპიზონიდან დეღირმენდერეს ხეობით მოდიოდა, თორულის ვიწრო გასასვლელ ყელთან ერთიანდება. აქედან იგი ხარშიტის ხეობის მარცხენა მხარეს მიუყვება და შემდეგ იქისუსა და ხარშიტის წყლების ხერთვისიდან მარჯვნივ შეუხვევს. ხერთვისს როგორც აღინიშნა, კარგად აკონტროლებს მდინარის მარჯვენა მხარეს არსებული ფუმბულას და მარცხნივ კი-იქისუს (იგივე დიპოტამოსის) ციხეები. ხერთვისიდან დაახლოებით 5 კმ-ში გზა ორად იყოფა. ერთი პირდაპირ იქისუს ხეობით ერზიჯანისაკენ, თუ შირანისაკენ მიდის, ხოლო მეორე მარცხნივ უხვევს და იქისუს მარჯვენა შენაკად ყარამუსტაფას ხეობით ბაღჩექოის-ჰასქოის, დორთკონაკის, იაიდემირის გავლით სულეიმანიეში ანუ იგივე ძველი გუმუშხანეს ცენტრში ჩადის. აქედან კი ბაიბურთის თუ სხვა რეგიონებისაკენ მიემართება. ეს ის ძველი გზის მონაკვეთებია, რომელიც ზღვისპირეთს აკავშირებდა პონტოს მთებს გადაღმა სამყაროსთან. დორთკონაღის ციხე სწორედ იქისუს ხეობიდან ყარამუსტაფას ხეობით ძველი გუმუშხანესაკენ მიმავალი გზის დასაწყისს აკონტროლებდა. სწორედ აქედან იქისუსა და ყარამუსტაფას ხერთვისიდან იყრება ძველი გზები ორი მიმართულებით-ერზიჯანისაკენ და მეორე გუმუშხანე-ბაიბურთისაკენ. საკუთრივ ციხისათვის ხეობის დასაწყისში ყველაზე ვიწრო ადგილი შეურჩევიათ. აქ ორივე მხარის მაღალი კლდოვანი ქედები ყველაზე მეტად უახლოვდებოდა ერთმანეთს და ვიწრო ყელს ქმნიდა. ციხის მშენებლებს სწორედ ყარამუსტაფას ხეობის მარჯვენა კლდოვანი ქედის ბოლო მონაკვეთი შეურჩევიათ. ციხე უშუალოდ ამ ქედის ბოლოს, ხეობისაკენ წინ წაზიდული კლდოვანი შვერილების ყელზე შემაღლებული კლდის წვერზე დაუშენებიათ.

ხარტიშის ხეობის მარჯვენა სანაპიროს წყალგამყოფი ქედის ერთ-ერთ ყველაზე

შემაღლებულ კლდოვან ქანზეა დაშენებული აქჩა–კალე. ციხე, რომელიც ზემოდან გადაყურებს მთელ ხეობას სიგრძე-სიგანეზე და თანამედროვე გუმუშხანეს. ასევე იგი პირდაპირ გასცქერის ამ ოლქის ძველ ცენტრს, რომელსაც ამჟამად სულეიმანიე ეწოდება (ისტორიული ჭანეთის...2019). აქჩა–კალე თავისი სტრატეგიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლია ძველი გუმუშხანეს ერთიანი თავდაცვითი სისტემისა. იგი ერთმანეთთან აკავშირებდა ხეობის როგორც ზედა, ისე ქვედა ნაწილში არსებულ სასიმაგრო ხასიათის ნაგებობებს, რომლებიც როგორც გარე, ისე შიდა სამყაროსთან დამაკავშირებელ გზებს შესანიშნავად აკონტროლებდნენ.

გუმიშხანედან ბაიბურთისაკენ მიმავალ გზას აკონტროლებს ქეჩი–კალე. იგი აგებულია გუმუშხანედან 25 კმ-ის დაშორებით ბაიბურთისაკენ მიმავალი გზის ჩრდილოეთ მხარეს მაღალ წოწოლა კლდეზე, ზღვის დონიდან 1627 მ სიმაღლეზე.

ქეჩი კალეს ციხესთან ახლოს მდებარე სოფ. ქვედა ჰურუსუფლას (Hurusüfla) სამხრეთით, 3,2 კმ დაშორებით არის კარგად ნაშენი მოპირკეთებული ქვებისაგან შედგენილი კედლების ნაშთები. როგორც ამბობენ, აქაც ციხე ყოფილა. ირგვლივ ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენილა ბრინჯაოსა და ოქროს მონეტები, ტერაკოტა, წყლის მილები რაც აქ რომაელების არსებობაზე მიუთითებს. უხუცესებს ახსოვთ ტრაპიზონიდან მომავალი და ასევე გუმუშხანედან ერზიჯანამდე აქ გამავალი ძველი გზა. იგი შემდეგნაირი მარშრუტის ყოფილა: ჰურუსუფლა (Hurusüfla) - კოსე (Köse) - ჰავჯიში (Havciş) - კილიჩჩი (Kiliççi) - სადაკი (Sadak) (Mitford, 2018: 354-355).

მნიშვნელოვანი გზა გადიოდა იურთლარის ხეობაშიც (Yurtlar dere). აქ გამავალ გზას აკონტროლებდა სწორედ აღა–კალესი (Ağa Kalesi). მისი შიდა

ტერიტორია დაფარულია ხეებით და თითქმის მთლიანადაა დანგრეული. ციხე თავის დროზე მართკუთხა გეგმის ყოფილა. შემორჩენილი ზომები დაახლოებით 65x25 მ-ია. კედლები ამოყვანილი ყოფილა კირხსნარის გარეშე მდინარის ქვებით. გადარჩენლია მხოლოდ ორი კვადრი. ფიქრობენ რომ ეს ციხე შეიძლება იყოს კორბულონის მიერ განახლებული პრაესიდია (Praesidia), რომელიც ტრაპიზონისაკენ მიმავალი გზების დასაცავად აიგო (Mitford, 2018:354-355). ამავე ხეობის სათავეებში ფიქსირდება ჰურის ციხის ნაშთები (თანამედროვე სოფ. ბეიჩამში), რომელიც საძირკვლის დონემდეა მორღვეული. შემოჩენილ ნაშთებზე ზედაპირული დაკვირვებით ციხე ადრებიზანტიურ პერიოდში ჩანს აგებული.

გუმუშხანე ერზიჯანისაკენ მიმავალ გზას აკონტროლებს ესენიურთის (კოვის) ციხე, რომელიც აშენებულია ერზიჯანისაკენ მიმავალი გზის მარჯვენა წყალგამყოფი ქედის ყველაზე შემაღლებულ კლდოვან ბორცვზე. აქედან ოთხივე მხრივ კარგად მოჩანს უზარმაზარი სივრცეები.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გზა რომელიც გუმუშხანეს რეგიონში გაივლიდა იაღლი დერეს ხეობის გზაა. იგი როგორც მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარავნო მარშრუტი 1930-იან წლებამდე გამოიყენებოდა. იგი გაივლიდა შემდეგ პუნქტებს: ტრაპეზუნტი/ტრაპიზონი (Trepezunta,Trabzon) - მაშჯიჩიჰანი/კარაკაბანი (Maşçiçihani, Karakaban) - მაგნანა (Magnana) - კოლასანლარი (Kolathanlari) - ბილაე (Bylae, Bile) - ანზარიაჰანლარი (Anzaryahanlari) - ერგიდარიუმი (Ergidarium) - მადენჰალარი (Madenhalar) - პატარა/პეტრა (Patara, Petra) - აღიარლარის (Ağyarlar) იგივე იაილას (Yayla) საძოვრები, იმერას ზემოთ - მედოკია (Medocia) - ლერი (Leri) - სოლომენიკა (Solomenica) - ძველი კოსე (Eski Köse) - დომენა (Domena) - სადაკი/სატალა (Sadak, Satala) (Mitford, 2018: 348-349).

სწორედ ამ მნიშვნელოვან მაგისტრალს აკონტროლებდა კრომნის ციხე, რომელიც კოლატის მთების ყველაზე შემაღლებულ ადგილზეა აშენებული. მკლევარების მიერ კოლატი იდენტიფიცირებულია, როგორც პონტოს კარი, ანტიკური Pylae, ტაბულა პეუტინგერიანას Bylae. აქაა სწორედ აღმოჩენილი რომაული კასტელუმის ნაშთები, რომელიც ერთადერთია სატალასა და ტრაპიზონს შორის არსებულ გზაზე. ეს კარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო და ცნობილია აგრეთვე როგორც ბაღდადის, აბრეშუმის და საქარავნო გზის სახელწოდებით (Mitford, 2018: 370). ადგილობრივთა გადმოცემით აქ დღემდე გადის ყველაზე მოკლე გზა ტრაპიზონის მიმართულებით. აქედან კოლატის მთების ფერდობებით გზა გადადის მერიემ ანას ხეობაში, შემდეგ კი დეღირმენდერეს ხეობით ტრაპიზონისაკენ მიემართება. აქედან ტრაპიზონამდე მანძილი დაახლოებით 140 კმ-ია და ამ გზას ზაფხულის პერიოდში დღემდე იყენებენ.

შიდა ქალდიისკენ მიმავალი ან გამავალი გზები თავს მაინც გუმუშხანეში, უფრო სწორად მის ძველ დასახლებაში, სულეიმანიაში იყრიდნენ, სადაც რეგიონის ყველაზე ცნობილი საფორტიფიკაციო ნაგებობა - ჯანჯას (ჭანიკას) ციხეა. ის გუმუშხანეს ჩრდილო-დასავლეთით 2 კმ დაშორებით, აგებულია მდ. ხარშიტის სამხრეთ ნაპირზე, სანაპიროდან დაახლოებით 400 მ სიმაღლეზე აზიდულ წაგრძელებულ კლდოვან ბორცვზე. ციხე გუმიშხანეს რეგიონის უმნიშვნელოვანესი საფორტიფიკაციო და ეკონომიკური ცენტრი იყო. იგი უშუალოდ აკონტროლებდა ძველ გუმუშხანესაკენ და აქედან სხვადასხვა მიმართულებით გამავალ გზებს.

ხარშიტის ხეობის ქვემო წელზე, ცენტრალურ გზიდან, რომელიც გუმიშხანეს შავ ზღვასთან აკავშირებდა, 13 კმ-ში მდებარეობს ბოდრამას (პეტრას) ციხე. ის თანამედროვე სოფელ ორმანქაიას თავში, ხეობისაკენ წინ წამოზიდული კონცხის

წვერზეა დაშენებული, მდ. ხარშიტის მარჯვენა სანაპიროზე. ეს საფორტიფიკაციო ნაგებობა კარგად აკონტროლებს გუმიშხანე-ტირებულოს გზას ზღვისპირეთამდე და ხეობაზე გამავალ გზებს გუმიშხანისაკენ. ციხე მთლიანად ამ წოწოლა კლდის თავზეა მორგებული.

გუმიშხანისკენ მიმავალ გზაზე, მდ. ხარშიტის მარცხენა სანაპიროზე, სოფ. დოქუზ კონაქის (ძვ. ზანდანი) თავზე, 5 კმ-ში არის შაბან-კალესი. ციხე, უფრო ზუსტად ციხე-კოშკი, სოფლის თავში, ხეობისაკენ წინ წამოზიდულ კლდოვან, პირამიდისებური ფორმის ბორცვზეა დაშენებული. აქედან შესანიშნავად მოსჩანს ხეობა, ოთხივე მხრივ კარგად მოზრდილ მანძილზე. ძეგლი თითქმის მთლიანადაა დანგრეული. მხოლოდ აქაიქ შეინიშნება საძირკვლის ნაშთები. როგორც ჩანს, ეს ციხე-კოშკი საგუშაგო-სასიგნალო დანიშნულების უნდა ყოფილიყო. ვფიქრობთ, იგი ხეობის როგორც ზედა, ისე ქვედა ზონაში არსებულ საფორტიფიკაციო ნაგებობებთან იყო დაკავშირებული და თავისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე შუალედურ რგოლს წარმოადგენდა.

მსგავსი დანიშნულება უნდა ჰქონდა ამავე ხეობაში, დოღან-კენტის აყოლებაზე, დერე-გოზუს ხეობაში (ხარშიტის მარცხენა შენაკადი) გზატკეცილიდან 8 კმ-ში, ხოლო საკუთრივ სოფ. დერე-გოზუდან 2 კმ-ში, სოფ. დანდი-ქოის თავზე მდებარე ციხე-კოშკს, რომელსაც მეორენაირად სუტაშის ციხესაც უწოდებენ. ეს მცირე მოცულობის ციხეც საგულდაგულოდ შერჩეულ ადგილასაა აგებული. იგი ძირითადი ხეობისაგან შიგნითაა შეწეული, მაგრამ თავისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე ასევე უკავშირდებოდა სხვა ციხეებს და საგუშაგო-სასიგნალო დანიშნულება უნდა ჰქონოდა. სამწუხაროდ, აქაც მხოლოდ საძირკვლის ნაშთებია შემორჩენილი.

ამდენად, როგორც ვხედავთ, ცენტრალური ჭანეთისკენ შავიზღვისპირეთიდან გზების ორი მთავარი კვანძი მიემართებოდა, ერთი,

ტრაპიზონიდან დეღირმენდერეს ხეობით, და მეორე, ტირებოლუდან (ძველი ტრიპოლისი) ხარშიტის ხეობით. ეს გზები თავს იყრიდა თორულთან, საიდანაც ერთი გზა მიემართებოდა სამხრეთ–აღმოსავლეთით იქისუს გავლით, გუმუშჰანესკენ, ხოლო მეორე, სამხრეთით, შირანის, ალანსას, კელკიტისა და სადაკის გავლით ერზიჯანისაკენ. ცხადია, ამ გზებზე მოსახერხებელ გადაადგილებასა და უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა შესაბამისი საგზაო და თავდაცვითი ინფრასტრუქტურა (ქვის თაღოვანი ხიდები, ქარვასლები, იტერარიუმები, და ა.შ), რომელთა ნაწილმა დღემდეც მოაღწია. რაც შეეხება უშუალოდ გზების უსაფრთხოების საკითხს, ამ მხრივ აღსანიშნავია საფორტიფიკაციო ნაგებობათა მთელი სისტემა, რომლებიც საიმედოდ აკონტროლებდნენ მათ.

საზღვაო გზები ძირითადად სანაპირო ზოლს მიუყვებოდა. ხმელთაშუაზღვისპირეთიდან შავი ზღვის ცენტრებისკენ მომავალი ტვირთები ცხადია დარდანელისა და ბოსფორის სრუტეების გავლით მიემართებოდა კონკრეტული ნავსადგურებისკენ. ოლბიის, ხერსონესის, ან პანტიკაპეონის შემთხვევაში, საზღვაო მარშრუტი უშუალოდ პირდაპირი გზით მიემართებოდა პუნქტებისაკენ. სამხრეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირა ცენტრებისკენ კი, სანაპირო გზის გავლით. რომის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გავლენის გაფართოების პარალელურად დაწინაურდა სხვადასხვა საწარმოო ცენტრები, რომლებიც ხშირად "ოპერატიულ ცენტრებადაც" მოიხსენიება (stative; sedes belli) (Livy 31.22.6; Tac. Ann. 14.33. 93; App. Ill. 4,22; BCiv. 4.13.106). თავდაპირველად, ჰერაკლეა და სინოპე ტვირთულობდა ამ როლს, თუმცა, მოგვიანებით, ტრაპიზონიც დაწინაურდა. სწორედ ტრაპიზონზე მოდიოდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისა და მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რომაული ციხე-სიმაგრეების (ათენა, რიზე, ზანაიერი, აფსაროსი, ფაზისი,

სებასტოპოლისი, სათალა, მელიტენე, სამოსატა და სხვა მცირე ზომის სიმაგრეები) მომარაგების პრობლემის გადაჭრა. ტრაპიზონიდან აღმოსავლეთით მიემართებოდა როგორც საზღვაო (ძირითადად სანაპიროს სიახლოვეს), ისე სახმელეთო გზები (ასევე სანაპიროს სიახლოვეს და სამხრეთით).

თავი III. რომაული არმიის მომარაგების სისტემა
და ლოჯისტიკა

§1. რომაული არმიის მომარაგების სისტემა ხმელთაშუაზღვისპირეთსა და შავი ზღვის რეგიონში

რომაელები არ გახლდნენ ლოჯისტიკის სისტემის ფუძემდებლები, თუმცა მათი ზეობის პერიოდში ამ მიმართულებით საქმიანობაში უდიდეს პროგრესს მიაღწია იმპერიამ (Badian, Ernst, 1972: 54-60; Brown, Kenneth, 1987: 137-139; Carroll, 2005: 61-63) პუნიკური ომებიდან მიღებულმა გამოცდილებამ და რესპუბლიკის მმართველობის შემდგომ გატარებულმა სამხედრო რეფორმებმა განაპირობა ამ მიმართულების სწრაფი განვითარება. ვინაიდან, არმია იყო ყველაზე დიდი ორგანიზაცია იმპერიაში, ცხადია, მის ფუნქციონირებას მნიშვნელოვანი ადამიანური და მატერიალური რესურსი სჭირდებოდა.

რომაულ არმიას, თავისი მნიშვნელოვანი ამოცანების სხვადასხვა მიმართულებებით საქმიანობის განსახორციელებლად უნდა გამოენახა დრო და პერსონალი სტაბილური ლოჯისტიკური სისტემის დასანერგად, რადგანაც არმიის წარმატება დიდად იყო დამოკიდებული მარაგების უწყვეტ მიწოდებაზე. ჯარისკაცების ფართო სწავლებამ ხელი შეუწყო მრავალი სპეციალიზებული პროფესიის განვითარებას, რომლებიც ერთი შეხედვით არ იყო დაკავშირებული სამხედრო საქმიანობასთან (Chandler, 1981: 47-49; Curtis, 1914: 275-279; Erdkamp: 1995: 168-191)

რომის იმპერიული ექსპანსიის ლოჯისტიკური სირთულეები, როგორც წესი, პირდაპირპროპორციულად იზრდებოდა ხმელთაშუა ზღვიდან

კონკრეტული ლოკაციის დაშორების (Labisch,1975: 169; 182; Bérard ,1984: 303) შესაბამისად. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დიდ მდინარეებზე, რაინსა და დუნაიზე ბატონობასაც, არა მხოლოდ „დიდი სტრატეგიის“ თვალსაზრისით, არამედ კომუნიკაციისთვისაც (Chandler, 1981: 47-49; Curtis, 1914: 275-279; Erdkamp: 1995: 168-191). ლეგიონერების ბანაკები და ციხესიმაგრეები, ცხადია, რაც შეიძლება თვითკმარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ გარნიზონები ვერ იარსებებდნენ ერთგვარ „ბრწყინვალე იზოლაციაში“ და ძლიერად იყვნენ დაკავშირებული ერთმანეთთან, რათა შესაბამის ლოჯისტიკურ სამსახურებს უზრუნველეყოთ ისინი სტაბილური მომარაგებით.

დამატებითი პრევენციული ღონისძიება ძირითადი მარაგების სტაბილური ნაკადის უზრუნველსაყოფად იყო ე.წ. ჰორეუმის აშენება (საწყობები, ძირითადად მარცვლეულისა შესანახავად გამოიყენებოდა), სადაც საკვების შენახვა შეიძლებოდა დიდი ხნის განმავლობაში (French, D.H. 1988; Hanson, 1978: 293-308; Johnson, 1981; Walker, 1974: 16-19). პოლიბიუსი აღნიშნავს, რომ ბანაკის აშენებისას თვალისწინებდნენ რომ ბეღელი პრეტორიუმთან ახლოს ყოფილიყო (Hist. 6.27.3–5). ტაციტუსისი ცნობით ბრიტანულ ბანაკებს ჰქონდათ საკმარისი საკვები შენახული, რომელიც ერთი წლის განმავლობაში უნდა ჰყოფნოდათ (Agricola 22.2).

შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკური ჯარებისგან განსხვავებით, საიმპერატორო არმია მუდმივი გარნიზონის განთავსებისათვის ადგილს არსებულ დასახლებებთან სიახლოვეს არჩევდა, როგორც ლოჯისტიკური, ასევე სტრატეგიული მიზეზების გამო (French, D.H. 1988; Hanson, 1978: 293-308; Johnson, 1981; Walker, 1974: 16-19). დასახლებასთან სიახლოვეს პირველ რიგში სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობა განაპირობებდა. სამშენებლო რესურსებზე ხელმისაწვდომობაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი გახლდათ. გარდა

ამისა, ადგილობრივ მოსახლეობას შეეძლო ფინანსური სარგებლის მიღება გარნიზონის საჭირო ნედლეულით მომარაგების სანაცვლოდ (Heichelheim, 1944: 114; Rougé, 1975:182). სტრატეგიული თვალსაზრისით, ადგილობრივებთან სიახლოვე საკომუნიკაციო თვალსაზრისითაც მომგებიანი იყო რომაული არმიისათვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ რაც უფრო დაწინაურებული იყო ადგილობრივი მოსახლეობა, ანუ გააჩნდათ გარკვეული ადმინისტრაცია და ურბანული ცენტრები, მით უფრო ადვილად შეიძლებოდა მათთან მოლაპარაკება - თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოწინავე ხალხებს ასევე გააჩნდათ საკუთარი შეიარაღება და არმია (French, D.H. 1988; Hanson, 1978: 293-308; Johnson, 1981; Walker, 1974: 16-19).

თავდაპირველად, პირები, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ ლეგიონებისათვის საჭირო პროდუქციით უზრუნველყოფაზე, როგორც წესი, ინიშნებოდნენ ე.წ. „ფრუმენტარიებად“ (Van Berchem, 1985: 47–87; Kissel, 1995: 72–74; cf. Polyb. 5.58.8) პირველ და მეორე საუკუნეებში ისინი აყავდათ უშუალოდ ლეგიონერებიდან. მათი ამოცანები მრავალფეროვანი იყო, მათ შორის არმიის საკვებით მომარაგებაც, თუმცა, ისტორიულ წყაროებში ისინი ძირითადად ცნობილნი არიან როგორც ინფორმატორები და არმიის დაზვერვის სპეციალისტები, რაც მათი მუშაობის მეორეხარისხოვანი მხარეა, თუმცა საკმარისად საინტერესო, მათი ძირითადი მოვალეობების შესახებ ინფორმაციის დაფარვისათვის. ბოლო დროს გაჩნდა ვარაუდები, რომ მათი ალტერნატიული ამოცანები მოიცავდა პროვინციებსა და იმპერიის ცენტრს შორის მიმოწერების მიწოდებას და არა უშუალოდ დაზვერვით მოვალეობებს. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ სურსათის მიწოდების სპეციალისტებს, ცხადია, ექნებოდათ უნარები ფარული ოპერაციებისთვისაც (Kissel, 1995: 72–74; cf. Polyb. 5.58.8)

ამავდროულად, დაზვერვის ქვედანაყოფებიდან მიღებული ინფორმაცია სასარგებლო იყო ლოჯისტიკური მიზნებისთვისაც. ამდენად, როგორც ჩანს, ლოჯისტიკური მოხელეები ხშირად დამატებით ფუნქიებსაც ითავსებდნენ.

კომპლექსური სასურსათო ლოჯისტიკა მოითხოვდა შესაბამის მოხელეებს ოპერაციების კოორდინაციისთვის. მთელ ამ პროცესში არმიის ქვედანაყოფების მეთაურები და მათი მოადგილეები *(primipilarii; centurions; frumentarii; beneficiarii)* მონაწილეობდნენ. მათი ამოცანა იყო არმიის მომარაგების საქმიანობაში ჩართულ პირთა კოორდინაცია და ადგილობრივი მიწოდების ზედამხედველობა,

მეტად საინტერესოა ე.წ. „lixae"-ს როლი, რომლებიც ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ლეგიონების მომარაგებაში, მაგრამ მათი სამუშაოს ზუსტი მოცემულობა ცოტა გაურკვეველია (Rickman, 1971: 235–6; Richmond, 1982: 33; Isaac, 1992: 102). თითოეულ ლეგიონს მიჰყვებოდა უზარმაზარი ტვირთის მატარებელი, რომელიც ძირითადად შედგებოდა მშვიდობიანი მოსახლეობისგან, როგორც მონებისგან (კერძო თუ სახელმწიფო) და თავისუფალი მოქალაქეებისგან. ამ უკანასკნელში შედიოდნენ როგორც ჯარისკაცების მსახურები, ასევე ე.წ. „ლიქსები" (lixae). ლეგიონის მსახურები პასუხისმგებელნი იყვნენ საკვების მიწოდებასა და მომზადებაზე და აღჭურვილობის ტარებაზე. ტერმინი „lixae" შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო ტვირთის მატარებლის თანამშრომლებისთვის, მაგრამ ისინი ასევე შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ხელოსნები, ინჟინრები და ან მედიკოსებიც კი. საინტერესოა, რომ „lixae" მოხსენიებულია ტაციტუსის მიერ აშკარად დამამცირებელ კონტექსტში, სადაც ისინი აღწერილნი არიან, როგორც „არაპატრიოტი კაპიტალისტები"(Van Berchem, 1985: 47–87; French, D.H. 1988; Hanson, 1978: 293-308; Johnson, 1981; Walker, 1974: 16-19).

რესპუბლიკური პერიოდის ჯარები მარაგდებოდა მხოლოდ საბრძოლო კამპანიის დროს - თუმცა, რეალურად ბრძოლები იმპერიის სხვადასხვა პროვინციებში მუდმივად მიმდინარეობდა. ყოველი ომის დასაწყისში სენატი ირჩევდა მეთაურს (კონსულს, პრეტორს), რომელიც უზრუნველყოფდა როგორც არმიის მომარაგების, ისე მათი ანაზღაურების საკითხებს. ამ მხრივ საინტერესოა ტაციტუსის ცნობა:

„ერთადერთი, რასაც ჩვენ ვიყენებთ ჩვენი, როგორც გამარჯვებულების უფლებებიდან, მშვიდობის შესანარჩუნებლად ხარკის დაკისრება გახლავთ. ცხადია არმიის გარეშე შეუძლებელია მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება, ასევე, არმიის შენარჩუნებაც, ანაზღაურებისა *(stipendium)* და გადასახადების *(tributum)* გადაუხდელობის გარეშე შეუძლებელია.“

რაც მთავარია, lixae-ს მაგალითი გვიჩვენებს სამოქალაქო მონაწილეობის გასაოცარ მასშტაბებს არმიის ლოჯისტიკაში. ადრეული პრინციპიის დროს ტარდებოდა აუქციონები, რათა ვაჭრებს შეეძინათ მარცვლეულის უფლების შეძენა პროვინციებიდან რომში ან სხვა პროვინციებში. ზოგიერთი მომლაპარაკებელი სპეციალიზირებული იყო მარცვლეულის ვაჭრობაში და ძირითადი პროდუქტები ხელმისაწვდომი იყო ადგილობრივ ბაზრებზე. ვაჭრებს შეეძლოთ არმიის იმედი ჰქონოდათ მფარველობისთვის არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათ გამო მონაწილეობდნენ მიწოდების ჯაჭვში, არამედ იმიტომაც, რომ მთავარი სავაჭრო გზები ასევე იყო მტრის (პოტენციური) მთავარი შემოჭრის სამიზნეც, რომელსაც არმია იცავდა (Hopkins, 1980; Erdkamp, 1995: 168-191; Dobson, B. 1986: 10-25)

ავგუსტუსის მიერ რომის სახელმწიფოს აღდგენის შემდეგ, როგორც რომაული არმია, ისე ლოჯისტიკური საქმიანობაც ფორმირდა. მანამდე არმიის

მასშტაბები გაზრდილი იყო კონკრეტული შეტევითი სამხედრო ოპერაციებისთვის, მაგრამ ახლა რომაული არმია იქცა უკეთ ორგანიზებულ მუდმივ სამხედრო ორგანიზაციად (Houston, 1988: 553, 561–562; Rougé, 1975: 178–184).

მართლაც, მშვიდობის დროს, რომის საიმპერატორო არმია ძირითადად პროვინციული შენაერთებისგან შედგებოდა. ყოველი რეგიონული მმართველი, პასუხისმგებელი იყო მისი ზედამხედველობის არეალში მყოფი გარნიზონის უზრუნველყოფაზე. დიონ კასიუსი აღნიშნავს რომ კვინქტილიუს ვარუსი (Quinctilius Varus), ქვემო გერმანიის უბედური გუბერნატორი ჩვ.წ. 9 წელს პასუხისმგებელი იყო მომარაგების ხაზის მოძრაობის უსაფრთხოების დაცვაზე თავის პროვინციაში. გუბერნატორებმა ასევე იზრუნეს მომარაგების ობიექტებზე: ბრიტანეთში აღმოჩენილი მესამე საუკუნის ერთ-ერთ წარწერაზე აღნიშნულია, რომ: ადგილობრივი მმართველის მეთაურობით ჯარისკაცებმა ააგეს ბეღელი *(horreum)* (Ziolkowski, 1993: 90; Horsmann, 1991: 102–107; 187–197).

მიუხედავად იმისა, რომ უამრავი მტკიცებულება აჩვენებს, იმას რომ რომაელები გარნიზონების საკვებით და სხვა საჭირო პროდუქციით მომარაგებას შორი დისტანციებიდან ახდენდნენ, პროვინციული გარნიზონების მოთხოვნების უზრუნველსაყოფად მაინც ხდებოდა ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური ათვისება. იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში დიდი რაოდენობით მარცვლეულის, განსაკუთრებით კი ხორბლის ტრანსპორტირება ხდებოდა ხორბლისმწარმოებელი პროვინციებიდან (ეგვიპტე და აფრიკა). არსებობს სხვადასხვა ცნობები, მოხსენებები, თუ ანგარიშები, იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა იმპერიის სხვადასხვა პროვინციაში საჭირო ნედლეულის მომარაგების პროცესი (Hopkins, 1980; Erdkamp, 1995: 168-191; Dobson, B. 1986: 10-25).

ჩვ. წ. I საუკუნის შუა ხანებში სამხრეთ ესპანეთში მდებარე ბაეტიკას ადგილობრივი მმართველი პასუხისმგებელი იყო მავრიტანიასა და გიბრალტარის სრუტის არეალში განლაგებული რომაული სამხედროებისთვის მარცვლეულის გაგზავნაზე (Ziolkowski, 1993: 90; Horsmann, 1991: 102–107; 187–197). *Cohors I Hispanorum Veterana*-ს ერთ-ერთი სამხედრო ანგარიშის *(pridianum)* მიხედვით ჩანს, რომ ჯარისკაცები გაგზავნილნი იყვნენ გალიაში მარცვლეულის შეგროვების მიზნით. საინტერესოა ისიც, რომ ჩრდილოეთ ბრიტანეთის, სამხრეთ შილდის რომაული პერიოდის ციხე-სიმაგრის ბეღლის ნაგებობის შესწავლისას მიკვლეულ იქნა კარბონიზებული ხორბლის მარცვლები, რომელთა ლაბორატორიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ის ნიდერლანდების ტერიტორიიდან იყო ტრანსპორტირებული (Middleton, 1983: 75–81).

იმპერიულ პერიოდში ლოჯისტიკური საქმიანობა იმდენად პროგრესირდა, რომ, უშუალოდ საბრძოლო რეგიონებშიც კი იოლად ხერხდებოდა საჭირო ნედლეულის მიწოდება. ამასთანავე, შეტევითი ოპერაციებისა და აჯანყებების ჩახშობების პარალელურად, რომაელებმა შეინარჩუნეს რესპუბლიკური ლოჯისტიკური სისტემის ზოგიერთი ძირითადი ელემენტი. იმპერიული რომის სახელმწიფო რეგულარულად ავალდებულებდა ერთ ან მეტ პროვინციას კონკრეტული ექსპედიციის ან კამპანიისთვის საჭირო პროდუქციის მომარაგებას (Kissel, 1995: 38–53). აქ, იმასაც ჰქონდა მნიშვნელობა, თუ რომელი მიწოდების ცენტრი უფრო ახლოს იყო კონკრეტულ საბრძოლო რეგიონთან. ასე მაგალითად, გალია, ესპანეთი და უშუალოდ იტალიის რეგიონი უზრუნველყოფდა გერმანიკუსის კამპანიას ჩერუსკის წინააღმდეგ საჭირო მარაგებით ჩვ.წ. 16 წელს (Tac. Ann. 1.71; for the logistical importance of Gaul, see Herz (1992) 42–93).

საინტერესოა იოსებ ფლავიუსის ცნობებიც რომაული არმიის იერუსალიმის ალყაში (ჩვ.წ. 70 წ.) ყოფნის შესახებ. მისი ცნობით, ალყის

პერიოდში რომაული შენაერთების მომარაგება სირიიდან და მიმდებარე პროვინციებიდან ხდებოდა. გარდა ამისა, კილიკიიდან და კომაგენიდან, რომლებიც სირიის პროვინციაში შედიოდა ომის დროს, და ასევე, კაპადოკიიდან, გალატიიდან და პამფილიიდან (Crawford, M.H., 1975: 79-83; Burton, G.P., 1993; Adams, E.P., 1995: 119-124)

ისევე, როგორც რესპუბლიკის პერიოდში, იმპერიული მმართველობის დროსაც, არმიის მომარაგება საზღვაო გზებითაც ხორციელდებოდა. ველეიუს პეტერკულუსის ანგარიშის მიხედვით, ჩვ.წ. 5 წელს ტიბერიუსის გერმანული კამპანიისას, რომაული არმიის ფლოტი ელბაზე გადავიდა, რასაც საკმაოდ დიდი მსხვერპლი მოჰყვა. აქ, ელბაზე ყოფნისას სწორედ საზღვაო გზით ხდებოდა ფლოტის მომარაგება. მარაგები ასევე გადაიტანეს სახმელეთო გზებით. დიონ კასიუსის ცნობით რომაელები იყენებდნენ ერთგვარ მომარაგების მატარებლებს *(sitopompia),* რომლებიც პროდუქციის სახმელეთო ტრანსპორტირებისას გამოიყენებოდა (Tac. Ann. 13.39; cf. Plut. Luc. 32).

§2. მომარაგების საქმიანობაში ჩართული კერძო კომპანიები

კომერციული საქმიანობის ისტორია რომის იმპერიაში რთული და საინტერესოა, განსაკუთრებით კი მისი არსებითი ევოლუცია სამეფოდან იმპერიის პერიოდამდე. რომის სახელმწიფოს საკონტრაქტო სისტემას, ყველაზე ადრეულ წყაროს მიხედვით, საფუძველი ძვ.წ. 509 წელს ჩაეყარა. რესპუბლიკის დროს სახელმწიფო შესაძლებლობები ინფრასტრუქტურის მშენებლობის, სახელმწიფო აქტივების მართვისა და შემოსავლების მოზიდვისთვის შეზღუდული იყო. რესურსების ძირითადი ნაწილი კერძო საკუთრებაში გახლდათ. უშუალოდ, კონკრეტულ საკონტრაქტო პირობებზე ყველაზე ადრეული წყარო გვამცნობს, მეორე პუნიკური ომის მიმდინარეობისას. კონტრაქტორები, რომელთაც ესპანეთის ტერიტორიაზე მყოფი რომის არმიის მომარაგება ევალებოდათ, გაასამართლეს კონტრაქტის პირობების დარღვევით შესრულებისა და კორუფციის ბრალდებით (Livy: Ab urbe condita; Fleckner, 2010; Malmendier, 2002).

კომერციული კონტრაქტები, საჯარო აუქციონის წესის (censoria locatio) საფუძველზე, მეწტილად, ხუთი წლის ვადით *(lustrum)* გაიცემოდა კონკრეტულ კომპანიებზე, რომელსაც უშუალოდ სენატი ამტკიცებდა. იყო გამონაკლისებიც, ქუჩების მოვლა, სამოქალაქო, კომერციულ და რელიგიურ ნაგებობათა მშენებლობებზე პასუხისმგებლობა ე.წ. *aediles*-ს ეკისრებოდათ (Strong, 1968). ამასთანავე, პროვინციებში არსებული გზებისა და საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობას სამხედრო მოსამსახურეები უზრუნველყოფდნენ (Elliott, 2017, ch. 4–5; Badian, Ernst, 1972: 54-60; Brown, Kenneth, 1987: 137-139; Carroll, 2005: 61-63).

ჩვეულებრივ ვითარებაში, როდესაც სახელმწიფოს არ ემუქრებოდა რაიმე ტიპის ეკონომიკური, ან სამხედრო საფრთხეები, იმპერია ძალზე იშვიათად თანხმდებოდა თავისთვის წამგებიანი ხელშეკრულებების გაფორმებას. პროცესი ესე მიმდინარეობდა: როცა სენატი გადაწყვეტდა არმიის მომარაგების, ან სხვა რაიმე საჭიროებებისათვის ფინანსური ბენეფიტების გამოყოფას, შემდგომ, კონკრეტული თანამდებობის პირი, ცენზორი *(censores),* მაგისტრატი, საჯაროდ აცხადებდა მოთხოვნებს და მისი შესრულების ვადებს. გარკვეული დროის შემდგომ, ცენზორი განიხილავდა შემოსულ კონტრაქტორთა წინადადებებს და, ჩვეულებისამებრ, მათგან არჩევდა ყველაზე ბიუჯეტურ შეთავაზებას. შემდგომ, სენატთან შეთანხმების საფუძველზე ფორმდებოდა ხელშეკრულება (Erdkamp,1995; Dufour 2012: 53-9).

უშუალოდ არმიის მომარაგებას რაც შეეხება, რომის იმპერია ამისათვის ძალზე დიდ ადმინისტრაციულ და სახელმწიფო რესურსს იყენებდა. გარდა ამისა, საერთო მომარაგების სისტემაში აქტიურად იყვნენ ჩართული კერძო კონტრაქტორებიც, ე.წ. *publicani* ან *socii* (Frank (1959) 149; Badian (1972) 17; 158–60; Aubert (1994) 325–330, 342–6). ე.წ. კონტრაქტორების შესახებ უამრავი ეპიგრაფიკული მასალა და სამხედრო ანგარიშების ამსახველი დოკუმენტები გვაწვდის ცნობებს. გარდა იმისა, რომ ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულნი იმპერიის საგადასახადო საქმიანობის ფუნქციონირებაში, პარალელურად, იღებდნენ არმიის მომარაგების უზრუნველყოფის პასუხისმგებლობასაც. ცხადია, არმიისათვის პროდუქციით უწყვეტი მომარაგება ძალზე მნიშვნელოვანი ამოცანა გახლდათ უაღრესად მილიტარისტული იმპერიისათვის, რომელიც რეგულარულად აწარმოებდა სხვადასხვა სამხედრო მოქმედებებს (Harris 2010: 566-8). იმის გათვალისწინებით, რომ რომის ადმინისტრაციული რესურსი სათანადოდ ვერ უზრუნველყოფდა სხვადასხვა,

შორ პროვინციებში, არმიის ლოჯისტიკური საკითხების გადაწყვეტას, ამდენად საჭირო გახდა კერძო მეწარმეთა ჩართვა მთელს ამ სისტემაში. შესაბამისად, კონტრაქტორები გარკვეული ფინანსური სარგებლის სანაცვლოდ იმპერიას საკუთარ სერვისს სთავაზობდნენ (Crawford, M.H., 1975: 79-83; Burton, G.P., 1993; Adams, E.P., 1995: 119-124).

სხვადასხვა წყაროების ანალიზითა და ფაქტობრივ მასალებზე დაკვირვებით, კარგად ჩანს, რომ კონტრაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვან კაპიტალს ფლობდნენ, მანამდეც, ვიდრე ამ საქმიანობას ხელს მიჰყოფდნენ, განსაკუთრებული პრივილეგიებითა და უფლებებით სარგებლობდნენ იმპერიაში. ამასთანავე, ახლო კავშირები ჰქონდათ როგორც აღმსარულებელ ორგანოებთან, ასევე ცალკეული პროვინციის მეთაურებთან. ფლობდნენ უამრავ დასაქმებულ თანამშრომლებს, მონებს, გემებს, არაერთ მნიშვნელოვან სავაჭრო-ეკონომიკურ შენობა-ნაგებობებს, საკუთარი დაცვის თანამშრომლებს და სხვ. (Nicolet, 1994: 636; Aubert, 1994: 327–328). მათი კიდევ ერთი საქმიანობა გადასახადების აკრეფაც გახლდათ, საიდანაც, ცხადია, სარგებელს პოულობდნენ. მთელს ამ პროცესში ისინი უამრავ კონტაქტებსა და პარტნიორებს იძენდნენ, რაც კიდევ უფრო მეტად უწყობდა ხელს მათი სხვადასხვა კომერციული საქმიანობის წარმატებით განხორციელებას (Ziolkowski, 1993: 90; Horsmann, 1991: 102–107; 187–197).

წყაროებში განსაკუთრებით კარგად ჩანს სახელმწიფოსა და უშუალოდ კონტრაქტორების დამოკიდებულება. ერთ-ერთი წყაროს (Livy 23.48.5-49.4) სახელმწიფოს კონკრეტული 19 კონტრაქტორული კომპანიის წარმომადგენლებისათვის ხელშეკრულების მსვლელობისას უნდა გაეწია გარკვეული შეღავათი, რომელიც სამხედრო სამსახურისგან გათავისუფლებას და მათი ტვირთის დაზღვევას ითვალისწინებდა (ამავე წყაროს ცნობით,

მოგვიანებით, რამდენიმე ამ კონტრაქტორთაგანმა მოაწყო სადაზღვევო თაღლითობის სქემა, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ გამოაშკარავდა (Livy 25.3.8–4.11). ამ ცნობაში განსაკუთრებით საყურადღებოა დაზღვევის ფაქტორი, რომელსაც „პუბლიკანები“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და სავსებით სამართლიანადაც (Hopkins, 1980; Erdkamp, 1995: 168-191; Dobson, B. 1986: 10-25). ანტიკურ პერიოდში ზღვაზე მოგზაურობა დიდ საფრთხეებთან გახლდათ დაკავშირებული, როგორიცაა რთული კლიმატური პირობები, მეკობრეობა, და ა.შ. (უფრო ვრცლად: Montiglio, 2006, Nesselrath, 2005). შესაბამისად, საზღვაო გადაზიდვები გარკვეულ რეალურ რისკებს მოიცავდა. მიუხედავად იმისა, რომ რომის იმპერია იშვიათად მიდოდა კომპრომისზე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში დათანხმდა კომპანიათა პირობებს.

კერძო კომპანიათა კომერციული საქმიანობები მრავალმხრივი იყო, თუმცა, ამ შემთხვევაში, ჩვენთვის უფრო საინტერესო უშუალოდ რომაული არმიის მომარაგების პროცესი და მისი განხორციელების გზები გახლავთ. მომარაგების დიდი წილი საზღვაო გადაზიდვებზე მოდიოდა[4]. ვინაიდან, იმპერიის სხვადასხვა პროვინცია სხვადასხვა პროდუქციას აწარმოებდა (მარცვლეული, ხორცი, თევზი, ბოსტნეული, ზეთი, ღვინო, მარილი და ა.შ), შესაბამისად, საჭირო გახლდათ მთელი ამ ნედლეულის კონკრეტული დანიშნულების პუნქტებამდე მიწოდება (Polyb. 3.97.6; Livy 38.41.8–10; Rougé, 1975: 131; Casson, 1989: 76). როგორც რესპუბლიკის, ისე იმპერიის პერიოდშიც, მთელი ეს საზღვაო მარშრუტები მოიცავდა არა მარტო ხმელთაშუა და შავი

[4] Polyb. 8.34.3; Livy 26.39.19; 27.1–3; 32.14.7; 37.14.3; 41.1.3; 42.48.10; 44.7.10, 13.11, 29.3; Caes. BCiv. 3.47; [Caes.] BAlex. 43; Onas. Strat. 6.14; Plut. Pomp. 11.2; Jos. BJ 3.416–7; Tac. Ann. 13.53; Dio Cass. 52.25.7; App. Hann. 6,34; Pun. 6,37; 14,99; BCiv. 2.8,49,54; 4.11,86; 5.11,98; CIL 8.14854 = ILS 2764 [= Dobson (1978) no. 205] (Taccabor, 3rd c.): C. Sulgio L. F. Pap Caeciliano . . . praeposito reliquationi classis praetoriae Misenatum piae vindicis et Thensaurus Dominicis et bastagis copiarum devehendar(um); Kissel (1995) 282–289.

ზღვის აუზებს, არამედ ატლანტის ოკეანის აღმოსავლეთ სანაპიროებსაც. გარდა ზღვებისა, აღნიშნულ ზღვებთან უშუალოდ შემავალ მდინარეებსაც (რაინი, დუნაი, ნილოსი და ა.შ) მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა უშუალოდ შიდა მიწოდების თვალსაზრისით. საზღვაო მიწოდებას ცხადია უდიდესი უპირატესობა გააჩნდა, ამ შემთხვევაში, იმპერია იგებდა დროს, და რაც მთავარია, ეს ყველაფერი ბევრად ნაკლებ დანახარჯებთან იყო დაკავშირებული, ვიდრე სახმელეთო მარშრუტები (Hopkins (1982) 84, 86 (Table 2) estimates it at around 50 to 1).

მიუხედავად საზღვაო ტრანსპორტირების უპირატესობებისა, როგორც ზემოთ ვახსენეთ, მეორეს მხრივ, ის უამრავ რისკებთანაც იყო დაკავშირებული. ამ პერიოდის გემები, ფაქტობრივად, საკმაოდ დაუცველნი იყვნენ ქარიშხლების მიმართ (Livy 32.15.5–7). გარდა ამისა, ხშირი იყო კოორდინაციის პრობლემებიც მომმარაგებლებსა და ადგილობრივი პროვინციის წარმომადგენლებს შორის. ამის კარგი დასტურია რამდენიმე წყარო, რომელთა მიხედვითაც, ძვ.წ. 198 წელს ერთ-ერთი კომპანიის მმართველმა ფლამინიუსმა სკაუტები გაგზავნა, რადგან მათთვის მითითებულ დანიშნულების ადგილზე არავინ დახვდათ (Livy 32.15.5–7). ასევე, ძვ.წ. 169 წელს მაკედონიაში დაბანაკებული რომაული არმია ძალზე მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, ვინაიდან მათკენ მიმავალი გემები არასწორი პორტისკენ იქნა გაგზავნილი (Livy 44.7.10–12) და ა.შ.

უშუალოდ ნავსადგურებიდან კი სახმელეთო გზების გავლით ხდებოდა მიწოდება. ჩვეულებრივ, ქარავანი მიემართებოდა დანიშნულების ადგილამდე, რომელსაც, საშუალოდ, ათეულობით დღე სჭირდებოდა სხვადასხვა მანძილის გასავლელად. ამასთან ერთად, ხმელეთით მომარაგება თითქმის 40-50-ჯერ უფრო ძვირ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ვიდრე საზღვაო, ან სამდინარო (Hopkins, 1982: 86, Table 2; Sippel, 1987: 38; cf. Anderson, 1992: 15–16). მიუხედავად

ამისა, სახმელეთო გადაზიდვებს მაინც ჰქონდა თავისი უპირატესობები. პირველ რიგში, აქ, საზღვაო საქმიანობისგან განსხვავებით, ნაკლები საფრთხე იქმნებოდა. არსებობდა ზამთრის და ზაფხულის გზები, სადაც გადაადგილება წლის ნებისმიერ დროს გახლდათ შესაძლებელი. გარდა ამისა, სახმელეთო მომარაგება ნაკლებ დანაკარგებთან იყო დაკავშირებული. თუმცა, მას, სტრატეგიული უპირატესობაც გააჩნდა. ხშირად, საბრძოლო მოქმედებების დროს, მტერი საზღვაო მიწოდების გზებს კეტავდა, რაც მოითხოვდა ალტერნატიული მიწოდების გზებს (Van Berchem, 1985: 47–87; Kissel, 1995: 72–74; cf. Polyb. 5.58.8).

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა აპიანეს ცნობა, ძვ.წ. 65 წელს პომპეუსის მიერ მითრიდანტესტან გამართული ბრძოლის შესახებ:

> *[მითრიდატე], რომელიც შეწუხებული იყო მომარაგების სიმცირით, უხალისოდ უკან დაიხია და პომპეუსს მის ტერიტორიაზე შესვლის უფლება მისცა, იმ მოლოდინით, რომ იგი დანგრეულ რეგიონში მომარაგების გარეშე დიდხანს არ დაბანაკდებოდა. თუმცა, პომპეუსს მარაგების შევსება წინასწარ ჰქონდა დაგეგმილი* (App. Mith. 15,99.)

სახმელეთო მომარაგების პროცესს ხელს უწყობდა რომაელთა მიერ საგულდაგულოდ გამართული საგზაო ინფრასტრუქტურაც, რომელსაც იმპერია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა. სწორედ მოწესრიგებული გზები უზრუნველყოფდა, როგორც არმიის სწრაფ გადააგილებას, ისე მომარაგების დროულ მიწოდებასაც. ამ მიმართულებით უამრავი წყარო არსებობს, ასე მაგალითად: ერთ-ერთი პროვინციის კონსულმა სენატს გზის შეკეთება თხოვა, რადგან მომარაგების პროცესი შეფერხებით მიმდინარეობდა (Livy 44.9.10–11).

საინტერესოა ისიც, რომ არაერთი ეპიგრაფიკული მასალა ადასტურებს, რომ ვესპასიანეს დროს აიგო და შეკეთდა გზები სირიაში, კაპადოკიაში და მცირე აზიაში (Isaac, 1992: 34–6; Kissel, 1995: 22–28). სავარაუდოა, რომ ეს მასშტაბური მშენებლობები ვესპასიანეს ებრაული ომების პროცესში შექმნილ მომარაგების პრობლემებს უკავშირდება. გარდა ამისა, იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილი მუდმივ საომარ მოქმედებებში იყო ჩართული, რის გამოც აქ საგზაო ინფრასტრუქტურის მსხვილ ქსელებს მოუყარეს თავი (Labisch,1975: 169; 182; Bérard ,1984: 303).

რაც შეეხება უშუალოდ შავი ზღვის არეალში განლაგებულ რომაულ გარნიზონებს, მათი მომარაგება ხდებოდა როგორც საზღვაო, ისე სახმელეთო მარშრუტებით. რომის იმპერიის ადრეულ ეტაპზე, ძირითადად ჩვ.წ. I საუკუნის მეორე ნახევარში შავიზღვისპირა ფორტებში მდგომი გარნიზონების მომარაგება ხდებოდა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის საწარმოო ცენტრებიდან, რასაც არქეოლოგიური მასალებიც ადასტურებს. მოგვიანებით, ჩვ.წ. II საუკუნიდან, მას შემდეგ რაც, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის პროვინციებში იმპერიის საზღვრები განმტკიცდა, ამ დროიდან უკვე დაწინაურდა სამხრეთ შავიზღვისპირეთში არსებული საწარმოო ცენტრები (Chandler, 1981: 47-49; Curtis, 1914: 275-279; Erdkamp: 1995: 168-191). განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქალაქი სინოპე და ტრაპიზონი, რასაც მათი სტრატეგიული მდებარეობაც უწყობდა ხელს. გარდა მომარაგების საზღვაო ხაზისა, ძალიან დიდ როლს ასრულებდა სახმელეთო გზებიც, რომლებიც როგორც შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ, ისე, უშუალოდ პროვინციის აღმოსავლეთ საზღვრებში განლაგებული ციხე-სიმაგრეებისკენ (სათალა, მელიტენე, აფსაროსი, სებასტოპოლისი) მიემართებოდა, და პირიქით.

საზღვაო გზები ძირითადად სანაპირო ზოლს მიუყვებოდა.

ხმელთაშუაზღვისპირეთიდან შავი ზღვის ცენტრებისკენ მომავალი ტვირთები ცხადია დარდანელისა და ბოსფორის სრუტეების გავლით მიემართებოდა კონკრეტული ნავსადგურებისკენ. ოლბიის, ხერსონესის, ან პანტიკაპეონის შემთხვევაში, საზღვაო მარშრუტი უშუალოდ პირდაპირი გზით მიემართებოდა პუნქტებისაკენ. სამხრეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირა ცენტრებისკენ კი, სანაპირო გზის გავლით. რომის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გავლენის გაფართოების პარალელურად დაწინაურდა სხვადასხვა საწარმოო ცენტრები, რომლებიც ხშირად "ოპერატიულ ცენტრებადაც" მოიხსენიება (stative; sedes belli) (Livy 31.22.6; Tac. Ann. 14.33. 93; App. Ill. 4,22; BCiv. 4.13.106). თავდაპირველად, ჰერაკლეა და სინოპე ტვირთულობდა ამ როლს, თუმცა, მოგვიანებით, ტრაპიზონიც დაწინაურ და. სწორედ ტრაპიზონზე მოდიოდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისა და მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რომაული ციხე-სიმაგრეების (ათენა, რიზე, ზანაიერი, აფსაროსი, ფაზისი, სებასტოპოლისი, სათალა, მელიტენე, სამოსატა და სხვა მცირე ზომის სიმაგრეები) მომარაგების პრობლემის გადაჭრა. ტრაპიზონიდან აღმოსავლეთით მიემართებოდა როგორც საზღვაო (ძირითადად სანაპიროს სიახლოვეს), ისე სახმელეთო გზები (ასევე სანაპიროს სიახლოვეს და სამხრეთით).

ამდენად, როგორც წერილობითი წყაროებით, ისე ეპიგრაფიკული მასალებით, ირკვევა რომ, რომის არმიის მომარაგების სისტემაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ კერძო კომერციული კომპანიები. გარდა იმისა, რომ ისინი აქტიურად იყვნენ ჩართული იმპერიის საგადასახადო საქმიანობის სათანადო ფუნქციონირებაში, რომლის პარალელურადაც, იღებდნენ არმიის მომარაგების უზრუნველყოფის პასუხისმგებლობასაც. ცხადია, არმიისათვის პროდუქციით უწყვეტი მომარაგება ძალზე მნიშვნელოვანი ამოცანა გახლდათ უაღრესად მილიტარისტული იმპერიისათვის, რომელიც რეგულარულად აწარმოებდა

სხვადასხვა სამხედრო მოქმედებებს. იმის გათვალისწინებით, რომ რომის ადმინისტრაციული რესურსი სათანადოდ ვერ უზრუნველყოფდა სხვადასხვა, შორ პროვინციებში, არმიის ლოჯისტიკური საკითხების გადაწყვეტას, ამდენად საჭირო იყო კერძო კომპანიათა ჩართვა მთელს ამ სისტემაში.

თავი IV. რომაული გარნიზონების მატერიალური კულტურა (ტიპო-ქრონოლოგია და წარმომავლობა არსებული მასალების საფუძველზე

§1. არქეოლოგიური მასალის ანალიზი

რომაული არმიის მომარაგების საკითხების კვლევისათვის, ცხადია ძალზე მნიშვნელოვანია საკვლევ რეგიონში დღემდე მიკვლეული არქეოლოგიური მასალის ანალიზი. სამწუხაროდ, რიგ მიზეზთა გამო თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ვერ ხერხდება რომაული პერიოდის არქეოლოგიური არტეფაქტების დამუშავება. ამასთანავე, საკითხს ართულებს ისიც, რომ ტრაპიზონსა და მის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში არსებული რომაული ციხე-სიმაგრეები არქეოლოგიური თვალსაზრისით თითქმის შეუსწავლელია, ამდენად, ჩვენი კვლევა მეტწილად მაინც საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე აღმოჩენილ მასალებს ეყრდნობა.

რაც შეეხება უშუალოდ არქეოლოგიური მასალის კვლევას, მისი საჭიროება განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ ის, რომ თითოეული იდენტიფიცირებული არტეფაქტი, განსაკუთრებით კი დიაგნოსტიკური მასალა, საუკეთესო საშუალებაა იმის დასადგენად, თუ რომელი კონკრეტული ცენტრებიდან, თუ ოპერატიული ბაზებიდან შემოჰქონდათ პროდუქცია რეგიონში. აფსაროსისა და ბიჭვინთის მასალებზე დაკვირვებით, უკვე ვიცით თითოეული პუნქტი, საიდანაც ხორციელდებოდა იმპერიის აღმოსავლეთით არსებულ კასტელუმთა საჭირო ნედლეულით მომარაგება. გარდა ამისა, არქეოლოგიური მასალის საერთო ანალიზი საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ თუ რა წილი მოდიოდა ერთის მხრივ

იმპორტზე, და ასევე, ადგილობრივი პროდუქციის ათვისებაზე. ამის ერთ-ერთი კარგი ინდიკატორი ამფორებიც გახლავთ, რომელთა შორის დიდი წილი მოდის ე.წ. კოლხურ ამფორებზე. მათი სავარაუდო დამზადების არეალის დიაპაზონი თითქმის მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს მოიცავს (რაც კიდევ ცალკე კვლევის საგანია). ხოლო, კიდევ ერთ დიდ ჯგუფს სინოპური ამფორები შეადგენს, რაც რეგიონში უშუალოდ ამ საქალაქო ცენტრის განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობაზე მიუთითებს. ამდენად, გარდა ეპიგრაფიკული და წერილობითი მასალებისა, ვფიქრობთ, რომ არქეოლოგიური მასალა უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს, რაზეც უფრო ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ.

გონიო-აფსაროსსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დღემდე წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად მოპოვებული მასალის უდიდეს ნაწილს კერამიკული ნაწარმი შეადგენს. მათი უმეტესობა იმპორტირებულია სამხრეთ შავიზღვისპირეთის საწარმოო ცენტრებიდან. გვაქვს ასევე ხმელთაშუაზღვიური ნაწარმიც, საიდანაც ციხე-სიმაგრეებში განთავსებული გარნიზონები მარაგდებოდა მათი აქ ყოფნის ადრეულ ეტაპზე, ძირითადად I საუკუნის მეორე ნახევარსა და II საუკუნის პირველ მეოთხედში.

აღმოჩენილ მასალებს შორის განსაკუთრებით დიდ ადგილს იკავებს ამფორები (ტაბ. XV: 2). გონიო-აფსაროსში აღმოჩენილ რომაული პერიოდის ამფორებს თავისი ხასიათით რამოდენიმე ტიპად იყოფა (ხალვაში, 2002).

პირველ ტიპის ამფორებში ერთიანდება ყავისფერკეცინი ამფორები (ტაბ. XVI)., რომლისთვისაც დამახასიათბელია შეზნექილი წელი და წიბოიანი ყელი (ხალვაში, 2002: 10). ამ ტიპის ამფორების გავრცელებასთან და დათარიღებასთან დაკავშირებით არქეოლოგებში განსახვავებული მოსაზრებებია. ბ. მახლინი და სხვ. მსგავსი ტიპის ამფორებს სამხრეთ პონტურ წარმოშობას უკავშირებს და

იზიარებს ქართველი არქეოლოგების მოსაზრებას ამ ტიპის ამფორების კოლხეთში დამზადების შესახებ (Махлин, 1974:60; ბერძენიშვილი, ფუთურიძე, 1975:173). გ. ლორთქიფანაიძე კი არ გამორიცხავს, რომ გვიანანტიკური ხანის წელშეზნექილი ამფორები კოლხური ამფორების გავლენით ჩამოყალიბებულიყო (Лордкипанидзе, 1989:282). განსხავებული მოსაზრება აქვთ ი.ვინოგროდოვსა და ნ. ონეიკოს, ისინი თვლიან, რომ ყავისფერკეციანი, გვინანატიკური ამფორები სამხრეთ შავიზღვისპირეთის, კერძოდ კი ჰერაკლეურ ნაკეთობას წარმოადგენს (Виноградов, Онейко, 1975:86). გონიო-აფსაროსში მოპოვებული მასალებიდან, მსგავსი ტიპის ამფორები ახ.წ. II საუკუნიდან ჩნდება (ხალვაში, 2002:14).

მეორე ტიპის ამფორებს მიეკუთვნება ორმაგყურიანი ამფორები, რომლისთვისაც დამახასიათებელია ორმაგი ყური, სტაფილოსებური კორპუსი და რკოსმაგვარი ქუსლი. ამ ტიპის ამფორები ძვ.წ. I ს და ახ.წ. II ს პირველ ნახევარშია გავრცელებული, როგორც აღმოსავლეთ ასევე დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში (ხალვაში, 2002:21, სურ. 16). სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ტიპის ამფორებ ძვ.წ. IV-ახ.წ. I საუკუნეებით ათარიღებენ, სადაც ასევე გამოყოფენ ქვეპერიოდს - ძვ.წ. III-II საუკუნეებს და ძვ.წ. I-ახ.წ. I საუკუნებს, როდესაც ამფორებს ქიოსურის მიბაძვით სხვადსხვა ანტიკურ ცენტრებში ამზადებდნენ. გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი ამფორა ახ.წ. I საუკუნის შუა ხანებით თარიღდება (ხალვაში, 2002: 23).

მესამე ტიპს წარმოადგენს ქიმისებრშვერილიანი ყურების მქონე ამფორები. გონიო-აფსაროსში მოპოვებული მასელების მსგავსი ამფორები აღმოჩნდა ასევე სებასტოპოლისშიც. ბ. ბიოთგერის აზრით, არსებობდა ერთდროულად მომუშავე რამდენიმე საწარმო ცენტრი და ასკვნის, რომ მათი ლოკალიზაცია, ძირითადად, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთშია

საფიქრებელი, ხოლო მის წარმომავლობის ადგილად როდოსსა და მის შემოგარენს მიიჩნევს (Bottger, 1980: 337). როდოსულ ნაწარმად მიიჩნევენ ჰ. რობინსონი და ვ. გრეისი (Robinson, 1959: 20; Grace, 1961). განსხვავებული მოსაზრება გააჩნია მ. კალენდერს, რომელიც ჭურჭლებზე მოცემული დამღების დეტალური შესწავლის შედეგად ამ ტიპის ამფორებს იტალიკურ ნაწარმად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ ძვ.წ. I და ახ.წ. I ს. პირველ ნახევარში იტალიას დასავლეთ ევროპაში წამყვანი ადგილი ეკავა ამფორების დამზადებისა და ექსპორტირებაში (Callender 1965:20) ი.ზეესტი მიიჩნევდა, რომ იტალიკური ჭურჭლის ფორმების გავლენით მსგავს ამფორებს ამზადებდა ბერძნული ცენტრებიც (Зеест, 1960:13). მკლევარები გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი მსგავსი ტიპის ამფორების თიხის სტრუქტურის მიხედვით, სინოპურ ნაწარმად მიიჩნევენ.

მესამე ტიპის ამფორები გავრცელებული ჩანს ძვ.წ. I და ახ.წ. I სს-ში. გონიო-აფსაროსში მსგავსი ამფორების ცალკეული ფრაგმენტები ახ.წ. II ს მასალებთან ერთად დაფიქსირდა, რაც არქეოლოგებს იმაზე მიანიშნებს, რომ ძვ.წ. I და ახ.წ. I სს ფართოდ გავრცელებული ამფორების ეს ტიპი ახ.წ. II საუკუნის დასაწყისშიც განაგრძობს არსებობას (ხალვაში, 2002:25).

მეოთხე ტიპს წარმოადგენს ძაბრისპირიანი ამფორები, ისინი დროის ხანგრძლივ პერიოდში - ახ.წ. I –VII სს არსებოდბნენ და შესაბამისად მათი გავრცელების არეალი ფართოა. ეს ტიპი ცნობილია ეგეოსურ სამყაროშო, დასავლეთ შავიზვისპირეთში, შედარებით მცირე რაოდენობით ჩრდილო შავიზღვისპირეთში და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. შავიზღვისპირეთის აუზიდან ყველაზე დიდი რაოდენობით დასავლეთ სანაპიროზეა აღმოჩენილი. მოპოვებულ მასალზე დაყრდნობით ბ.ბიოთგერმა, ფორმათა განვითარების მიხედვით, გამოყო მათი ქრონოლოგიური ჩარჩო, რომელიც ახ.წ. II. III-VI.VII სს

განისაზღვრა (Bottger, 1980:429). აქედან იმ ტიპის ამფორები, რომელთა თარიღიც ახ.წ. I ს მეორე ნახევარი და ახ.წ. IV ს პირველი ნახევარია, დასავლეთ შვიზღვისპირეთში იშვიათობაა. ბიჭვინთაში წარმოდგენილია ძაბრისებრისპირიანი ამფორების, როგორც ადრეული, ისე გვიანდელი ვარიანტები. ქ.ბერძენიშვილი და რ.ფუთურიძე იზიარებენ ვ.სტრჟელეცკის მოსაზრებას ამგვარი ამფორების როდოსული წარმომავლობის შესახებ (ბერძენიშვილი, ფუთურიძე, 1975:200; Стржелецкий, 1953:213). რ. რამიშვილის აზრით, ეს ამფორები მცირე აზიის რომელიღაც ცენტრიდანაა გავრცელებული შვიზღვისპირეთში (რამიშვილი, 1965:114). ვ. გაიდუკევიჩი კი ანალოგიური ამფორების თიხის სტრატუქურის მიხედვით მათ სინოპურ ნაკეთობად მიიჩნევს (Гайдукевич, 1952:34; ხალვაში, 2002:26).

აღნიშნული ნიმუშები აფსაროსში, ბიჭვინთასა და სებასტოპოლისშიც ახ.წ. II-III სს დათრიღებული ფენების ზედა დონეზეც იჩენს თავს, რაც არქეოლოგებს მათ თარიღს ახ.წ. III საუკუნის მიწურულით ასაზღვრინებს (ხალვაში, 2002:28; ბერძენიშვილი, ფუთურიძე, 1975:251). ძაბრისებურპირიანი ამფორების წარმომავლობის ცენტრად მკვლევარები მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროებს ასახელებენ. მ. ხალვაში იზიარებს ფ. სტრეჟელეცკის და რ. ფუთურიძის აზრს ამ ამფორების როდოსული წარმომავლობის შესახებ, რადგან აფსაროსში აღმოჩენილი ამ ტიპის ამფორები, თიხის სტრუქტურით ძალიან გავს ელისნისტური ხანის როდოსულ ნაწარმს, რაც არქეოლოგებს აფიქრებინებს, რომ ძაბრისებურისპირიანი ამფორების დამზადების ცენტრის განსაზღვრაში ბითვიანიასთან ერთდ უპირატესობა როდოსსაც უნდა მიენიჭოს (ბერძენიშვილი, ფუთურიძე, 1975:259; Стржелецкий, 1953:216; ხალვაში, 2002:29).

მეხუთე ტიპში ერთიანდება ვიწროყელიანი ამფორები. მსგავსი ტიპის ამფორები ახ.წ. I-IV საუკუნეებს განეკუთვნება, რომელიც ფართოდ იყო

გავრცელებული რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში. მსგავსი ტიპის ამფორები აღმოჩენილია გონიო-აფსაროსში, სებასტოპოლისსა და ბიჭვინთაში. ი.ზეესტმა, მათი წარმომავლობა მცირე აზიას, კერძოდ კი სამხრეთ შავიზრვისპირეთს დაუკავშირა (Зеест, 1960:15-16). ი.კამენეცკი მსგავს ამფორებს ახ.წ. I-III საუკუნეებით ათარიღებს, საწარმოო ცენტრად კი ზეესტის მსგავსად შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებს მიიჩნევს (Каменеский, 1969: 30). ტ. კნიპოვიჩი და ვ.გაიდუკევიჩი კი მათ საწარმოო ცენტრად სინოპეს მიიჩნევდნენ (Книпович, 1949:73; Гайдукевич, 1952:96; ხალვაში, 2002: 30)

მსგავსი ტიპის ამფორების დამამზადებელი ცენტრების განსაზღვრასთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესოა სებასტოპოლისის მონაპოვრები. მკლევარები ფიქრობენ, რომ აქ აღმოჩენილი წითელლაკიანი კეცის მაღალყელიანი ამფორები მცირეაზიული ამფორების მიბაძვით, ადგილზეა დამზადებული. ვიწროყელიანი ამფორების იმიტაციით ადგილობრივ წარმოებაზე მიუთითებს მ.ტრაპშიც (Трапш, 1969:331). საინტერესოა ტ.კნიპოვიჩის, ი.კრუგლიკოვას, ი.ზეესტის მოსაზრებები. მსგავსი ამფორების გარკვეული ნაწილის ჩრდილო შავიზღვისპირეთში დამზადების შესახებ, რომელსაც იზიარებს მ.ხალვაშიც, რომელიც ეყრდნობა სებასტოპოლისსა და გონიო-აფსაროსში მოპოვებულ მასალებს და ვარაუდობს, რომ ვიწროყელინი ამფორების, მინაბაძები, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშიც მზადდებოდა (Книпович, 1949:74; Кругликова, 1966; Зеест, 1960:110; ხალვაში, 2002:29).

ვიწროყელიანი ამფორები ჩნდება ახ.წ. I საუკუნიდან და ფორმათა ევოლუციური განვითრებით არსებობას განაგრძობენ ახ.წ. V-VI სს ჩათვლით (ხალვაში, 2002:33).

მეექვსე ტიპს მიეკუთვნება მხრებზე ყურებმიძერწილი ამფორები. მსგავსი ამფორები გონიო-აფსაროსის გარდა ცნობილია ინკიტის ტბის მიდამოებიდან,

ბიჭვინთიდან და სოხუმიდან. მათ არქეოლოგები სინოპურ ტიპს მიაკუთვნებენ (ხალვაში, 2002:34, სურ. 27,28). ოთ.ლორთქიფანიძე და რ.ფუთურიძე მიიჩნევენ რომ ბიჭვინთისა და ინკიტის ტბის მიდამოებში აღმოჩენილი მსგავსი ამფორების კეცი სტრუქტურულად ახლოს დგანან ბიჭვინთის კრამიტისა და აგურის კეცთან. ამგვარი ამფორების სებასტოპოლისში აღმოჩენის შემდეგ კი ოთ.ლორთქიფანიძე პირდაპირ მიუთითბს მათ ადგილობრივ წარმომავლობაზე (ფუთურიძე, ლორთქიფანიძე, 1965:120).

როგორც ჩანს, სამხრეთი შავიზღვისპირეთის გარდა წითელლაკიანი კერიმიკის ეს ტიპი მიბაძვით მზადდებოდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და, შესაძლოა, ჩრდილო შავიზღვისპირეთშიაც (ხალვაში, 2002:35). მსგავსი ამფორები, როგორც ჩრდილო, ასევე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ახ.წ. II-III ს თარიღდება. ამავე პერიოდის ფენებში გვხვდება მსგავსი ამფორები გონიო-აფსაროსსა და ბიჭვინთაშიც.

მეშვიდე ტიპისთვის დამახასიათებელია პირსზემოთაზიდულყურიანი ამფორები. გონიო-აფსაროსის გარდა მსგავსი ტიპის ამფორები აღმოჩენილია სოხუმსა და ბიჭვინთაშიც. ამფორები დამზადების ცენტრად ვ. გაიდუკევჩი აღმოსავლეთ ხმელთშუაზღვისპირეთს მიიჩნევენ (Гайдукевич, 1952:1968), ხოლო ტ.სამოილოვას ისინი უშუალოდ ათენში დამზადებულად მიაჩნია (Самойлова, 1978: 261).

სამეცნიერო ლიტერატურაში ამგვარი ამფორები დათარიღებულია ახ.წ. III ს პირველი ნახევარით და IV საუკუნის დასაწყისით. გონიო-აფსროსში მსგავსი ტიპის ამფორების ფრაგმენტები ახ.წ. II და III ს პირველი ნახევრის შემცველ ფენებში ფიქსირდება (ხალვაში, 2002: 35).

მერვე ტიპს მიეკუთვნება წითლკეციანი დიდი ზომის ამფორები, სქელკედლიანი: აქვთ ფართო ყელი და მასიური კანელურებით შემკული

ყურები. კორპუსი დაფარულია რელიეფური რგოლებით, ძირი დაბალი, კონუსური მოყვანილობისაა, რომელსაც მომრგვალებული საყრდენი არე აქვს. ანალოგიური ჭურჭელი ცნობილია როგორც ჩრდილო შავიზღვისპირეთის, ისე ხმელთშუაზღვისპირეთის თანადროული ძეგლებიდან. ი.ზეესტის აზრით, ამ ტიპის ამფორებს ამზადებდა რამდენიმე მსხვილი ბერძნული ცენტრი, რომელსაც სავაჭრო კავშირი უნდა ჰქონოდა პონტოსპირა რაიონებში და ამავედროს, თავის ნაწარმს ავრცელებდა ხმელთშუაზღვისპირეთშიაც (Зеест, 1960:114; ხალვაში, 2002: 36).

არქეოლოგირი მონაცემების მიხედვით ამფორების ეს ტიპი, ძირითადად, ახ.წ II ს დასაწყისთან და ახ.წ. III ს თარიღდება. იგივე ითქმის გონიო-აფსაროსის მონაპოვართა შესახებაც (ხალვაში, 2002:36).

გონიო-აფსაროსის მეცხრე ტიპის ამფორების დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს მაღალი, ცილინდრული მოყვანილობის შებერილი ყელი და გარეთკენ გადაშლილი პირი. ეს ამფორა აღმოჩენილ თანადროული მასალების მიხედვით ახ.წ. I ს დასასრულით თარიღდება. წარმოების ცენტრად მ.ხალვაში სინოპეს მიიჩნევს (ხალვაში, 2002:37).

მეათე ტიპში მ. ხალვაში გონიო-აფსაროსის ამფორებში აერთიანებს დიდი ზომის სქელკედლიან, ფართოყელიან ამფორებს. პარალელები ცნობილია სებასტოპოლისიდან და ბიჭვინთიდან. ამ ტიპის ამფორები ბიჭვინთაში ახ.წ. III ს პირველი ნახევრით დათრიღებულ ფენებშია ნაპოვნი. დაახლობით ამ პერიოდით თარიღდება სებასტოპოლისის მონაპოვრებიც. გონიო-აფსაროსში კი ახ.წ. II ს დასაწყისითა და ახ.წ III ს პირველი ნახევრით დათარიღებულ კულტურულ ფენებში (ბერძენიშვილი, ფუთურიძე, 1975:263; ხალვაში, 2002:38).

მეთერთმეტე ტიპის დამახასიათებელი ნიშანია ლილვისებური პირის გამობერილი, მხრისკენ, რომელიც შევიწროებული ყელისაგან არამკვეთი

ღარებითაა გამოყოფილი. სტატიგრაფიული მონაცემების მიხედვით ეს ამფორები ჩრდილო შავიზღვისპირეთში ახ.წ. II ს დასაწყისით დათრიღებულ კულტურულ ფენებში ჩნდებიან. არსებობას განაგრძობენ ახ.წ. III ს მეორე ნახევარსა და ახ.წ. IV ს-ის პირველ ნახევარშიაც. გონიო-აფსაროსში ისინი, ძირითადად, ახ.წ II ს დასაწყისისა და ახ.წ III ს პირველი ნახევრის კულტურულ ფენებშია აღმოჩენილი (ხალვაში, 2002:39, სურ. 31-10,11,12).

მეთორმეტე ტიპის ამფორას ლილვაკისებური, ოდნავ გაშლილი პირი და მაღალი სწორხაზოვანი ყელი აქვს, პირისა და ყელის მიძერწვის ადგილი ერთმანეთისაგან გამოყოფილია ფართო, ჩაღრმავებული ღარით. აღმოჩენილი ამფორა სტატიგრაფიულად თარიღდება ახ.წ. II ს და ახ.წ. III ს პირველი ნახევრით. არქეოლოგების ვარაუდით, შესაძლოა ჰერაკლეაში იყოს დამზადებული და წარმოადგენს რომაულ ხანაში გავრცელებული სინოპური ამფორების (ტაბ. XVII; XVIII) მინაბაძს (ხალვაში, 2002: 40).

საქართველოში არსებული რომაულ ციხეებში დაფიქსირებული ამფორებიდან არის ტიპები, რომლებიც ჯერჯერობით მხოლოდ ჩრდილოეთ კოლხეთში განლაგებულ რომაული გარნიზონების ადგილსამყოფელში დასტურდება.

ბიჭვინთაში ფართოდა გავრცელებული ასევე ყავისფერი თიხის ყელწიბოიანი ამფორები, რომელიც ახ.წ. III საუკუნით თარიღდება. მსგავსი ამფორები აღმოჩნდა სოხუმის ციხეზე. ამფორის ოვალურ ნაჭდევში სამი ბერძნული ასო იკითხება ზევიდან ქვევით νάδ. მათი მნიშვნელობა ჯერჯერობით უცნობია. წაგრძელებული კორპუსი, წელშეზნექილობა და ღრუ კონუსური ძირი ახასიათებს, ი.კრუგლიკოვა მათი დამზადების ადგილად აღმოსავლეთ და ჩრდილო შვიზღვიპირეთს მიიჩნევდა (Кругликова, 1966:150).

IV ს მეორე ნახევარსი ბიჭვინთაში წარმოდგენილია ერთი სახეობა მცირე

ზომის ამფორებისა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ძალიან თხელი კედელი, მსუბუქი და კონუსური, შიგნიდან ღრუ ქუსლი, რომელიც სხვადასხვა, ძირითადად, ორ ვარიანტს გვაძლევს - ზოგი წაწვეტებულია და ძალიან წვრილი ნახვრეტი აქვს, ზოგი კი ფართონახვრეტიანია და ამგვარად ძირს თითქმის ცილინდრული ფორმა ეძლევა. ტანი ამფორას დაღარული აქვს ფართო ღარებით. მათ წარმომვალობას არქეოლოგები სამოს უკავშირებენ. მსგავსი ამფორები V ს განაგრძობდნენ არსებობას (ბერძენიშვილი, ფუთურიძე, 1975:275).

ბიჭვინთაში ყველაზე დიდი რაოდენობით ადგილობრივი კოლხური, მუქ წითლად მოყავისფროდ გამომწვარი ამფორებია აღმოჩენილი, რომელთაც აკეცილი, პროფილილირებული ნაპირი, პატარა, ბრტყელგანიკვეთიანი ყურები, წაგრძელებული, წელსი შეზნექილი კორპუსი და კონუსური, ოდნავ, თავმომგვალებული ძირები აქვთ. ისინი ისეთი სტანდარტიზირებული ფორმისაა, რომ თითქმის არ იძლევიან ვარიანტებს, დიდხანს განგრძობენ არსებობას და VI საუკუნემდე აღწევენ (ბერძენიშვილი, ფუთურიძე, 1975:277).

გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე წითელლაკიანი კერამიკა ახ.წ I საუკუნის ბოლოდან ჩნდება, ხოლო II-III სს მათი რიცხვი უფრო იზრდება. გამოიყოფა რომოდენიმე ტიპი (ტაბ. XIX-XX)

პირველ ტიპში შემავალი ჭურჭლის ერთ-ერთ ნატეხზე მოცემულია ,,ბარბორტინოს'' (სუროს დატოტილი) ტექნიკით შესრულებული რელიეფური წაგრძელებული ვოლუტისებური გამოსახულება, რომელიც ბოლოვდება პირისაკენ მიმართული წერტილოვანი გამოსახულებით, რომელსაც ერწყმის ხორბლის თავთავისა და ღეროს ორნამენტები. მათ წარმომავლობას არქეოლოგები იტალიის ან გალიის რომელიმე საწარმოო ცენტრს უკავშირებენ. აღნიშნული ჭურჭელი ახ.წ I ს მეორე-მესამე მეოთხედით თარიღდება (ებრალიძე, 2005:29, სურ.4).

მეორე ტიპის მასალებში მოცემულია ორყურა თასის პირის, ტანის, ყურისა და ქუსლის ფრაგმენტები. პირთან ახლოს ჰორიზონტალურად მოძერწილი ქონდა წელშეზნექილი მოყვანილობის ყური. ამ ტიპის ჭურჭლისთვის დამახასიათებელი ყოფილა მორკალული ყურები. ჭურჭელი გაფორმებული უნდა ყოფილიყო ,,ბორბორტინოს'' ორნამენტებით.

მსგავსი ტექნიკით შესრულებული ჭურჭელი ფართოდ იყო გავრცელებული ახ.წ. I საუკუნეში. მზადდებოდა პერგამონში, ჩანდარლში და სხვ. შვიზღვისპირეთში ისინი საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული (Книпович, 1952:196). აღნიშნული თასი ახ.წ. I მეორე საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება და მას პერგამონულ წარმომავლობაზე მიუთითებენ (ებრალიძე, 2005:30, სურ.5; ებრალიძე, 2009:149).

მესამე ტიპში გაერთიანებულია სხვადასხვა ზომის ჭურჭლები და ფინჯნები, რომლისთვისაც დამახასიათბელია დაბალი კიდე, სწორი გარეთკენ გადაშლილი პირი რელიეფური წიბოთი. მსგავსი ჭურჭელი საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლეთ შავიზღვიპირეთში (ტაბ. XIX-XX). მსგავსი ტიპის წითელლაკიანი კერამიკა აღმოჩენილია სოხუმის ძველი ციხის ტერიტორიაზეც (ფუთურიძე, 1965:98). ეძებნება პარალელები ჩრდილო შავიზღვისპირეთში. ტ. კნიპოვჩი მას ახ.წ. I ს მეორე მესამედით ათარიღებს (Книпович, 1952:312).

გონიო-აფსაროსში ზემოთ მოცემული ტიპის ჯამები, ძირითადად, ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებულ კულტურულ ფენებში ვლინდება და მეტწილად II საუკუნის მასალებთან იჩენს თავს. მათი საწარმოო ცენტრად პერგამონია მიჩნეული (ებრალიძე, 2009:150-151).

გონიო-აფსაროსში მეოთხე ტიპია სადა მარყუჟისებრმინაძერწიანი ჯამები და თეფშები. მსგავსი ტიპის ჭურჭელი საქართველოში აღმოჩენილია ბიჭვინთაში (ლორთქიფანიძე, 1962:239). მსგავსი ჯამების ფორმები ჩნდება ჯერ

კიდევ ძვ.წ. I ს მიწურულს როგორც პერგამონულ, ისე სამოსურ კერამიკულ წარმოებაში. მსგავსი ნიმუშები მრავლად გვხვდება ჩრდილო შავიზღვისპირეთშიც (Книпович, 1952:301).

გონიო-აფსაროსში ისინი ახ.წ. I ს მეორე ნახევრით და II ს პირველი ნახევრით დათრიღებულ კულტურულ ფენებში გვხვდება. ამ ფორმის ჭურჭელი მზადდებოდა არა მარტო პერგამონში, არამედ დასავლეთ ხმელთაშუაზღვიპირეთშიც (ებრალიძე, 2005:33; ებრალიძე, 2009:151;).

მეხუთე ტიპში ერთიადნება პირგადაშლილი პირისა და ტანის ნატეხები. ისინი ძვ.წ. I ს დასასრულით და ახ.წ. I საუკუნითაა დათარიღებული (Meyer-Schlichtmann, 1988:242; ებრალიძე, 2009:153). გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი ამ ტიპის კერამიკა აღმოჩენილ მასელებთან ერთად ამავე საუკუნით თარიღდება (ებრალიძე 2005:37, სურ.12).

გონიო-აფსაროსში მეექვსე ტიპში წარმოდგენილია წითელლაკიანი ჯამების პირისა და ტანის ფრაგმენტები (ტაბ. XIX-XX). დამახასიათებელია მცირე ტევადობის მომრგვალებული ტანი. აქვთ შიგნით ჩაკეცილი მომაღლო-მომრგვალებული პირი. ჯამების ეს ტიპი ახ.წ. I ს ბოლოთი და II ს პირველ ნახევრით თარიღდება. არქეოლოგები მათ პერგამონის საწარმოო ცენტრს აკუთვნებენ (ებრალიძე, 2005:38, სურ. 13).

მეშვიდე ტიპში შემავალ წითელაკიან ჯამებს აქვს დაბალი მომრგვალებული ქუსლი, რომელთაც ძირი ფართო და ბრტყელი აქვთ; შიდა კალთა დამრეცი; ტანი მომრგვალებული, ღრმა ტევადობის, ჩაკეთილი ტანისაგან არაა გამოყოფილი. მსგავსი ჭურჭელი გონიო-აფსაროსის გარდა აღმოჩენილია სოხუმის ძველი ციხისა (ფუთურიძე, ლორთქიფანიძე, 1965:99) და ბიჭვინთის ნაქალაქარის ტერიტორიაზე (ლორთქიფანიძე, 1962:238; ბერძენიშვილი, 1963:110) ამ ტიპის მასალა ახ.წ. II საუკუნით თარიღდება

(ებრალიძე, 2005:).

გონიო-აფსაროსის აღმოჩენილი წითლლაკიანი კერამიკის მერვე ტიპში ერთიანდება პატარა ჯამი. აქვს ვიწრო, გარეთკენ გაზიდული მომრგვალებული ქუსლი, გაფართოებული, ოდნავ მომრგვალებული ტანი (ებრალიძე, 2005:40, სურ. 15). მას პირდაპირი ანალოგი არ ეძებნება, თანხმლები მასალების მიხედვით აღნიშნული ჯამი ახ.წ. II ს თარიღდება და პერგამონის ნაწარმად მიიჩნევა (ებრალიძე, 2005:40).

მეცხრე ტიპის ჯამი გონიო-აფსაროსში ერთადერთი ფრაგმენტის სახითაა წარმოდგენილი. ტანი მომრგვალებული, კედლები ვერტიკალურად დაღარული, პირი მომრგვალებული და შიგნით ჩაკეცილი პირისა და ტანის შეხების არეში გარს უვლის მკვეთრი რელიეფური წიბო. პირის დასაწყისში ღრმა ჰორიზონტალური ღარი მიუყვება. ბიჭვინთაში აღნიშნული ტიპის ჯამები სხვადსხვა ნაირსახეობით არის წარმოდგენილი. ერთი მათგანისთვის დამახასიათბელია ოთხრიგად დაღრული ყურები (ლორთქიფანიძე, 1962:241). ამგვარი ჯამების ათამდე ფრაგმენტი აღმოჩენილია სოხუმის ძველი ციხის ტერიტორიაზე და ისინი ახ.წ II-III სს დათარიღებული (ფუთურიძე, 1965: 104). ამავე საუკუნეებს განეკუთვნება ინკიტის ტბის ნაცროვან ფენაში აღმოჩენილი მსგავსი ჯამები (ლორთქიფანიძე, 1963:100-102). საწარმოო ცენტრის განსაზღვრა მკვლევარებს ჯერჯერობით უჭირთ (ებრალიძე, 2005:40).

მეათე ტიპს წარმოადგენს ღრმა ტევადობის ფართოპირიანი წითელლაკიანი ჯამებისა თუ თეფშების პირისა და ტანი ფრაგმენტბს. აქვს მომრგვალებული ტანი და სადა პირი. პირის შიდა კალთას ტანისაგან გამოყოფილი რელიეფური ზოლი შემოუყვება. გარეთ კალთა ვიწრო, ჰორიზონტალური ღარითაა შემკული. გონიო-აფსაროსის გარდა მსგავსი ფორმის ჭურჭელი აღმოჩენილია ინკიტის ტბის, ბიჭვინთის და სოხუმის ძველი

ციხის ტერიტორიაზე (ლორთქიფანიძე, 1963:100). ამ ტიპის ჯამების დასათარიღებლად მნიშვნელოვანია ისიც რომ ისინი გონიო-აფსაროსში აფსაროსში ახ.წ. III საუკუნის მასალებთან ერთად აღმოჩნდა(ებრალიძე, 2005:41, სურ. 17).

მეთერთმეტე ტიპში წარმოდგენილია წითელლაკიანი ჯამის პირის, ტანის და ქუსლის ფრაგმენტები. აქვს რგოლისებური, ოდნავ გარეთკენ გაფართოებული ქუსლი. ტანის არე შემკულია ჰორიზონტალური ღარით. ისინი გონიო-აფსაროსში ახ.წ. II-III საუკუნით თარიღდება, საწარმოო ცენტრად კი პერგამონია მიჩნეული (ებრალიძე, 2005:42).

მეთორმეტე ტიპში გონიო-აფსაროსში წარმოდგენლია სწორპირიანი, დაბალქუსლიანი მოზრდილი ჯამები. გამოიყოფა ორი ქრონოლოგიური ვარიანტი. ადრეული, ახ.წ. I-II სს ნიმუშები დამზადების მაღალი ხარისხით გამოირჩევიან. ისინი მკვეთრი მოწითალო ხარისხის ლაკითაა დაფარული. უფრო გვინდელი, ახ.წ. III ს ჭურჭლები მასიურია, დაფარულია მდარე ხარისხის ლაკით (ებრალიძე, 2004:42).

ახ.წ. I-II სს ჯამების მსგავსი ნიმუშები საქართველოს სხვა ტერიტორიაზე არ დასტურდება. გავრცელებული ჩანს ჩრდილო შავიზღვისპირეთში (Книпович, 1952:295-296). ხოლო, ახ.წ. III საუკუნის ჯამის მსგასი ჭურჭელი გვხვდება სოხუმის ძველი ციხის ტერიტრიაზე. ისინი ახ.წ. IV ს ნაწარმადაა მიჩნეული (ფუთურიძე, 1965:105), ხოლო ბიჭვინთაში აღმოჩენილი მსგავს ჯამებს ახ.წ. III ს ათარიღებენ (ბერძენიშვილი, 1963:116-117).

წითელლაკიანი კერამიკის მეცამეტე ტიპში წარმოდგენილია პირგადაშილილი ლანგრები. მათთვის დამახასიათბელია დაბალი კალთა. ლანგრის პირის ორნამენტაციის მიხედვით ორი ჯგუფი გამოიყოფა. ერთი მათგანი შემკულია რელიეფური გამოსახულებებით, მეორე ჯგუფი-კი ღარებით

და კოპებით. ზოგიერთის პირის კიდე დაკბილულია (ლორთქიფანიძე, 1962:236).

გონიო-აფსაროსის გარდა ამ ტიპის ლანგრების სამი ფრაგმენტია ნაპოვნი ბიჭვინთაში (ლორთქიფანიძე, 1962:236; ასათიანი, 1977:191-193). რელიეფური ორნამენტით შემკული წითელლაკიანი ლანგრები, რომლებიც ახ.წ. II ს დასასრულითა და III ს პირველი ნახევრით თარიღდება აღმოჩენილია სოხუმის ძველი ციხის ტერიტორიაზე. ერთი მათგანის ნაპირები შემკულია რელიეფური ზოლებით, ხვიებით და წერტილებით. აქვე გვხვდება მეორე ჯგუფის ლანგრებიც (ფუთურიძე, 1965:103-104). მსგავსი ტიპის ნაწარმს სამოსის საწარმოო ცენტრს უკავშირებენ და ახ.წ. II-III სს აკუთვნებენ (ებრალიძე, 2005:45).

მეთოთხმეტე ტიპს მიეკუთვნება თიხის სანელსაცხებლეები, რომლებიც, ძირითადად, პირისა და ტანის ფრაგმენტების სახითა წარმოდგენილი გონიო-აფსაროსში. ისინი სხვადასხვა ზომისაა, მაგრამ პირის მოყვანილობა და კეცი ერთგვაროვანია. მათთვის დამახასიათებელია სწორი ქობა, პირი გადმოშლილი, ყელი მაღალი, ცილინდრისებური, ტანისკენ ოდნავ გაფართოებული. თიხის სანელსაცხებლებს ახ.წ. II-III სს თარიღდება, მათი წარმომავლობას აღმოსავლეთ რომის იმპერიის პროვინციებს უკავშირებენ (ებრალიძე, 2005:46).

მეთხუთმეტე ტიპში ერთიანდება კოლბისებური ჭურჭელი, ტანი დაღარული. მსგავსი ტიპის ჭურჭელი, შესაძლებელია, წარმოადგენდგენდა სანელსაცხებელს. საწარმოოო ცენტრის განსაზღვრა არქეოლოგებს უჭირთ. ისინი აღმოჩენილია გონიო-აფსაროსის ახ.წ I –III სს კულტურულ ფენებში (ებრალიძე, 2005:47).

მეთექვსმეტე ტიპის გონიო-აფსაროსის წითელლაკიანი კერამიკა გვხვდება კოჭობის მსგავსი ჭურჭლთა ფრაგმენტების სახით. ანალოგების მიხედვით არქეოლოგი მას ახ.წ. I-II საუკუნეებს მიეკუთვნებს (ებრალიძე,

2005:47-48).

მეჩვიდმეტე ტიპს დოქებში ერთიანდება: პირის, ყელის, ტანისა თუ ყურის ფრაგმენტებით. გამოიყოფა სხვდასხვა სახეობა. გონიო-აფსაროსის მსგავსად, მსგავსი დოქები აღმოჩენილია სოხუმის ძველი ციხის ტერიტორიაზე და ბიჭვინთის ახ.წ. II ს დათრიღებულ ნაქალაქარზე (ასათიანი, 1977:195). პარალელების გათვალისწინებით გონიო-აფსაროსში აღმოჩენილ ამ სახის დოქებს ახ.წ. I-II სს ათარიღებენ (ებრალიძე, 2005: 49).

აღწერილ დოქს ანალოგები ეძებნება სოხუმის ძველ ციხეზე (ფუთურიძე, 1965: 102) თარიღდება ახ.წ. I-II სს (ებრალიძე, 2005:51).

ბიჭვინთაში დადასტურებული წითელლაკიანი კერამიკის დიდი ნაწილი სადაა. აღმოჩენილი კერამიკა მოიცავს პერიოდს ახ.წ I-VI ს-მდე. ახ.წ. I საუკუნე წარმოდგენილია თხელკედლიანი და სწორპირიანი ჯამის პირგვერდის ნატეხით (ასათიანი, 1977:177).

ახ.წ. II-III ს კერამიკა წარმოდგენილია არიბალოსით, რელიეფური გამოსახულებით შემკული ჭურჭლის, პირგადაშლილი ლანგრების, ფინჯნების, პირაკეცილი ღრმა ჯამების, ვერტიკალური და დაღარულკიდიანი ჯამების ნატეხებით.

ახ.წ IV-VI სს ნაწარმი წარმოდგენილია დიდი ზომის, პირფართო, სადა და ფართოკიდიანი ჯამების, პირგადაშლილი თეფშების, შვეულკიდიანი ჯამების, პატარა, კალთამომრგვალებული და ნახევრადსფეროსებული მოყვანილობის ჯამების ნატეხებით, სხვადსხვა ორნამენტებით შემკული თეფშების ძირებით. ზოგი ჭურჭელი მხოლოდ ერთი ნატეხითაა წარმოდგენილი.

ჯამები ერთ-ერთ მრავალრიცხოვან ჯგუფს წარმოადგენს. სწორპირიანი ჯამი ახ.წ. I საუკუნით თარიღდება. ღრმა ჯამებს პირის კიდე შიგნით აქვს ჩაკეცილი. კედელი კიდიდანვე მკვეთრად მომრგვალებულია და ძირისაკენ არის

დახრილი, ქუსლი-პატარა. ამ ტიპის ჯამები ახ.წ. II –III სს არის დათრიღებული. ანალოგიური ჯამები გვხვდება სოხუმშიც. ტ. კნიპოვიჩი მათ ახ.წ. I ს მიწურულით ან უფრო მოგვიანო ხანით ათარიღებს (Книпович, 1952:310).

საინტერესოა ღრმა ჯამის პირ-გვერდისა და ძირის ნატეხები. კედელი მომრგვალებული და ძირისაკენ დახრილი, ქუსლი - დაბალი, მრგვალი. ქუსლის ზედაპირის ირიბი ჭდეები გარეშემოუყვება. ჯამი აღმოჩენილია ინკიტის ტბის მახლობლად გათხრილი კოშკის ახ.წ. II ს დასასრულითა და III ს დასაწყისით დათარიღებულ ნაცროვან ფენაში (ასათიანი, 1977:180).

გამოიყოფა ვერტიკალურკიდიანი ჯამები, რომლისთვისაც დამახასიათებელია ფართოპირანი, ვერტიკალურკიდიანი პროპორციები, დაღარული კიდე და ჰორიზონტალურად მიძერწილი ფართო, დაღარული ყური. მსგავსი ჭურჭლის ნატეხები ნაპოვნია სოხუმში ძველი ციხი ტერიტორიაზე. II-III სს დათარიღებულ ფენებში. მსგავსი ჭურჭელი უცნობია ჩრდილო შავიზღვისპირეთში.

ასევე საყურადღებოა ფართოპირიანი, ვერტიკალურკიდიანი ჯამის ნატეხები, რომლეთაც კედლები ძირისკენ აქვთ დახრილი. ანალოგების მიხედვით ჭურჭელი თარიღდება ახწ. III საუკუნით (ასათიანი, 1977:182).

აღმოჩენილია ვერტიკალურკიდიანი ჯამი-ყელი მიძერწილია კიდეზე, შუაში ჩაღარულია და ისეა მოხრილი. რომ წრიულ ყუნწს ქმნის. ნაპოვნია ახ.წ III ს დასაწყისის მონეტებთან ერთად და შესაბამისად თარიღდება ახ.წ. III საუკუნით (ლორთქიფანიძე, 1975: 327; ასათიანი, 1977:192).

აქვე გამოიყოფა პატარა ჯამები - ამ ჯგუფს შეადგენს მეტ-ნაკლებად ღრმა ჯამები. პირი ფართო და სწორი აქვთ. კედელი-მომრგვალებული და ძირისაკენ დახრილი. ქუსლი - დაბალი, მრგვალი ან ბრტყელი ძირი. ამ ტიპის ჯამებს ახ.წ. III საუკუნით ათარიღებენ (ასათიანი, 1977:185, სურ. 237-240).

მკვლევარები ცალკე ჯგუფად გამოყოფენ ვერტიკალურკიდიანი ტიპის ჯამებს, მათთვის დამახასიათებელია ვერტიკალურად აკეცილი პირის კიდე, ძირისკენ მკვეთრად დახრილი კედლები და პატარა, მრგვალი ქუსლი. გვხვდება როგორც სადაკიდიანი ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი, ისე პროფოლირებული (წიბოიანი) ნატეხები, რომლეთაც ერთი, იშვითად ორი ღარი შემოუყვება. ჯამები ახ.წ. III ს მეორე ნახევრით და ახ.წ. IV საუკუნებით თარიღდება (ასათიანი, 1977:184).

კალთამომრგვალებული პატარა ჯამები, რომელთაც დაბალი, ბრტყელი ან მრგვალი ქუსლი აქვთ, ხოლო კიდეები შიგნიდან აკეცილია. თარიღდება ახ.წ IV საუკუნით (ასათიანი, 1977:187).

ნახევრადსფერული მოყვანილობის ჰორიზონტალურად პირგადაშლილი ჯამები, რომელთაც დაბალი, მრგვალი ან ბრტყელი ქუსლი აქვთ. კედელი-მომრგვალებული და ძირისკენ დახრილი. მსგავსი ტიპის ჯამის ფრაგმენტები გვხვდება ბიჭვინთის ახ.წ. IV ს მასალებთან ერთად. ამ ტიპის ჯამები ცნობილია ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან და დათარიღებულია ახ.წ. II საუკუნით (ასათიანი, 1977:188).

დიდი ზომის პირფართო, ღრმა ჯამები. ამ ტიპის ჯამებს მეტ-ნაკლებად მაღალი და მომრგვალებული კალთები აქვთ, ქუსლი დაბალი, ძირი ფართო და ბრტყელი. მსგავსი ჯამები ხშირად გვხდება ჩრდილო შავიზღვისპირეთში. ამ ჯამებს მკვლევარები ახ.წ. IV ს ათარიღებენ. ჯამების ეს ტიპი ბიჭვინთაშიც გვხვდება IV ს მასალებთან ერთად (ასათიანი, 1977:198-190; სურ. 307-311; ლორთქიფანიძე, 1962:243).

პირგადაშლილ ჯამებებს მიეკუთვნება არიბალოსი, რომელიც აღმოჩნდა ინკიტის ტბასთან გათხრილი კოშკის ნაცროვან ფენაში, რომელსაც ახ.წ. II ს დასასრულით და III ს დასაწყისითაა დათარიღებული (ასათიანი, 1977:191,

სურ.318). ოთ.ლორთქიფანიძის მოსაზრებით იგი ლითონის (ბრინჯაოს) ჭურჭლის მიბაძითაა დამზადებული (ლორთქიფანიძე, 1962:105).

აღმოჩენილია რელიეფური გამოსახულებით შემკული პირგადაშლილი ჭურჭლის ნატეხებიც (ასათიანი, 1977:191). ოთ. ლორთქიფანიძე მათ ახ.წ. II-III სს ათარიღებს (ლორთქიფანიძე, 1962:105).

ლანგრები უმთავრესად წარმოდგენილია პირ-გვერდის ნატეხებით. ტ. კნიპოვიჩის აზრით, ასეთი ლანგრები ლითონის ჭურჭლის მინაბაძითაა გაკეთბული და ისინი ახ.წ. II ს ბოლოთი III საუკუნის დასაწყისით თარიღდება (Книпович, 1952:317). მსგავსი ლანგრები აღმოჩენილია ჩრდილო შავიზღვისპირეთში. დიდი რაოდენობითაა ასევე აღმოჩენილი სოხუმში. მსგავსი ტიპის ლანგრების ახ.წ. II ს დასასრულითა და III ს დასაწყისით ათარიღებენ (ასათიანი,1977:184, სურ. 319-324). ოთ. ლორთქიფანიძე ამ ტიპის ლანგრების დამზადების ცენტრს შავიზღვიპირეთის ჩრდილო და აღმოსავლთ რაიონებში მიიჩნევს (ლორთქიფანიძე, 1962:238).

მრავლადაა ვიწროყელიანი და ფართოპორიანი დოქების პირის ნატეხები (ასათიანი, 1962:195. სურ. 720). რ. ფუთურიძე მათ სოხუმში აღმოჩენილ მსგავსი ტიპის დოქებთან ერთად ახ.წ. II საუკუნით ათარიღებს (ფუთურიძე, 1977:102).

მინის ნაწარმი. მინის ნაწარმი გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე საკამაოდ მრავალრიცხოვანია (ტაბ. XXI; XXII; XXIII). დიდია მათი ქრონოლოგიაც ძვ.წ.I-ახ.წ.I-III სს და ახ.წ. VI ს. უადრესი, მოზაიკური და ჩამოსხმა-პრესირების გზით დამზადებული ე.წ. ვერტიკალურწიბოიანი მინის ფიალებისა თუ სხვა ნაირსახეობის ნიმუშები დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ნაწარმადაა მიიჩნეული (შალიკაძე 2009:54; ტაბ. XVI/53). ნაკეთობების დიდი ნაწილი დამზადებულია თავისუფალი ბერვის გზით. ბუნებრივია, სწორედ ისინი წარმოადგენს უფრო მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან ჯგუფს.

აღსანიშნავია, რომ მინის ნაკეთობანი რომაულ თუ ბიზანტიურ სამყაროსთან კონტაქტების ისეთივე კანონზომიერებას გადმოსცემს, როგორსაც ვხედავთ აფსაროსი სხვა რიგის მონაპოვრებში (კერამიკიული ტარა, იმპორტული კერამიკა, მონეტები და ა.შ).

აფსაროსის დღემდე შესწავლილი მინისაგან დამზადებული მონაპოვრებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია მოზაიკური ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი. მოზაიკური მინის ფიალები იწარმოებოდა ეგვიპტეში, სირიასა და რომში. მათი დამზადება რთული და შრომატევადი საქმე იყო. ამიტომაც ამ სახის მინის ჭურჭელი მცირე რაოდენობითაა ცნობილი. მნიშვნელოვანია, რომ გონიო-აფსაროსის მაგალითზე საშუალება გვეძლევა ვისაუბროთ ამ იშვიათი ნიმუშების შესახებ (შალიკაძე, 2009:55 56; ტაბ. XVII/54).

გონიო-აფსაროსის მინის მონაპოვრებს შორის, გამორჩეულია, ასევე ჩამოსხმა-პრესირების გზით დამზადბული მინის ფიალა და მსგავსი ტექნოლოგიით შესრულებული სხვა ნაირსახეობები. ისინი ძირითადად პირის, წიბოიანი კედლისა და იშვიათად ძირის ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი. საყურადღებოა, რომ თუ ადრე სათანადოდ იყო გაშუქებული საქართველოს ზღვისპირეთის კონტაქტები ბერძნული სამყაროს სხვადასხვა საწარმოო-სახელოსნო ცენტრებთან გვიანარქაულ, კლასიკურ და ელინისტურ ხანაში, არანაკლებ მნიშვნელოვანია აფსაროსის მსგავსი აღმოჩენები რომაული ხანისათვის, რომლებიც მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შეწავლისათვის. ჩანს, რომ ახ.წ.I ს-ის მეორე ნახევრიდან მაინც გინიო-აფსაროსში რომაული გარნიზონები მდგარან. ამასვე ადასტურებს რომაული ხანის მინის ნაწარმის სხვა სახეობანი, რომელთაც ადგილობრივი მეციხოვნეები ყოველდღიურ ყოფაში მოიხმარდნენ. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ

ბერძნულწარწერიანი მინის სასმისების, იგივე საპრიზო ჭურჭლის ფრაგმენტები. მათი შესწავლა ხაზს უსვამს იმას, რომ აფსაროსში იმართებოდა სპორტული შეჯიბრებები და სხვადასხვა სახის დღესასწაულები. რაც ადასტურებს პროკოპი კესარიელის ცნობას იმის შესახებ, რომ აფსაროსს თავის დროზე ჰქონია თეატრი და ჰიპოდრომი (შალიკაძე, 2009:22-24).

გარდა საპრიზო ნივთებისა მინისაგან დამზადებულ მონაპოვრებში შეიძლება გამოვყოთ სასუფრე დანიშნულების ჭურჭლებიც. მათ შორისაა ლოტოსის გამოსახულებიანი სასმისის პირ-კედლისა თუ გრაფინების სხვადასხვა ვარიაციები. სჭარბობს ე.წ. კუბიკოსები. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ფორმები ფართოდ ჩანს გავრცელებული თითქმის ყველგან, სადაც ვრცელდებოდა რომაული სამყარო. წარმომავლობის მიხედვით ორ დიდ ჯგუფად იყოფა. პირველი, რომის ევროპული პროვინციებში (გალია, რაინის ოლქი და სხვა) დამზადებული დასავლეთ რომაული, ხოლო მეორე სირიის, ეგვიპტის და კვიპროსის ნიმუშები კი აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთიში დამზადებული. ისინი ახ.წ. I-III სსს თარიღდება. განსაკუთრებით პოპულარულია ახ.წ. I – II სს თვლიან, რომ მსგავსი გრაფინებით ხდებოდა სითხის ტრანსპორტირება (შალიკაძე, 2004: 27-29). ასევე საყურადღებოა ისიც, რომ ახ.წ. I – II სს ნაკეთობებში მასობრივი მოხმარების საგანი ყოფილა მინის კორპუსის სხვადასხვა მოყვანილობის გრაფინები. ისინი შესრულების მაღალი ხარისხით გამოირჩევა (შალიკაძე, 2004:30-32).

სუფრაზე მოსახმარი ჭურჭლებიდან ყურადღებას იქცევს, ასევე მინის ოინოხოიას პირ-ყელის ფარგმენტი. როგორც ვიცით ოინოხოია ბერძნული ნაწარმის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მზადდებოდა თიხის სადა თუ მოხატული ნიმუშები. ამ სახეობის ფერადი მინის დამზადებაც ადრეკლასიკური ხანიდან იწყება. მაღალმხატვრული ნიმუშები

გვხდება ფიჭვნარის სამაროვნებიდან (შალიკაძე, 2009:38,48, კატ.24,41). სხვა ნიმუშებიდან შეიძლება გამოიყოს თავისუფალი ბერვის წესით დამზადებული ლანგრისა და ორნამენტიანი ფიალის ფრაგმენტები. განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა სხვადასხვა ფორმის (გამოიყოფა 8 ტიპი) სასმისების პირ-კედლის, ტანისა და ძირის ფრაგმენტები. გვხდება, როგორც ქუსლიანი, ასევე უქუსლო ცალებიც (შალიკაძე, 2004: 41-50). სასუფრე ნაკეთობებია, ასევე კრატერისკი, რომელიც ახ.წ. I საუკუნით თარიღდება, საწარმოო ცენტრად დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთია მიჩნეული, კერძოდ ჩრდილო იტალია. მათი მინა ცისფერია, გამჭვირვალე. ტანი და ძირი შემკული ყოფილა ვერტიკალური წიბოებით (შალიკაძე 2009:65; სურ.8). იშვიათია ბოთლისებური ჭურჭელი, მინა ცისფერი, ახ.წ I საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება და მის საწარმოო ცენტრად აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთია მიჩნეული (შალიკაძე 2009:66, სურ.10). გონიო-აფსაროსის იშვიათ მონაპოვართა რიცხვს განკუთვნება ასევე მინის ძაბრი და ფრინველის ფორმის ჭურჭელიც. ძაბრი წარმოდგენილია პირისა და ტანის ნატეხების სახით (შალიკაძე, 2004:50, სურ.52). საქართველოში გონიო-აფსაროსის მსგავსი ძაბრები ჯერჯერობით არ არის ცნობილი. პარალელი ეძებნება ჩრდილო შავიზღვისპირეთის მასალებს შორის, რომლებიც ახ.წ. I-II სს არის დათარიღებული (Кунина, 1984:152). მიჩნეულია რომის იმპერიის დასავლლეთ პროვინციის ნაწარმად (შალიკაძე, 2004: 50).

ფრინველის ფორმის მინის ჭურჭელი წარმოდგენილია პირის, ყელისა და ტანის ნატეხების სახით. როგორც ჩანს, თავის დროზე ის ფრინველის ფიგურის სტილიზებურ გამოსახულებას წარმოადგენდა (შალიკაძე, 2004:50, სურ.53). არც ამ ნივთს გააჩნია პარალელი საქართველოში აღმოჩენილ მასალებს შორის. ანალოგების მიხედვით თარიღდება ახ.წ. I ს მეორე ნახევრით (შალიკაძე, 2004:50).

მინის ნაკეთობების გარკვეულ ჯგუფს მინის სანელსაცხებლეები წარმოადგენენ. აფსაროსის მონაპოვრებში გვხდება რვა განსხვავებული ტიპი. გვხდება, როგორც სქელკედლიანი დაბალი, სფერული ან კონუსური მოყვანილობის. შედარებით თხელკედლიანი ნიმუშები კი ე.წ. მინიატურული სანელსაცხებლეებისა და ფლაკონების სახითაა წარმოდგენილი. ყურადღებას იქცევს, ასევე მაღალყელიანი სანელსახებლეები, რომელთაც მომრგვალებული ძირი და მომაღლო, ცილინდრულ ყელთან უშუალოდ მიბმული ტანი აქვთ. აფსაროსის სანელსაცხებლეების ჯგუფი მსგავსი სახის ნაკეთობების მიხედვით ახ.წ. I-IV სს თარიღდება, უმეტესობა სირიულ ნაკეთობადაა მიჩნეული (შალიკაძე: 2004: 41-50).

ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი საინტერესო ნივთის არიბალოსის პირ-ყელის ფრაგმენტები. იგი აფსაროსის ახ.წ. I ს მეორე ნახევრითა და – II ს დასაწყისით დათარიღებულ კულტურულ ფენებშია ნაპოვნი (ციხის სამხრეთი კარიბჭე). პარფიუმერიისათვის განკუთვნილ ამ სახეობის ჭურჭელს არაერთი ანალოგი ეძებნება სხვა მონაპოვრების მიხედვითაც. ქრონოლოგიური ჩარჩოები განსაზღვრულია ნერონის ეპოქიდან ვიდრე ახ.წ. III საუკუნემდე, განსაკუთრებით პოპულარულია ფლავიუსების ხანაში. გამოიყენებოდა ანტიკური ხანის დასასრულამდე.

მონეტები. გონიო-აფსაროსში აღმოჩენილ ყველაზე ადრეულ მონეტად ტიბერიუს სახელით ქ. ლუგდუნუმში (გალია) მოჭრილი დენარი მიიჩნევა. ამავე ზარაფხანაშია მოჭრილი I საუკუნის ავგუსტუსის დენარი, რომელის მსგავსიც აღმოჩენილია ეშერაშიც (ტაბ. XXIV-XXV).

გონიო-აფსაროსში აღმოჩენილია ბოსფორის სამეფოს მონეტები, რომლებიც მოჭრილია ახ.წ. 39 წელს. აღმოჩენილია ასევე იუდეის მეფის აგრიპა I ჰეროდეს (37-44 წწ) სახელით მოჭრილი მონეტა (ვარშალომიძე, 1999:129).

გონიო-აფსაროსში მოპოვებული რომაული მონეტების ადრეულ ჯგუფს შეადგენს ქ.ანტიოქიის მონეტები. ამ ტიპის მონეტები ავგუსტუსის დროიდან იჭრებოდა ანტიოქიაში (ვარშალომიძე, 2009:52). ამ ტიპის I საუკუნის ანტიოქიაში მოჭრილი სპილენძის მონეტა საქართველოში ცნობილია მხოლოდ სოხუმიდან (Трапш, 1969:357).

სირიის მონეტებს წარმოადგენს ტიტუსის სახელით ქ. გადარაში მოჭრილი სპილენძის მონეტა.

ქრონოლოგიურად მომდევნო ხანას მიეკუთვნება კაბადოკიის ქ. კესარიაში მოჭრილი ვერცხლისა და სპილენძის მონეტები: ტრაიანეს (98-117 წწ), ადრიანეს (117-138 წწ), ანტონინუს პიუსის (138-161 წწ), სეპტიმიუს სევერუსი (193-211 წწ), იულია დომნას (217 წ), კარაკალას (211-217) და გორდიანე III (238-244 წწ) (ვარშალომიძე, 2009:52).

საქართველოში აღმოჩენილი კესარიული მონეტების ქრონოლოგიურ ჩარჩოდ ახ.წ. I საუკუნის ბოლო და III საუკუნის დასაწყისს მიიჩნევენ. გონიო-აფსაროსში აღმოჩენილმა გორდიანე III (238-244 წწ) მონეტამ ამ ქრონოლოგიის ზედა ზღვარი გადაიტანა III საუკუნის 40-50 -იანი წლებამდე. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ადრიანეს კესარიული მონეტები მიმოიქცეოდნენ მოგვიანო პერიოდშიც (ვარშალომიძე, 2009:53). არქეოლოგების დაკვირვებით, გონიო-აფსაროსში II-III საუკუნის პირველი ნახევრის კესარიული მონეტები ასევე მიმოიქცეოდა III საუკუნის ბოლომდე.

გონიო-აფსაროსის მასალებში მკვლევარები ხვდებიან დენარებს: ვესპასიანეს (69-79 წწ), ტრაიანეს (98-117 წწ), ანტონიუს პიუსის (138-141 წწ), ფაუსტინას (141 წ), სეპტიმიუს სევერუსის (193-211 წწ). ისინი მოჭრილია ეფესოში, რომში. აღნიშნული დენარები გონიო-აფსაროსის ციხეში მიმოიქცეოდა კესარიულ მონეტებთან ერთად III საუკუნის ბოლომდე, მკვლევარის აზრით

ისინი საქართველოში მცირე აზიის ქალაქებიდან ვრცელდებოდა (ვარშალომიძე, 2009:54).

აღმოჩენილ ნუმიზმატიკურ ძეგლებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქ.ტრაპეზუნტის მონეტები. აღნიშნული მონეტებიდან გონიოში წარმოდგენილია: ტრაიანე (98-117 წწ), სეპტუმიუს სევერუსი (193-211 წწ), კომოდუსი (180-192 წწ), ტრანკულინა (238-244 წწ) (ვარშალომიძე, 2009:54).

გონიო-აფსაროსის მონეტებეს შორიდ არის გორდიანეს III სახელით ქ. სინოპეში მოჭრილი სპილენძის საფასე. მსგავსი, 207 წელს გეტას სახელით მოჭრილი მონეტა არის ბიჭვინთიდან. ქ.სინოპეში მოჭრილი მონეტები აღმოჩენილია სოხუმშიც (ვარშალომიძე, 2009:55).

ჩვენთვის საინტერესოა გონიო-აფსაროსის ციხის შემოგარენში, ხელვაჩაურის რაიონ სოფ. მახოში აღმოჩენილი მონეტები. არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგად აღმოჩნდა სამარხებები, სადაც სამარხეულ ინვენტართან ერთად აღმოჩნდა მონეტები: იულია სევერუსის დრაქმა, ადრიანეს, სეპტუმიუსის, დიოკლეტიანეს, ანტონიუს პიუსის, ანტონინიანის, სეპტიმიუს სევერუსის, პრობუსის. აღმოჩენილი მონეტები, ძირითადად, მოჭრილია კესარიაში, მხოლოდ ერთი ანტონიუნუს პიუსის მონეტაა მოჭრილი რომში. მონეტები ახ.წ. II-III საუკუნეებით თარიღდება (კახიძე, შალიკაძე, 2015:104-115). ანალოგიური მონეტები საქართველოში მრავლადაა აღმოჩენილი. მკვლევართა მოსაზრებით, ქრონოლოგიური ჩარჩო საქართველოში აღმოჩენილი კესარიული მონეტებისა არის ახ.წ. I საუკუნის ბოლო და II საუკუნის პირველი ნახევარი, თუმცა მახოს აღმოჩენებმა დაადასტურა, რომ II-III საუკუნის კესარიული მონეტები მიმოიქცეოდა IV საუკუნის პირველ ნახევარშიც.

სხვა მონეტებია: მარკუს ავრელიუს პიუსის, დიოკლეტიანეს, მაქსიმიანე გალერის და სხვ. ანალოგიური საფასები ცნობილია მხოლოდ პიტიუნტიდან

(ცუხიშვილი, 1977:250,სურ. 301; დუნდუა, 1975:280, სურ.413).

ამრიგად, ახ.წ. I საუკუნის მონეტების უმრავლესობა მოჭრილია ანტიოქიაში, პონტოს სამეფოში, რომში, ლუგდუნუმში, თითო ბოსფორში, იუდეაში, გადარაში, ეფესოში. მონეტების უმრავლესობა სპილენძისაა, დომინირებს ახ.წ. I საუკუნის შუა ხანებში და მეორე ნახევარში მოჭრილი მომეტები.

ახ.წ. I საუკუნის მონეტები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სხვა კასტელუმებში ძალიან მცირე რაოდნებითაა აღმოჩენილი. აფხაზეთში სანაპირო ზოლიდან სულ ცნობილია 10-15 ცალი. ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრიდან გონიო-აფსაროსში რომაული გარნიზონის დგომა ეჭვს არ იწვევდა. იგივე სურათი ჩანს არქეოლოგიური მასალების მიხედვით.

ახ.წ. II საუკუნეებში მოჭრილი მონეტებს წარმოადგენს: ტრაიანე, ადრიანე, ფაუსტინა I, ანტონიუს პიუსი, კომოდუსი, სეპტიმიუსი. ისინი მოჭრილია რომში, ტრაპეზუნტში, კესარიაში, ნეიკესარიაში და აღმოსავლეთის სხვა ზარაფხანებში.

ახ.წ. II-III საუკუნის კოლხეთის ტერიტორიაზე გაბატონებული ადგილი უკავია კესარიულ მონეტებს. კესარიული მონეტები ნაპოვნია ციხისძირში, ურეკში, სუფსაში ნოქალაქევში, ვანში, სოხუმში, ბიჭვინთაში და გონიო-აფსაროსში (ვარშალომიძე, 2009:53).

III საუკუნის მონეტების უმრავლესობა ვერცხლისაგანაა დამზადებული. მონეტათა უმრავლესობა მოჭრილია კესარიაში, რომში, ტრაპეზუნტში, თესალონიკეში, სინოპეში. ბიჭვინთაში III საუკუნის პირველი ნახევრის 267 მონეტაა ცნობილი. უმრავლესობა მოჭრილია ტრაპეზუნტში, შედარებით მცირე ჯგუფი კესარიაში. აქ III საუკუნის მეორე ნახევრის 100-ზე მეტი მონეტაა

აღმოჩენილი. ისინი მოჭრილია რომში, ანტიოქიაში, ქიზიკში, მელიოლანუმის და თესალონიკის ზარახანებში (ვარშალომიძე, 2009: 60).

ახ.წ. I საუკუნე პიტიუნტში არ გამოირჩევა მონეტების სიუხვით და ამ დროის მონეტებიდან აღმოჩენილია მხოლოდ ავგუსტუსის (ძვ.წ. 27-ახ.წ. 14) სპილენძის მონეტა, პოლემონ II (49-63 წწ), პონტოს მეფისა და ვესპასიანეს (69-79 წწ) ვერცხლის ფულები, ქალაქ ამასტრიის (პონტო) ერთი საფასე. შემდგომი საუკუნეებიდან კი მათი რიცხვი საგრძნობლად იზრდება (ლორთქიფანიძე, 1991: 100).

რადგან II საუკუნიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პიტიუნტში რომაელების მიერ ციხის აშენებას. ამ პერიდის მონეტებს განეკუთვნება: ბოსფორის მეფის კოტის II (123-132 წწ) სესტერციუსი, ანტონინე პიუსის (138-161 წწ) კესარიული დრაქმა, რომში მოჭრილი დენარი და სპილენძის ორი მონეტა, პაუტალიაში (თრაკია) მოჭრილი მედალიონი, მარკუს ავრელიუსის (161-180 წწ) სახელით მოჭრილი დენარი, ლუციუს ვერუსის (161-169 წწ) ტრაპეზუნტის საქალაქო სპილენძის მონეტა-მედალიონი, კესარიული დიდრაქმა, კომოდუსის (180-192 წწ) დენარი. ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტები - II საუკუნის დასასრულის: ლუცილა (138 წ)-სპილენძის რომაული მონეტა-მედალიონი, ბოსფორის მეფე სავრამატ II (174-210 წწ)-სპიენზის მონეტა, სეპტიუმს სევერუსი (193-211წწ 3 ცალი), აქედან ერთი ვერცხლის დენარია, მოჭრილი 195/197 წწ (ლორთქიფანიძე, 1991:102).

ეს უკანასკნელი მონეტები, III საუკუნეშიც იყო მიმოქცევაში, ამას ადასტურებს არქეოლოგიური მასალებიც პიტიუნტის სამაროვნიდან, რომელიც III ს მეორე ნახევრის სამარხში აღმოჩენილი სპილენძის 6 მონეტით (ლორთქიფანიძე, 1991:101).

ბიჭვინთაში აღმოჩენილმა მასალებმა აჩვენა, რომ III ს. მეორე ნახევარშიც

კვლავ მიმოქცევაშია ადრიანეს (117-138 წწ), კესარიული დიდრაქმები და კომოდიუსის (180-192 წწ) მონეტები.

ბიჭვინთაში აღმოჩენილი II საუკუნის ბოლოსა და III საუკუნის დასაწყისის მონეტების დიდი ნაწილი ტრაპეზუნის ზარაფხანაშია მოჭრილი. მეორე ადგილზეა კესარია (კაბადოკია), რომლის მონეტებიც, ასევე ტრაპეზუნტის გზით შემოდიოდა. II საუკუნის მეორე ნახევრისა და III საუკუნის პირველ ნახევარში, წამყვანი ადგილი ისევ ტრაპეზუნტს უჭირავს (ლორთქიფანიძე, 1991:102).

საინტერესოა პიტიუნტში აღმოჩენილი ე.წ. ,,მიმავალი მარსის'' გამოსახულებიანი რომაული დენარების სამი ე.წ. ,,ბარბაროსული მინაბაძი'', რომლებსაც სპეციალისტები ბოსფორში III ს დამკვიდრებულ გოთებს უკავშირებენ. გ. დონდუა მათ ბიჭვინთაში ბორანების თარეშის ეპოქას აკუთვნებს. სოხუმთან, კელასურში ნაპოვნია ასეთივე მონეტა, რომლეთან ერთადაც ნაპოვნია 326 წელს მოჭრილ რისკუპორიდის საფასესე (17ცალი), რაც მათ მიმოქცევის ხანგრძლივობაზე მიანიშნებს (ლორთქიფანიძე, 1991:103; Higgins, 1980:189).

ახ.წ. IV ს მონეტები ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანია, რაც ფულად-სასაქონლო ურთიერთბებეის განვითრებაზეც უნდა მიუთითებდეს. ეს ასევე უკავშირდება პიტიუნტის გარნიზონ გაძლიერებას, რასაც ადგილი ჰქონდა გვიანრომაულ ხანაში (ლორთქიფანიძე, 1991:104).

მონეტებიდან გვხვდება: კონსტანტინე დიდი (306-337) და მისი მემკვიდრების სახელით მოჭრილი წვრილი ნომინალის სპილენძის მონეტები. რაოდენობრივად ყველაზე მეტია კონსტანციუს II (337-361 წწ) მონეტები, ზარაფხანის ტიპოგრაფია ასეთ სურათს იძლევა: ანტიოქია, ნიკომედია, ქიზიკი, კონსტანტინეპოლი, ალექსანდრია, სიცილია, თესალონიკა (ლორთქიფანიძე,

1991:104).

პიტიუნტის ნაქალაქარზე ნაპოვნი IV ს ცალკეული მონეტები იმპერატორების მიხედვით შემდეგნაირადაა განაწილებული: ლიცინიუსი (307-323 წწ) - ზარაფხანა ანტიოქია, თსალონიკე, ქიზიკი, ნიკომედია; კონსტანტინე I დიდი (333-337 წწ) მათ შორის, დედოფალ ელენეს 328 წ მოჭრილი 4 მონეტა და იმპერატორის სიკვდილის შემდეგ მისი სახელით გამოსვებული ფული, რომლეთაგანაც წამყვანი ადგილი ანტიოქიისა და კონსტანტინეპოლის ზარაფხანებს უჭირავს; კრისპუსი (317-326 წწ) 4 ცალი, მოჭრილი თესალონიკესა და ანტიოქიაში. კონსტანტინე II (337-340 წწ) - 4 მათგანი მოჭრილია კონსტანტინეპოლში, სამ-სამი ნიკომედიასა და ქიზიკში. კონსტანტ I (337-350 წწ) სახელით მოჭრილია 57 ნომინალი.

ამგვარად, პიტიუნტის ფულად-სასაქონლო ურთუერთობაში IV საუკუნის მეორე ნახევარში წამყვანი პოზიცია კონსტანტინე დიდისა და მისი მემკვიდრიეების მონეტებტან ერთად კონსტანტიუცის II პროვინციული სპილენძის ემისიებს უჭირავს. მკვლევარების აზრით, წყვეტილია IV საუკუნის ბოლო მეოთხედის ფულად მიმოქცევაში, რაც ჰუნების გამადგურებელი ლაშქრობით უნდა აიხსნას. აქედან მოყოლებული მთელი V საუკუნის განმავლობაში პიტიუნტის ფულადი მეურნეობა დაქვეითებული ჩანს, რადგან ბიზანტილეთა გარნიზონი აქ ნამდვილად აღარ დგას. ეს ფაქტი ასახულია სამონეტო მასალაშიც, სადაც V საუკუნე წარმოდგენილია სპილენძის რამდენიმე მონეტით. ესაა არკადიუსის (395-408 წწ), თეოდოს V (408-450 წწ) და მისი მეუღლის ორი მონეტა. ახალი აღმავლობა პიტიუნტის ფულად მიმოქცევაში შეინიშნება მხოლდო VI საუკუნიდან (ლორთქიფანიძე, 1991:105).

ბიჭვინთაში საერთაშორისო მონეტების ფუნქციას რომაული დენარი ასრულებს, რომელთა შორის წამყვანი ადგილი კაპადოკიაში, კერძოდ, ქალაქ

კესარიაში მოჭრილ ვერცხლის მონეტებს ეჭირა. ისინი ტრაპეზუნტიდან, ფაზისის-სებასტოპოლისი მეშვებოთ აღწევდა ქვეყნის ცენტრალურ რეგიონში.

ახ.წ. II საუკუნის ბოლოსა და III საუკუნის პიერველ ნახევარში რომაული მონეტების მოზღვავებას სპეციალისტები აღნისშნავენ სებასტოპოლისშიც. აქაც შედარებით ხშირად პოულობენ ტრაპეზუნტის სპილენძის, ე.წ. საქალაქო მონეტებს, რომლებიც იჭრებოდა კომოდუსის (180-192 წწ.), მაკრონასა (217-218 წწ) და სხვა იმპერატორთა მმართველობის დროს.

ცალკე უნდა გამოვყოთ საიუველირო ნაწარმი. უახლესი აღმოჩენებიდან საინტერესოა 2013 წ შემთხვევით აღმოჩენილი განძი გონიო-აფსაროსის მიმდებარე ტერიტორიაზე, სოფ. კაპანდიდში. ის შედგებოდა ოქროს და ვერცხლის სხვადასხვა ნიმუშისგან: საკიდის, ბალთების, ქიორის გვირგვინის, სამაჯურის, ვერცხლისა ფეხიანი თასისაგან და ვერცხლის კართაროსი. დათრიღებულია ახ.წ. I საუკუნით (კახიძე, შალიკაძე, ფარტენაძე, 2015:53-62; დიღმელაშვილი 2010:155, სურ.1,2,3). აღმოჩენილი ნიმუშები გაფორმებულია ძვირფასი ქვებით, რომელიც მსგავსებას ამჟღავნებს გინიო-აფსაროსი განძთან, რომელიც 1975 წელს შემთხვევით აღმოჩნდა გონიო-აფსაროსის ციხის მახლობალ, საგზაო სამუშაოების დრო. აღმოჩენილი განძი შედგემობდა შემდეგი ნიმუშებისგან: ჭაბუკის ოქროს ქანდაკებისაგან, ოქროს ფიალისგან, ოქროს სამაჯურებისგან, ოქროს გარსაკრავებისგან, ოქროს საკიდისგან, ოქროს ბალთებისგან, ოქროს კილიტებისგან, ოქროს ღილისგან, ოქროს მძივებისგან, ფირფიტებისგან, ძეწკვებისგან, შტანდარტის თავისგან, ოქროს ძეწკვებისგან. 1975 წელს გონიო-აფსაროსთან აღმოჩენილი განძი თარიღდება ახ.წ I-II საუკუნეებით (ლორთქიფანიძე, მიქელაძე, ხახუტაიშვილი, 1980:16; კახიძე, შალიკაძე, ფარტენაძე, 2015).

აღმოჩენილი განძებიდან ჩანს, რომ იმდროინდელი საზოგადობა

მოიხმარდა ფუფუნების საგნებს და, სავარაუდოდ, ისინი მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებს ეკუთვნოდათ.

როგორც ზემოთჩამოთვლილი არქეოლოგიური მასალებით ჩანს, გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრე რომაული ეპოქის მეტად მნიშვნელოვანი მონაპოვრებით გახლავთ წარმოდგენილი. განსაკუთრებით საინტერესო კი 2008 წელს არქეოლოგიური ექსპედიციისას მიკვლეული დანახშირებული ფენის კვლევების შედეგები გახლავთ (მამულაძე, 2021: 59). პალეობოტანიკური ანალიზების საფუძველზე ჩანს, რომ დანახშირებულ ფენაში დიდი რაოდენობით მარცვლეული აღმოჩნდა. მათ, შორის კი ძირითადად შიშველმარცვლიანი რბილი (ნამდვილი) ხორბალი (Triticum aestvium s.l.) დომინირებს. რბილი ხორბლის 2 სახეობაა დაფიქსირებული: 1. შიშველმარცვლიანი რბილი ხორბალი (Tr. aestivum s. l. (Tr. durum - / Tr. turgidum- ინდექსით B/L X 100<65) და 2. ქონდარა ხორბალი (Tr. aestivum ssp.compactum ინდექსით B/L X 100 >65-70). გამოვლენილია კილიანმარცვლიანი ხორბლები: ასლის (Tr. dicoccum ინდექსით B/L X 100 >65-70) და ზანდური (Tr. monococcum) ერთეული დანახშირებული მარცვლები. განამარხებულ კარპოლოგიურ ნიმუშში აგრეთვე უმნიშვნელო რაოდენობით გვხვდება: კილიანმარცვლიანი ქერი (Hordeum vulgare) შიშველმარცვლიანი ორმწკრივა ქერი (H. distichum var. nudum), შვრია (Avena sativa) და ფეტვი (Panicum miliaceum). პარკოსნი კულტურებიდან: ოსპი (Lens culinaris), ბარდა (Pisum sativum), უგრეხელი (Vicia ervilia), ცულისპირა (Lathyrus sativus). შედარებით უხვადაა ოსპის დანახშირებული მაკრონაშთები. კარპოლოგიურ კომპლექსში ზემოთ აღნიშნული კულტურების განამარხებულ მაკრონარჩენებთან ერთად გვხვდება მათი თანმდევი სარეველა მცენარეთა თესლები, ბუნებრივი სავარგულების და რუდერალურ სახეობათა ნაშთები. შესწავლილ მასალაში 35

მდე ველურად მოზარდ მცენარეთა ნაშთები დაფიქსირდა. მათ შორის უხვადაა მარცვლეული კულტურების, განსაკუთრებით კი ხორბლის ნათესთა სარეველები: ყვითელი ძურწა (Setaria glauca), ნამდვილი ძურწა (Setaria verticilata), ბურჩხა (Panicum. crus-galii), ბეწვიანი ცერცველა (Vicia hirsuta), უფხო ღვარზლი (Lolium arvense), წივანა (Festuca communis), მელიკა (Melica nutuns), თაგვიყანა (Hordeum murinum), ენდრონიკა (Gallium aparine), ჭიოტა (Agrostemma githago), ფხუწა (Asperula arvensis), ქინძარა (Bifora radians), ოსპისებრი ცერცველა (Vicia tetrasperma), ქვაპურა (Bufleurum rotundifolium). თეთრი მდოგვი (Sinapis alba), ქოთანა (Silene dichotoma). აღსანიშნავია სათოხნი და ბაღჩა-ბოსტნის კულტურათა სარეველები: ძაღლის ქინძი (Aethusa cynapium), ტკაცუნა (Androsace maxima), თიმელია (Thymelaea passerina), შავთეთრა (Fumaria officinalis), ასევე სანელებელი და საკაზმები, როგორიცაა ნიახური (Apium graveolens), კვლიავი (Carum carvi), ქინძი (Coriandrum sativum). კარპოლოგიურ კომპლექსში გამოვლინდა რუდერალურ ჰაბიტატებისთვის დამახასიათებელი მცენარეთა ნაყოფების ნაშთები: მინდვრის ნარი (Cirsium arvense), ნარი (C. setosum), თერო (Lathyrus tuberosus), ტყის ჟუნჟრუკი (Stellaria media), ჭეჭველა (Vaccaria segetalis), აგრეთვე კოფრჩხილა (Falcaria vulgaris), მინდვრის გვირილა (Leucanthemum vulgare), მინდვრისნემსა (Galium verum), თაგვის ცერცველა - (Vicia sepium) (მამულაძე, 2021: 60).

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ შესწავლილ მასალაში შიშველმარცვლიანი რბილი ხორბალი დომინირებს. ოსპის შემცველობა ნიმუშებში საგრძნობლად მცირეა, ერთეულია ბარდის და უგრეხელის მაკრონარჩენები. მცირე რაოდენობა შვრიისა და ქერის ნაშთების არსებობა გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია ეს მცენარეები იზრდებოდა, როგორც სარეველა ხორბლის ნათესებში. თუმცა ნიმუშში ქერის ორივე სახეობის

თანაარსებობის გამო დასაშვებია, რომ მოჰყავდათ როგორც საკვები კულტურა, იყენებდნენ ცხენის გამოსაკვებად და ლუდის დასამზადებლადაც. საკაზმ-სანელებლები – ქინძი, კვლიავი, ოხრახუში, როგორც ჩვეულებრივი შემადგენელი ნაწილი რომაული სამზარეულოსი, სავარაუდოდ ადგილზევე უნდა მოეყვანათ გარნიზონის მკვიდრთ, რაზეც ირიბად მიგვანიშნებს ნიმუშში გამოვლენილი სარეველა მცენარეთა არსებობა.

პალეობოტანიკურმა კვლევებმა, რომლის სინჯებიც II საუკუნის პირველი მეოთხედით დათარიღებულ კულტურულ ფენაში გახლდათ აღებული, დაადასტურა ის ფაქტი, რომ რომაელთა აფსაროსში ყოფნის პირველ ეტაპზე (I საუკუნის ბოლო მეხუთედი, II საუკუნის პირველი მესამედი) მათი მომარაგება ხდებოდა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირა საწარმოო ცენტრებიდან, ვინაიდან, უკვე იდენტიფიცირებული კულტურული და ველური მცენარეთა ჯიშები სწორედ ამ რეგიონისთვის დამახასიათებელ ნიშანთვისებების მატარებელია.

§2. არქეოლოგიური მასალის ინტერპრეტაცია და შედეგების სინთეზი ისტორიულ კონტექსტში

გონიო-აფსაროსში დღემდე წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად მოპოვებული მასალის უდიდეს ნაწილს კერამიკული ნაწარმი შეადგენს. მათი უმეტესობა იმპორტირებულია სამხრეთ შავიზღვისპირეთის საწარმოო ცენტრებიდან. გვაქვს ასევე ხმელთაშუაზღვიური ნაწარმიც, საიდანაც ციხე-სიმაგრეში განთავსებული გარნიზონი მარაგდებოდა მათი აქ ყოფნის ადრეულ ეტაპზე, ძირითადად I საუკუნის მეორე ნახევარსა და II საუკუნის პირველ მეოთხედში.

ამფორები. უკანასკნელ წლებში აფსაროსში წარმოებული გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის დაახლოებით 80%–ს კერამიკული ტარა შეადგენს. შემოტანილი თუ ადგილზე დამზადებული ამფორები წარმოადგენენ უძვირფასეს ნივთიერ წყაროს, რომაულ–ბიზანტიურ სამყაროსთან ურთიერთობისა და საქალაქო ხელოსნობის შესწავლისათვის.

ამფორების განსაკუთრებული მრავალრიცხოვნებით ხასიათდება ახ.წ. I-III საუკუნეებით დათარიღებული კულტურული ფენები და ცალკეული კომპლექსები. გამოყოფილია ამ პერიოდის ამფორების 20–მდე ტიპი, რომლებიც თავის მხრივ სახესხვაობებს ქმნიან. გონიო–აფსაროსის ციხე–ქალაქის ცხოვრების პირველ ეტაპზე – ახ.წ. I საუკუნის მიწურულსა და ახ.წ. II საუკუნის დასაწყისისათვის დომინირებს იმპორტული კერამიკული ტარა: ესაა იტალიკური, კოსური და როდოსული ამფორები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის ამფორები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში იშვიათობას წარმოადგენს. ამ მხრივ გამონაკლისია გონიო–აფსაროსი, სადაც ისინი, განსაკუთრებით კი იტალიკური, დიდი რაოდენობით გვხვდება, თითქმის ყოველ წელს

წარმოებული სამუშაოებისას (ხალვაში, 2002).

როგორც ცნობილია, ძვ.წ. I და ახ.წ. I საუკუნეებში იტალიას დასავლეთ ევროპაში წამყვანი ადგილი ეკავა ამფორების დამზადებასა და ექსპორტში. ჩანს, რომ ამ ეტაპზე აფსაროსში დაბანაკებული რომაელთა გარნიზონი უპირატესად აღმოსავლეთი ხმელთაშუაზღვისპირეთიდან და რომის იმპერიის დასავლეთი ნაწილებიდან მარაგდებოდა. ანალოგიური სურათი იკვეთება ნუმიზმატიკური მასალითაც, მინის ჭურჭლისა და წითელლაკიანი კერამიკის მიხედვითაც. ახ.წ. II საუკუნის დასაწყისიდან, თუ არა II მეოთხედიდან მაინც, მდგომარეობა არსებითად იცვლება. წამყვანი ხდება სამხრეთ შავიზღვისპირეთში დამზადებული ამფორები(ხალვაში, 2002). საქმე იმაშია, რომ ამიერკავკასიასა და მცირე აზიის ჩრდილოეთ რაიონებში განლაგებული რომაელთა ჯარების მომარაგების საქმეში მთავარ როლს უკვე სამხრეთი შავიზღვისპირეთი, კერძოდ, სინოპე, ამისო, ტრაპეზუნტი და ჰერაკლეა ასრულებდა.

ურთიერთობა არ წყდება აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთთანაც. მართალია, შედარებით მცირეოდენ, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან რიცხვს ქმნის როდოსში, ბითინიასა და მცირე აზიის დასავლეთი სანაპიროების სხვა ცენტრებში დამზადებული ამფორები.

აფსაროსში მოპოვებული მასალის მიხედვით ზუსტდება, რომ აღნიშნულ პერიოდში აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ადგილობრივ წარმოებაში დამკვიდრებული იყო უცხოური ფორმები. იმიტაცია ხდება როგორც ხმელთაშუაზღვისპირეთში, ისე სამხრეთ შავიზღვისპირეთში ჩამოყალიბებულ ამფორათა ტიპებისა. აღმოსავლეთ პონტოს სახელოსნო ცენტრები ჩაბმული ჩანან რომაულ–აღმოსავლურ–ხმელთაშუაზღვისპირეთულ ამფორათა ფორმების წარმოების საერთო წრეში.

ადრეშუასაუკუნეებისათვის შეიმჩნევა იმპორტული ამფორების სიჭარბე.

გარესამყაროსთან ურთიერთობაში წამყვან ადგილს აღმოსავლეთი ხმელთაშუაზღვისპირეთის სავაჭრო–სახელოსნო ცენტრები იკავებს. კერძოდ, სამხრეთ–დასავლეთი მცირე აზია და ჩრდილოეთ სირია (ანტიოქია, სელევკია). ანალოგიური სურათი ისახება ნუმიზმატიკური მონმაცემების მიხედვითაც. მოპოვებული ბიზანტიური მონეტები სწორედ ანტიოქიასა და თეოპოლისშია მოჭრილი. ამ პერიოდის მასალაში მნიშვნელოვან რიცხვს დემირჯში (სინოპე) დამზადებული ამფორებიც ქმნიან. სამხრეთ–აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს შორის ადგილი აქვს ამფორათა ფორმების, ტექნიკისა და ტექნოლოგიური თავისებურების ურთიერთგაცვლას.

მინა. განსაკუთრებით საინტერესოა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში აღმოჩენილი მინის ნაწარმის ანალიზი. მათი საფუძვლიანი შესწავლა გვიჩვენებს, რომ მინის ნაკეთობანი რომაულ თუ ბიზანტიურ სამყაროსთან კონტაქტების ისეთივე კანონზომიერებას გადმოსცემს, როგორსაც ვხედავთ სხვა რიგის მონაპოვრების მიხედვით (კერამიკული ტარა, მონეტები, წითელლაკიანი კერამიკა, და. ა.შ). ამ მიმართულებით აღმოსავლეთ პონტოსპირეთის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლად გამოიყურება გონიო-აფსაროსი, სადაც ყველაზე დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ხმელთაშუაზღვისპირეთის სხვადასხვა ცენტრებში დამზადებული მინის ნაწარარმი. არანაკლებ საინტერესოა ინფორმაციის მომცემია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის სხვა ძეგლებიც: ვაშნარი, ფიჭვნარი, ბობოყვათი, ციხისძირი, და ა.შ.

აფსაროსის მინის ნაწარმი ახ.წ. I-III საუკუნეების სხვადასხვა პერიოდით თარიღდება. მომდევნო, უფრო გვიანი პერიოდის ნაწარმი დღემდე არ დადასტურებულა. მინის ნაწარმის ანალიზიც აჩვენებს, რომ I ეტაპზე ციხე-სიმაგრე ძირითადად დასავლეთ და შემდგომ უკვე აღმოსავლეთ

ხმელთაშუაზღვისპირა ნაწარმით მარაგდებოდა. ყველაზე უფრო ადრეულ ნაწარმს მოზაიკური მინა წარმოადგენს, თუმცა აღმოჩენილია მათი გვიანი ნიმუშებიც. განსაკუთრებით დიდი ოდენობითაა აღმოჩენილი მინის გრაფინები, რომლებიც აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირულ იმპორტულ ნაწარმს წარმოადგენს. ამავე საწარმოო რეგიონიდანაა სხვა ტიპის სამზარეულოსთვის განკუთვნილი ჭურჭელი, როგორიცაა: ოინოხიები, ლანგრები, სასმისები, არიბალოსები, და ა.შ. (შალიკაძე, 2004).

ნათელია რომ ჭოროხის ქვემო წელზე რომაული კასტელუმის გარდა ამ პერიოდის სხვა არა ერთი დასახლება არსებულა. ამ მხრივ დიდ ინტერესს იწვევს ზანაქიძეების მინის სანელსაცხებლე. მსგავსი ნაწარმი დასავლეთ საქართველოს სხვა ძეგლებზე დღემდე არ დადასტურებულა. როგორც ჩანს, სირიული ნაკეთობის ეს სახეობა ქართლში სამხრეთის ქვეყნებიდან სახმელეთო გზით ვრცელდებოდა (შალიკაძე, 2004).

წითელლაკიანი კერამიკული ნაწარმი. ჭრაქები. ლუთერიები. წითელლაკიანი კერამიკა მონაპოვრებში საინტერესო ჯგუფს ქმნის. შესწავლილია აფსაროსში აღმოჩენილი მათი ძირითადი ტიპები (სულ 17), რომელთა საფუძველზე მოხდა მათი ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაცია. ასევე განსაზღვრულია მათი წარმომავლობა და ძირითადი საწარმოო ცენტრები. უმრავლესობა პერგამონულ ნაწარმს წარმოადგენს, თუმცა გვხვდება სამოსში და სირია-პალესტინაში დამზადებული მასალებიც. მსგავსად ამფორებისა და მინის ნაწარმისა, თავდაპირველად ციხე-სიმაგრე წითელლაკიანი კერამიკით ხმელთაშუაზღვისპირეთის საწარმოო ცენტრებიდან მარაგდებოდა (ებრალიძე, 2005).

საინტერესოა აფსაროსში მიკვლეული ჭრაქების ანალიზიც, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა იმპორტულია. გამოყოფილია ექვსი ტიპი,

უმრავლესობას აქაც პერგამონული ნაწარმი წარმოადგენს, თუმცა ხშირია სამოსური ჭრაქებიც.

რაც შეეხება ლუთერიებს, მათი დიდი ნაწილი სინოპურ ნაწარმს განეკუთვნება. გამოყოფილია მათი ორი ტიპი. მნიშვნელოვანია ჰერაკლეური ლუთერიების რაოდენობაც. საინტერესოა ისიც, რომ დასტურდება ადგილობრივი წარმოების ლუთერიებიც, რომლებიც წარმოადგენენ სინოპური ლუთერიების მინაბაძებს .

მონეტები. 1995 წლიდან 2018 წლამდე გონიო აფსაროსში მოპოვებული სამი ასეული რომაული ხანის საფასისაგან მოხერხდა მხოლოდ 127 ცალის აღწერა-ატრიბუ¬ცია. ამათგან 38 მოჭრილია I, 44 – მე-II და 45 – მე-III საუკუნეში. ზარაფხანების მიხედ¬ვით ასეთი სურათია: კესარია–49, რომი–23, ანტიოქია–22, ტრაპეზუნტი–13, ლუგდუნუმი–2, თესალონიკე–2, თითო-თითო ნეოკესარიაში, სინოპეში, ბოსფორის სამეფოში, იუდეაში და გადარაშია მოჭრილი. რომის პროვინცია სირიის სხვადასხვა ქალაქებში მოჭრილი ფულითაა წარმოდგენილი თითქმის მთელი პირველი საუკუ¬ნე. ანტიოქიაში, იუდეაში, გადარაში მოჭრილი მონეტების გამოვლენა აფსაროსში სამხედრო გარნიზონის ცალკეული შენაერთების სირიიდან გადმოყ¬ვა¬ნით უნდა აიხსნას (ვარშალომიძე, 2009:58-59). მეორე საუკუნიდან ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით სახეზეა მჭიდრო კავშირი კაპადოკიის კესარიასთან. ეს ბუნებრივიცაა, რადგან დადგენილია, რომ რომის აღმოსავლეთის პროვინციაში მდგომი გარნიზონები მარაგდებოდა კესარიული ფულით (Sydenham, 1933:14).

საქართველოში კესარიული მონეტების ფართო მიმოქცევას აქ გამოვლენილი განძები თუ ცალკეული ერთეულები ადასტურებს (ვარშალომიძე, 2009:52). რაც შეეხება მეტროპოლიაში მოჭრილ დენარებს, ისინი ჩვენში ალბათ მცირეაზიის ქალაქებიდან შემოვიდა. საინტერესოა გონიოში ტრაპეზუნტის

სპილენძის მონეტების აღმოჩენა. ეს საფასეები ტრაპეზუნტის გარეთ გამოვლენილია მხოლოდ ბიჭვინთა-ლიძავის და გონიოს ტერიტორიაზე (დუნდუა, 1975: 329, ვარშალომიძე, 2009: 54).

ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით I საუკუნის მიწურულიდან III საუკუნის ბოლომდე გონიო-აფსაროსში დგას რომაული გარნიზონი, საქალაქო ცხოვრე¬ბა დაწინაურებულია და აფსაროსის პოლიტიკურ-ეკონომიკური ღერძი მიმართუ¬ლია მცირე აზიის ქალაქებისკენ.

